საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
8 მარტი **სამშაბათი** 2011
№054 (13351) ფასი 60 თეთრი

4

მძაფრსიუჟეტიანი თრილერი 2

არსენალი ნოუ კამპზეც შეუტევს; ლუჩესკუს დონეცკში ისტორიის შექმნა სურს, მაგრამ მონტელას არ სძინავს

UEFA CHAMPIONS LEAGUE

8-9

ჩემი მეგობარი რობერტო კარლოსი

ინტერვიუ ირაკლი კლიმიაშვილთან

„ბავშვობაში რობერტო კარლოსის ფოტოებსა და პოსტერებს ვაგროვებდი, ახლა კი ერთ გუნდში ვთამაშობთ“

ფერნანდესი გვემუქრება!

ევროპის 2012 წლის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქის, ისრაელის ბანაკში სიახლეა: ფიფამ ებრაელთა ფრანგ მწვრთნელს ლუის ფერნანდესს სასჯელი მოუხსნა. ფერნანდესი მსოფლიო ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ თებერვალში დასაჯა. მიზეზი: ის არ დაემორჩილა სადისციპლინო კომიტეტის 2009 წლის დადგენილებას და ყატარის ერთ-ერთ კლუბს ვალი არ გადაუხადა. ახლა ვალის საკითხი მოგვარებულია და ფიფამ ფერნანდესს მუშაობის ნება დართო. ასე რომ, საქართველოს ეროვნულ გუნდს 29 მარტს ფერნანდესის მომზადებული ისრაელი უმასპინძლებს.

„ფიფასთან საქმე მოვაგვარე და შემიძლია ჩემს გუნდთან მუშაობა განვაგრძო. ამიერიდან ერთადერთ რამეზე ვფიქრობ: ლატვიასა და საქართველოსთან 6 ქულა უნდა მოვიპოვოთ“!

4

პირველი ქართველი უეფაში

...შვეიცარიის კანონებით, ამ ქვეყანაში მოღვაწე ყველა ორგანიზაცია ვალდებულია ჯერ შვეიცარიის მოქალაქე დაასაქმოს, შემდეგ ევროკავშირელი და, ფაქტობრივად, არაევროკავშირელის აყვანა გამორიცხულია. დავით პეტრიაშვილზე კი გამონაკლისი დაუშვეს, რადგან უეფას 1998 წლიდან ემსახურება და 2011 წლის 1 მარტიდან უეფას პროგრამა „ჰეთთრიკის“ მენეჯერად დანიშნეს - ამიერიდან იგი ჟენევაში იცხოვრებს და ნიონში უეფას შტაბ-ბინაში იმუშავებს...

გუშინ რომში...

2015 წლის ევროპის ახალგაზრდული ზაფხულის ოლიმპიური ფესტივალის თბილისში ჩატარების შესახებ ოფიციალური ხელშეკრულება რომში, ევროპის ოლიმპიური კომიტეტების შტაბ-ბინაში გუშინ გაფორმდა. დოკუმენტს ხელი მოაწერეს ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტმა პატრიკ ჰიკმა, თბილისის მერმა გიგი უგულავამ და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა. შეგახსენებთ, რომ თბილისში ხსენებული ფესტივალის ჩატარების გადაწყვეტილება 27 ნოემბერს, ბელგრადში, ევროპის ოლიმპიური კომიტეტების გენერალურ ასამბლეაზე გადაწყდა.

საქართველოს ჩემპიონატი

ავტორის ფოტო

გოლების სეტყვა წვიმაში

07.03. ზესტაფონი. დ. აბაშიძე.
2500 მაყურებელი

ზესტაფონი	6
ბაია	1

1:0 გრიგალაშვილი (1), 1:1 ქობალია (13), 2:1 გელაშვილი (25. გრიგალაშვილის პასით), 3:1 დვალი (34), 4:1 დვალი (45. გელაშვილის პასით), 5:1 აფციაური (72), 6:1 გ. ონიანი (82)

ზესტაფონი	ბაია
4–4–2	4–5–1
რ. კვასხვაძე	სოფხიშვილი
ალადაშვილი	სვირავა
კობახიძე	აქუბარდია
გ. ონიანი	აფაქიძე
ელიავა	რ. ონიანი
აფციაური	რიგვავა
დაუშვილი	სიხარულია
გორგიაშვილი	ვართაგავა
გრიგალაშვილი	შ. ლომია
დვალი	ეხვაია
გელაშვილი	ქოგალია
მწვრთნელი: გ. გეგუჩაძე	მწვრთნელი: ე. ქოგეთიანი

ზესტაფონი

60. დვალი - **ბაგუნაშვილი**
68. კობახიძე - **ხიდეშელი**
74. დაუშვილი - **გ.ფოფხაძე**

სათადარიგოები: მეშველიანი, ძარია, ს. ლომია, გრუიცა.

ბაია

46. ვართაგავა - **ნ.შონია**
60. ეხვაია - **წურწუმია**
66. რიგვავა - **საფუშია**

სათადარიგოები: მაქაცარია, ქვარცხავა, ჩანგელია, გამრეკლიძე

არბიტრი: ლ.სილაგავა (თბილისი)

„ბაია" მიმდინარე ჩემპიონატში არაერთი სიურპრიზის ავტორად მოგვევლინა, მაგრამ გათამაშების ლიდერთან ზუგდიდური გუნდის შანსები მაინც ერთობ მოკრძალებული ჩანდა. ზესტაფონელებს დასახული მიზნისკენ ისეთი ტემპი აქვთ აკრებილი, რომ ძნელი წარმოსადგენი იყო, საკუთარ მოედანზე დაუგეგმავი ქულები დაეკარგათ. თუნდაც, ისეთ მებრძოლ გუნდთან, როგორიც **ელგუჯა ქომეთიანის** კრებულია. მართლაცდა, ზუგდიდელებმა მხოლოდ პირველი ტაიმის შუაწელამდე შეძლეს ფეროელებისთვის ჯეროვანი წინააღმდეგობის გაწევა. შემდეგ კი მცირეოდენი წვიმის თანხლებით მიმდინარე მატჩში სტუმართა კარში გოლების სეტყვა წამოვიდა...

გია გეგუჩაძის შეგირდებმა სწრაფ გოლზე გააკეთეს აქცენტი და სტუმრებს „მისალმებაც არ აცადეს": პირველივე წუთზე **დვალმა გორგიაშვილი** გაიყვანა მეკარესთან პირისპირ, მისი დარტყმა **სომხიშვილმა** მოიგერია, მაგრამ დამატებაზე **გრიგალაშვილმა** იმარჯვა და სწრაფი გოლით ზესტაფონელები დააწინაურა - 1:0. ამის შემდეგ იყო პერიოდი, როცა „ბაია" მეტოქეს არაფერში ჩამოუვარდებოდა. ზუგდიდელები მოკლე პასებით, სწრაფად გადადიოდნენ ზესტაფონელთა ნახევარზე და სახიფათოდაც უტევდნენ. ანგარიშიც მალე გაათანაბრეს. გოლი კურიოზული აღმოჩნდა. მე-13 წუთზე **შოთა ლომიამ ირაკლი ეხვაიას** მისამართით ჩააწოდა, მაგრამ ბურთი კარისკენ მოიჭრა და ძელს მოხვდა. **ეხვაიას** დარტყმა კვასხვაძემ ფეხით მოიგერია, ბურთს **გიორგი ონიანი** დაეუფლა და თითქოს ხიფათიც განიმუხტა, მაგრამ მისი დარტყმული ბურთი **ქობალიას** მოხვდა და ზესტაფონელთა კარში შევარდა - 1:1. გაშვებულმა გოლმა მასპინძლები ცოტათი დააბნია და სტუმრებს მალევე ანგარიშის გაზრდაც შეეძლოთ: ზუგდიდელების სწრაფი კონტრშეტევისას ქობალიას გამოზომილი პასის შემდეგ **რიგვავას** ბურთზე ფეხი რომ არ აეცილებინა, დიდი შანსი იყო კვასხვაძის კარში მეორე ბურთიც გასულიყო. ეს იყო და ეს, მასპინძლებმა ზუგდიდელებს მეტის საშუალება აღარ მისცეს. 25-ე წუთზე გრიგალაშვილის ფლანგური ჩაწოდება **გელაშვილის** თავური გოლით დასრულდა და აქედან მოყოლებული ზესტაფონელებს უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვიათ. თუ რა სცენარით მიმდინარეობდა მატჩი, ამას ანგარიშიდანაც კარგად მიხვდებით. ფეროელებს ყველაფერი გამოსდიოდათ: კომბინაციური თამაში, სწრაფი და მწავე შეტევები. გოლიდან ერთ წუთში დვალმა კარგი მომენტი გააცუდა, მაგრამ შეცდომა მალევე გამოასწორა და შესვენებამდე დუბლიც გაიფორმა. ჯერ **გორგიაშვილის** დარტყმულის შემდეგ მეკარის მოგერიებულ ბურთს დაამატა, ტაიმის ბოლოს კი გელაშვილის ზუსტი პასი შეიშნო და მეკარესთან პირისპირ გასულმა სომხიშვილს შანსი არ დაუტოვა. ამ ეპიზოდამდე გრიგალაშვილმა ზუგდიდელთა კარის ძელიც შეაზანზარა.

მატჩის სცენარი მეორე ტაიმშიც არ შეცვლილა. გოლის გატანასთან ახლოს იყვნენ გრიგალაშვილი, დვალი და გორგიაშვილი. პირველმა ორმა ხელსაყრელი პოზიციებიდან ააცილა, გორგიაშვილის ურთულესი დარტყმა კი სომხიშვილმა მოიგერია. ზუგდიდელები გოლებს მაინც ვერ გადაურჩნენ. 72-ე წუთზე **აფციაურმა** ინდივიდუალური ოსტატობის წყალობით მცველების გარემოცვაში მოჭრა ბურთი და ზუგდიდელთა კარის ცხრიანში მოათავსა. ორიოდე წუთში მოედანზე დანიური „ვიბორგის" ყოფილი ფეხბურთელი **გიორგი ფოფხაძე** გამოჩნდა, რომელსაც „ზესტაფონის" რიგებში გუშინ დებიუტი ჰქონდა. 82-ე წუთზე სწორედ მისი უძლიერესი დარტყმის შემდეგ, მეკარისგან მოგერიებულ ბურთს, გიორგი ონიანმა დაამატა და მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 6:1.

დავით კოხრეიძე
ზესტაფონიდან

07.03. სამტრედია. ე. მანჯგალაძე.
1 600 მაყურებელი

სამტრედია	0
ტორპედო	1

0:1 მეგრელაძე (53. სეთურიძის პასით).

სამტრედია	ტორპედო
4–2–3–1	4–4–2
ჯინჭარაძე	მიგინეიშვილი
გოგია	ფოფხაძე
თ. შალიკაშვილი	ს. თოდუა
ხუმარაშვილი	ფარულავა
კირთაძე	ჩიკვილაძე
ცხადაია	სეთურიძე
ლომაშვილი	ლ. ძებაძე
ჩხიკვაძე	დიღმელაშვილი
გ. მიქაბერიძე	დაუნუკიშვილი
გურგჯანაძე	მეგრელაძე
ალავერდაშვილი	ვ. კვარაცხელია
მწვრთნელი ლ. ანჯაფარიძე	მწვრთნელი გ. გიგაბაძე

სამტრედია

69. ბურჯანაძე - **ხვადაგიანი**
71. მიქაბერიძე - **ბოგიშვილი**
80. კირთაძე - **რუხაია**

სათადარიგოები: კეკელიძე, ნინუა, ენდელაძე, დვალიშვილი

ტორპედო

61. კვარაცხელია - **დ. კირკიტაძე**
82. მეგრელაძე - **ბოციორიძე**
88. ქებაძე - **დოლიძე**

სათადარიგოები: ქვილითაია, თარხნიშვილი, გუგუჩია, მაჭავარიანი

გაფრთხილება: **ცხადაია (30), ფარულავა (33), ალავერდაშვილი (38), მიქაბერიძე (68)**
არბიტრი: **ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი).**

თავიდანვე გეტყვით, რომ თამაში ლამაზი სანახაო არ აღმოჩნდა. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მთელი მატჩის მანძილზე სულ რამდენჯერმე იყო საგოლე მომენტი. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ გუნდებმა გამარჯვებისთვის ყველაფერი იღონეს და თუ სანახაობრივი მხარე მოიკოჭლებდა, ამაში თავისი წვლილი ამინდმაც შეიტანა — სველ მინდორზე ფეხბურთელებს არათუ პასის გაკეთება, გადაადგილებაც უჭირდათ.

მობურთალებს ცდა არ დაუკლიათ და 90 წუთის მანძილზე მოედნის ნებისმიერ მონაკვეთზე ფიცხელი ბრძოლა იყო გაჩაღებული, რადგანაც ორივე გუნდს მოგება ჰაერივით სჭირდებოდა. თუმცა განსხვავება ამაშიც იყო - თუ ქუთათურებს მორიგი წაფორხილება სატურნირო მდგომარეობას ცოტათი გაურთულებდა და მაქსიმუმ სამწვრთნელო შტაბში საკადრო ცვლილების შესაძლებლობა „წაიწევდა", მასპინძლებისთვის ქულებს სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა - გამარჯვების შემთხვევაში, სამტრედიელები ცხრილის ფსკერს თავს დააღწევდნენ და ლიგაში დარჩენის რწმენას მაინც განიმტკიცებდნენ.

ქოგაგებს ჯერ მიუტოვებიათ

ირაკლი ბიბილეიშვილი

მატჩის ინტერესს ისიც მატებდა, რომ საქმე იმერულ დერბთან გვქონდა, თანაც დამატებითი ინტრიგაც ახლდა ამ მატჩს — წინა ორ შეხვედრაში ფინანსურად ძლიერმა „ტორპედომ" ერთხელაც ვერ მოუგო ლამის ყველასგან მიტოვებულ და რბილად რომ ვთქვათ, მშიერ „სამტრედიას".

თუმცა კლუბი არ მიუტოვებია სამტრედიელ ქომაგს და ამ კლუბის გავარდნა საცოდაობა მხოლოდ იმის გამოც იქნება, რომ (გვაპატიონ სხვა კლუბების ქომაგებმა) გაჭირვების დროს და განწირულ სიტუაციაში ასეთ ერთგულებაში მათ ვერავინ შეეცილება.

მატჩის პირველი წუთიდან ბოლომდე ისინი თავიანთ გუნდს მხურვალედ ქომაგობდნენ (აქვე აღსანიშნავია, რომ მათთვის ტოლი არც სტუმარ ქომაგებს დაუდიათ) და ყველა ის ადამიანი „მოიხსენიეს", რომელთაც კლუბის ასეთ მდგომარეობამდე მიყვანაში ადანაშაულებენ. ქომაგები სფფ-ის თავკაც **ზვიად სიჭინავასა** და ადგილობრივი მთავრობის საწინააღმდეგო ფრაზებსაც სკანდირებდნენ.

თუმცა მათ აშკარად „აჯობეს" მსაჯებმა - **ლევან კვარაცხელიას** პირველი ჩასტვენაც არ გაეკეთებინა, აშკარად გამოჩნდა, რომ ქომაგებისგან თემიდის მსახურთ ფსიქოლოგიური ზეწოლა „განაღდებული" ჰქონდათ. აქვე გეტყვით, რომ არბიტრმა ამ ზეწოლას გაუძლო და თამაშის სადავეები ხელიდან არ გაჰქცევია, თუმცა მასპიძლები მიიჩნევდნენ, რომ გაშვებულ გოლში მსაჯები რამდენჯერმე შეცდნენ.

არადა, საგოლე და გოლამდე ეპიზოდები სადავო კატეგორიას ნამდვილად განეკუთვნებოდა. ყველაფერი კი ასე მოხდა: მეორე ნახევარი წუთების განახლებული იყო, როცა ქუთათურთა საჯარიმოსთან ერთ-ერთი მასპინძელი დაეცა. ტრიბუნიდან ისე ჩანდა, ჯარიმას მცველის „გაყვითლება" მოჰყვებოდა, თუმცა კვარაცხელიამ თამაშის გაგრძელება ბრძანა. თქმა არ უნდა, არბიტრი ეპიზოდთან უფრო ახლოს იდგა და ყველაფერს ჩვენზე უკეთ ხედავდა, ამიტომაც მის გადაწვეტილებაში ეჭვის შეტანა თავხედობა იქნებოდა, მაგრამ მსაჯის ქმედება უფრო „მყარი" იქნებოდა, დაცემული მობურთალი სიმულაციისთვის რომ გაეფრთხილებინა.

თუმცა ამის დრო და საშუალება მას არ მისცემია — კონტრშეტევაზე **დათუნაიშვილმა** მარცხენა ფლანგიდან ჩააწოდა, გამოვარდნილი ბურთი კარისკენ უკვე მარჯვნიდან **სეთურიძემ** დაატრიალა, რომელიც გოლად **გიორგი მეგრელაძემ** აქცია და როგორც საბოლოოდ აღმოჩნდა, თავის ამჟამინდელ გუნდს ყოფილთან („ბაია") დაწევაში დაეხმარა.

მასპინძლები თამაშგარე მდგომარეობის დაფიქსირებას ითხოვდნენ, თუმცა უშედეგოდ.

ამის გარდა კიდევ რამდენიმე მომენტი ჩავინიშნეთ, აქედან პირველი - მხოლოდ 36-ე წუთზე, როცა მასპინძელთა მეკარის შეცდომით ქუთათურებმა ვერ იხეირეს; გატანილი გოლიდან სამ წუთში კი შანსი ისევ მეგრელაძეს მიეცა, მაგრამ „დუბლის" შესრულებაში მას ხელი **ჯინჭარაძემ** შეუშალა; იქვე მეტად აქტიური სეთურიძე გამოირჩა, თუმცა მისი გადაცემისას შორეულ ძელთან ბურთს ვერ მიუსწრო **ქებაძემ**; აქედან ათიოდ წუთში კი სეთურიძის კარგად დარტყმული უკვე სამტრედიელთა მეკარემ უკუაგდო.

იმის მიუხედავად, რომ მ აშკარა საგოლე მომენტი არ შეუქმნიათ, საერთო ჯამში მეტოქეს დიდად არ ჩამოუვარდებოდნენ და ცოტა იღბალი რომ ჰქონოდათ, იქნებ ქულა მაინც გადაერჩინათ. მათგან **ლომაშვილი** და **ცხადაია** გამირჩეოდნენ, განსაკუთრებით ეს უკანასკნელი მატჩის ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშე გახლდათ. ახალგაზრდა მობურთალმა სასიამოვნოდ გაგვაოცა — დაცვასაც ძალიან ეხმარებოდა, შეტევაშიც გონივრულად ერთვებოდა, თითქმის ყველა ორთაბრძოლა მოიგო და პასებიც უზუსტესი ჰქონდა. თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და „სამტრედიამ" მდგომარეობა კიდევ უფრო გაირთულა.

სულ ბოლოს კი... მსაჯები, ტრადიციულად, გამაყრუებელი სტვენის თანხლებით გააცილეს მოედნიდან.

მამუკა ქანთარია
სამტრედიიდან

07.03. რუსთავი. ფოლადი
800 მაყურებელი

ოლიმპი	1
სპარტაკი	0

1:0 გეწაძე (52)

ოლიმპი	სპარტაკი
4–4–2	4–2–3–1
ბედიაშვილი	გრიშიკაშვილი
მურველაშვილი	სეფიაშვილი
კვახაძე	ტეტუნაშვილი
რეხვიაშვილი	ბოიიმო
დოგრამეჯოლსკი	ოთარიშვილი
ი. მაისურაძე	მამუჩიშვილი
რაზმაძე	ჭაფოძე
დ. გოლქვაძე	დეკანოიძე
გეწაძე	ვ. გოლქვაძე
მოდებაძე	კლოვისი
იაშვილი	მეტრეველი
მწვრთნელი თ. მაისურაძე	მწვრთნელი გ. კვარაცხელია

ოლიმპი

46. იაშვილი - **უგულავა**
64. დ. ბოლქვაძე - **ქავთარაძე**
71. ი. მაისურაძე - **ჟურდოგაძე**

სათადარიგოები: ბათიაშვილი, ჯაფარიძე, ქემოკლიძე, ტყემალაძე

სპარტაკი

60. ტეტუნაშვილი - **ალავიძე**
63. დეკანოიძე - **მ. ჯიშკარიანი**
74. სეფიაშვილი - **კილასონია**

სათადარიგოები: დაუშვილი, ნარმანიძე, კაკაშვილი, უგრეხელიძე

გაფრთხილება: **მეტრეველი (21), რაზმაძე (45), დ. ბოლქვაძე (50), მურველაშვილი (90).**
არბიტრი: **თ. გვანცელაძე (სამტრედია)**

მთავარი შედეგია...

ს.კ სპარტაკის პრესსამსახურის ფოტო

» მე-3 გვერდზე

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **37 78 07**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საქართველოს ჩემპიონატი XXIII ტური

მთავარი შედეგია...

« მე-2 გვერდიდან

... „ოლიმპსა“ და „სპარტაკს“ აბსოლუტურად განსხვავებული მიზნები აქვთ ამ სეზონში და რა გასაკვირია, რომ გუშინდელი მატჩის წინ ფავორიტად მასპინძლები მიიჩნეოდნენ. საბოლოოდ, შეხვედრა „ოლიმპის“ გამარჯვებით კი დამთავრდა, მაგრამ რუსთაველთა გუნდის თამაშს „საჩემპიონო“ ნამდვილად არ ეთქმოდა; უფრო მეტიც: გუშინდელი დაპირისპირება საყაიმო შედეგით რომ დამთავრებულიყო, ალბათ, ეს უფრო ლოგიკური იქნებოდა. თუმცა, მატჩის შემდეგ გამოუყენებელ მომენტებსა თუ სხვა „გარეშე ფაქტორებზე“ საუბარი ხომ არაფერს შეცვლის: გამოცდილების (გნებავთ, კლასის) ხარჯზე მასპინძლებმა მაინც შეძლეს მეტოქის წინააღმდეგობის დაძლევა და არადამაჯერებელი ასპარეზობის მიუხედავად, მეტად საჭირო სამი ქულა მოიპოვეს. გამოცდილება და კლასი კი შემთხვევით არ გვიხსენებია: „ოლიმპმა“, ფაქტობრივად, ერთადერთი საგოლე მომენტი შექმნა (ისიც, მეტოქის „დახმარებით“) და ის შეტევაც ზუსტი დარტყმით დაგვირგვინდა. თუმცა, ისეც არ გვინდა ვინმემ გაიგოს, თითქოს მთელი მატჩი სტუმართა დომინირებით მიმდინარეობდა და **გრიგოლ ბედიაშვილის** კართან მომენტი-მომენტს ცვლიდაო; ასე ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ ის კი დასაფასებელია, აუტსაიდერმა გუნდმა მოქმედ ჩემპიონს ტოლი რომ არ არაფერში დაუდო და მართლაც ცოტა დააკლდა, რუსთავიდან ქულა წამოეღო.

...შეხვედრა მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო. განსაკუთრებით „ოლიმპის“ ფლანგის ნახევარმცველები (**რევაზ გეწაძე, ირაკლი მაისურაძე**) აქტიურობდნენ, მაგრამ რეალურ მომენტებამდე საქმე არ მისულა; ამასთან, ისე როგორც წინა მატჩებში, კვლავაც საიმედოდ ასპარეზობდა „სპარტაკის“ გამოცდილი მეკარე **სოსო გრიშიკაშვილი.** ამის შემდეგ თამაში გათანაბრდა და მალე, „სპარტაკის“ ორი მწვავე კონტრშეტევაც ვიხილეთ: ერთ ეპიზოდში **ბესიკ დეკანოიძის** პასით **ზვიად მეტრეველს** მახვილი კუთხიდან გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ გრიგოლ ბედიაშვილმა საიმედოდ ითამაშა. მანამდე კი ერთობ საკამათო ეპიზოდიც მოხდა, თამაშის დროსაც და მატჩის დასრულების შემდეგაც არაერთგვაროვანი შეფასება რომ მოჰყვა; მეტრეველმა სიღრმიდან პასი მიიღო და **ალექსანდრე კვახაძესთან** ძალისმიერ ორთაბრძოლაში მასპინძელთა კარში ბურთის ზუსტად დარტყმაც მოახერხა, მაგრამ... მსაჯის სასტვენის შემდეგ. ტრიბუნიდან ისე ჩანდა, ვიდრე დაარტყამდა, „სპარტაკის“ ფორვარდმა ბურთი ხელით გაისწორა და, ალბათ, ამიტომაც დაისაჯა ყვითელი ბარათით. თანაც, ამ გაფრთხილების გამო მეტრეველს მომდევნო მატჩის გამოტოვება უნევს და ამის გამოც ვერ მალავდნენ აღშფოთებას სტუმართა სამწვრთნელო შტაბი თუ ხელმძღვანელობა. სხვათა შორის, პირველი ტაიმის ბოლოს ოდნავ მიმსგავსებული სიტუაცია შეიქმნა სტუმართა კართანაც: **ლუკა რაზმაძემ** გოლი გაიტანა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც - სასტვენის მერე. ლაინსმენმა, ოდნავ დაგვიანებით, მაგრამ თამაშგარე მდგომარეობა მაინც დააფიქსირა და „ოლიმპის“ საყრდენმაც გაფრთხილება დაიმსახურა. აი, სულ ეს იყო „საინტერესო“ პირველ ტაიმში, თუ არ ჩავთვლით მასპინძლების ერთადერთ დარტყმას სტუმართა კარში: ირაკლი მაისურაძემ „ერთი შეხებით“ სცადა გოლის გატანა, მაგრამ გრიშიკაშვილმა ამჯერადაც უშეცდომოდ ითამაშა.

...მოვლენებით „დახუნძლული“ არც მეორე ტაიმი ყოფილა. სამაგიეროდ გოლი ვნახეთ: ირაკლი მაისურაძის წამოწყებულ შეტევას „სპარტაკის“ გამოცდილი მცველის **ბოიომო ფრიდოლინის** შეცდომა მოჰყვა, რის შედეგადაც ბურთი კარის წინ უმეთვალყურეოდ დარჩენილ რევაზ გეწაძეს მიუვიდა და ანგარიშიც გაიხსნა. გოლის მერე თამაში „გაიხსნა“ და სულ მალე ამ შეხვედრის უდავოდ გამორჩეული მოთამაშის **ვალერი ბოლქვაძის** დარტყმული ბურთი მცირე მანძილით ასცდა მასპინძელთა კარს. „სპარტაკს“ კიდევ ჰქონდა ერთი რეალური შანსი, როცა შეცვლაზე შემოსული **ვალერი კილასონიას** დარტყმული ბურთი ზვიად მეტრეველს მიუვიდა, რომელიც უაღრესად ხელსაყრელ პოზიციაზე იმყოფებოდა, მაგრამ მასპინძლები **გიორგი რეხვიაშვილმა** გადაარჩინა. მატჩის ბოლოს „სპარტაკმა“ რამდენიმე იერიში მიიტანა მეტოქის კართან, მაგრამ ბედიაშვილიც საიმედოდ თამაშობდა და „ოლიმპმაც“ აუღელვებლად შეძლო სამი ქულის მოპოვება.

... ზემოთ ბოლქვაძე ვახსენეთ და კიდევ ერთხელ გვინდა ამ ახალგაზრდა ფეხბურთელის ეფექტურ თამაშს ხაზი გავუსვათ; მოგეხსენებათ, მხოლოდ ჩვენთან კი არა, თანამედროვე ფეხბურთშია „კლასიკური“ გამთამაშებლების დეფიციტი და, საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი სასიამოვნო გამონაკლისი სნორედ ვალერი ბოლქვაძე გახლავთ. ფეხბურთს ხომ არასტანდარტული მოქმედებები ამშვენებს: ეფექტური ფინტები, შორ და საშუალო მანძილზე მეტოქეთათვის „დაფარული“ გადაცემები და ასე შემდეგ...

გია ტუხაშვილი

P.S. მატჩის დასრულების შემდეგ დაგვიკავშირდნენ „სპარტაკის“ წარმომადგენლები და გვამცნეს: ვიდეოჩანაწერის ნახვის შემდეგ დარწმუნდნენ, რომ მეტრეველს ხელით არ უთამაშია და თავიანთი წამყვანი ფეხბურთელისთვის ყვითელი ბარათის გაუქმების მოთხოვნით დღეს ფეხბურთის ფედერაციასაც ესტუმრებიან...

ად	გუნდი	თ	მ	ფ	წ	ბურთები		ქ
						გაც	გაშ	
1	ზესტაფონი	23	16	2	5	50	14	50
2	ოლიმპი	23	14	5	4	34	19	47
3	დინამო	22	11	7	4	26	11	40
4	ვიტ ჯორჯია	23	10	2	11	25	28	32
5	ბაია	22	8	5	9	22	29	29
6	ტორპედო	23	7	8	8	12	13	29
7	სიონი	23	6	7	10	16	29	25
8	სპარტაკი	23	6	5	12	24	27	23
9	კოლხეთი	23	6	4	13	16	36	22
10	სამტრედია	23	5	5	13	19	38	20

ბომბარდირები	გოლი (პენალტით)
გელაშვილი (ზესტაფონი)	12
წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი)	11 (1)
დვალი (ზესტაფონი)	10
მოდებაძე (ოლიმპი)	10 (1)

XXIV ტური

12 მარტი, შაბათი

სპარტაკი-ვიტ ჯორჯია

დინამო-სამტრედია

ოლიმპი-ბაია

ტორპედო-სიონი

ზესტაფონი-კოლხეთი

● ლეგიონი

ბუხაშვილის შორეული გასროლა

ბელარუსის თასის საპასუხო მეოთხედფინალში ბრესტის „დინამომ“ 1:1 ითამაშა სოლიგორსკის „შახტიორთან“ და გათამაშებიდან გამოვარდა. „დინამოში“ ორი ქართველია, 77-ე წუთზე **უჩა გოგოლაძემ** თანამემამულე **ზაზა ჭელიძე** შეცვალა, რომელმაც მანამდე სტუმართა კარში გოლი გაიტანა - 35-ე წუთზე ქართველმა ფორვარდმა ბრაზილიელი **ლაზარის** ჩანოდებული, პრაქტიკულად, კარის ხაზიდან გაიტანა.

ჩემპიონატი დაიწყო ჩვენს სამეზობლოშიც, სომხეთში, სადაც 8-გუნდიანი პირველობაა. პირველივე ტური ნაკლული გამოდგა, რადგან კაპანში უამინდობის გამო „განძასარისა“ და „ულისის“ მატჩი 24 მარტისთვის გადაიტანეს. არადა, უმთავრესად ამ ორ გუნდში თამაშობენ ქართველები, „განძასარში“: მეკარე **ლევან ბუბუტეიშვილი** (სომხეთის მოქალაქეა), მცველი **დავით ხანიშვილი** და ნახევარმცველი **ლაშა ჯანგიძე**; „ულისში“ მცველი **თენგიზ უგრეხელიძე**, ნახევარმცველები **გიორგი კრასოვსკი** და **გაგა თიბილაშვილი**, აგრეთვე თავდამსხმელი **შოთა ჯიქია**. „მიკასა“ და „შირაკს“ შორის შეხვედრა 0:0 დასრულდა, სტუმართა სათადარიგო სკამზე იჯდა მეკარე **გელა ძამუნაშვილი**, ხოლო მასპინძელთა განაცხადში არ ყოფილა **ირაკლი ცანავა**.

მოლდოვის ნაციონალური დივიზიონის 26-ე ტურში თავი გამოიჩინა „ნისტრუს“ ახალწვეულმა **გიორგი ტუხაშვილმა**, რომელიც სულ მეორედ თამაშობდა ამ გუნდის შემადგენლობაში. ის 74-ე წუთზე გამოვიდა მოედანზე და სტუმრად ლიდერ „დაჩიას“ შორი მანძილიდან ბრწყინვალე გოლი გაუტანა (82-ე წუთი) და ქულები დააკარგვინა - 1:1. „დაჩიას“ რიგებში შეუცვლელად ითამაშა **დავით გამეზარდაშვილმა**, ხოლო **ლევან კორღალიძე** მატჩის მიწურულს შეცვალეს. კორღალიძეს ჩემპიონატში 10 გოლი აქვს გატანილი.

ვაჟა თარხნიშვილის „შერიფმა“ 1:0 მოუგო „ისკრა-სტალს“ და ლიდერ „დაჩიამდე“ სხვაობა 2 ქულამდე შეამცირა. ქართველმა ვეტერანმა 90 წუთი ითამაშა. სტუმართა შორის 82-ე წუთამდე ითამაშა 20 წლის **სანდრო შუღლაძემ**. „ოლიმპიას“ შემადგენლობაში არ უთამაშია **დავით კაკულიას,** რომელიც სამუშაო ვიზის მიღებას ელოდება.

ფინეთში საფეხბურთო სეზონი ლიგის თასით ხურდება. უმაღლესში გადასულმა „როვანიემიმ“ სტუმრად 1:0 დაამარცხა „ოულუ“. გამარჯვების გოლის ავტორი 23 წლის **ვალტერ ხორგუაშვილია,** რომელმაც 76-ე წუთზე გაიტანა. მან და მისმა ძმამ, **პავლემ** შეუცვლელად ითამაშეს. „როვანიემი“ ლიგის თასის ა ჯგუფში მე-3 ადგილზეა.

ბოსნიაში „ზრინსკი“-“ჩელიკის“ მატჩში 90-ე წუთზე გამარჯვების გოლი პენალტით **ლევან კუტალიამ** გაიტანა. ეს მისი პირველი გოლია ახალ კლუბში. ქართველი ამ მატჩში 58-ე წუთზე გამოჩნდა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

BG Bet Guru
http://bet.goli.ge
სრულიად უფასოდ !!!
ხარ აზარტული და გიყვარს ფეხბურთი ?
გამოიცანი თამაშების შედეგები და მოიგე !
- თითოეულ ჩემპიონატზე თვეში 100 ლარი
- Top 5 - ყოველკვირეული გათამაშება - საპრიზო ფონდი 250 ლარი!
- სეზონის ბოლოს 3000 ლარი, ან 'ელ კლასიკოზე' დასასწრები 2 ბილეთი!

ქართული ფეხბურთი

● ინტერვიუ გიგა ბეჭვაიასთან

გიგა ბეჭვაია (მარცხნივ)

ახალგაზრდა ვეტერანი

ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი გიგა ბეჭვაიაა, რომელმაც "ვიტ ჯორჯიას" კაპიტნის სამკლავური ახლახან მოირგო და გუნდის ნამდვილ ლიდერადაც ჩამოყალიბდა. 24 წლის უნივერსალი ყოველ მატჩში აქტიურია და "ლელოს" მიერ შედგენილ ტურის სიმბოლურ ნაკრებებშიც ხშირად ხვდება.

სტაჟიან ვიტელთან საუბარი ბოლნისის "სიონთან" მოგებული მატჩით დავიწყეთ და შემდეგ სხვა თემებზეც გადავედით.

- ბოლნისში თამაში "ვიტ ჯორჯიას" ყოველთვის უჭირდა და იქ გამარჯვებამ მე და ჩემი თანაგუნდელები ძალიან გაგვახარა. ვინც ის შეხვედრა ნახა, დამეთანხმება, რომ სამი ქულა დამსახურებულად მოვიპოვეთ.

- ჩემპიონატის მეორე ეტაპზე "ვიტ ჯორჯიას" მიერ ჩატარებულ რომელ მატჩს გამოარჩევდი?

- ვფიქრობ, ყველა თამაში მაღალ დონეზე ჩავატარეთ და შესაბამისს შედეგსაც მივაღწიეთ. რომელიმე ცალკეული მატჩის გამოყოფა გამიჭირდება, რადგან "ვიტ ჯორჯიამ" ყველგან დამაჯერებლად ითამაშა. გული მხოლოდ იმაზე მწყდება, რომ რუსთავის "ოლიმპთან" დაუმსახურებლად დავმარცხდით და ზუგდიდის "ბაიასთანაც" ბოლო წუთებზე დასანანი ქულები დავკარგეთ.

- განსაკუთრებული მოტივაცია კაპიტნის სამკლავურმა შეგმატა თუ უბრალოდ დამთხვევაა, ბოლო დროს გაცლებით შესამჩნევი რომ გახდი?

- რა თქმა უნდა, კაპიტნობა უდიდესი პატივი და პასუხისმგებლობაა, მაგრამ "ვიტ ჯორჯიას" სარგებლობას ამის გარეშეც მოვუტანდი. მე არ მიმაჩნია, რომ მაინცდამაინც ახლა ავთამაშდი უფრო ეფექტურად. უბრალოდ, დაცვიდან ნახევარდაცვაში გადავინაცვლე, სადაც ფეხბურთელის აქტიურობა უფრო შესამჩნევია. გოლებიც სწორედ იმიტომ გავიტანე, რომ შეტევაში ჩართვა ჩემი მოვალეობაა.

- ყველაზე კარგად თავს რომელ პოზიციაზე გრძნობ?

- მეკარისა და ცენტრფორვარდის გარდა, ლამის ყველა ამპლუაში მითამაშია, უფრო სასარგებლო კი მარჯვენა ფლანგზე ვარ, არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, მცველი ვიქნები თუ ნახევარმცველი. სადაც მწვრთნელი გადაწყვეტს, მზად ვარ, გუნდს იმ პოზიციაზე გამოვადგე.

- "ვიტ ჯორჯიას" ასეთი პროგრესი რამ განაპირობა?

- თაობათა ცვლის პროცესი ნებისმიერ გუნდში მტკივნეულად მიმდინარეობს და ასე იყო ჩვენთანაც. გასულ ზაფხულს "ვიტ ჯორჯია" ძირითადი შემადგენლობის შვიდმა ფეხბურთელმა დატოვა, ზამთარში კიდევ ორმა და მგონი, ერთადერთი გამოცდილი მოთამაშე მე დავრჩი. ასეთ დროს, ბუნებრივია, გუნდი არასტაბილურად თამაშობს. სანამ ახალგაზრდები უმაღლესი ლიგის მოთხოვნებს შეეჩვეოდნენ, გარკვეული დრო გავიდა, ახლა კი თავს დამაჯერებლად გრძნობენ და საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენაც არ უჭირთ. "ვიტ ჯორჯიადან" ლიდერები ყოველთვის მიდიოდნენ, თუმცა ნიჭიერი ახალგაზრდები მათ ღირსეულად ცვლიდნენ და ახლაც ეს პროცესი მიმდინარეობს.

- უკვე აშკარაა, რომ "ვიტ ჯორჯიას" ჩემპიონატის საუკეთესო ოთხეულში მოხვედრის რეალური შანსი აქვს.

- დიახ, ეს ჩვენი პროგრამა-მინიმუმია, თეორიულად კი სამეულში მოხვედრაც შეგვიძლია და ამისთვისაც ბოლომდე ვიბრძოლებთ. ჩვენი მეორე მიზანი საქართველოს თასის ფინალში გასვლა და ტიტულის შენარჩუნებაა - არც ეს ამოცანაა შეუსრულებელი. მოკლედ, ყველაფერს ვიღონებთ იმისთვის, ევროთასებზე თამაშის უფლება რომ მოვიპოვოთ.

- შესწევს "ვიტ ჯორჯიას" იმის ძალა, ევროპის ლიგაზე შარშანდელივით რომ არ შერცხვეს?

- დარწმუნებული ვარ, შარშანდელი აღარ განმეორდება. მაშინ ევროასპარეზზე გამოუცდელი ფეხბურთელებით გავედით, ახლა კი ამ ბიჭებს მაღალ დონეზე თამაშის პრაქტიკა აქვთ და თავის სათქმელს აუცილებლად იტყვიან.

- გასულ სეზონში "ვიტ ჯორჯიას" წარმატებებში დიდი წვლილი ვერ შეიტანე.

- ზედიზედ ორი ტრავმა მივიღე და სეზონის მეორე ნახევარში ბევრი მატჩი გამიცდა. საბედნიეროდ, ახლა აბსოლუტურად ჯანმრთელი ვარ და ჩემი საყვარელი საქმის კეთებაში ხელს ვერაფერი მიშლის.

- "ვიტ ჯორჯიადან" უკვე წასული ფეხბურთელების მსგავსად, ალბათ თავადაც გსურს კარიერის საზღვარგარეთ გაგრძელება.

- უკვე წლებია, რაც "ვიტ ჯორჯიას" წევრი ვარ და ვგრძნობ, რომ განსხვავებულ დონეზე თამაშისთვის მომწიფებული ვარ. ჯერჯერობით, მხოლოდ "ვიტ ჯორჯიაზე" ვარ კონცენტრირებული და მისი წარმატებებისთვის ვიბრძვი, თუმცა წასვლის დრო აუცილებლად მოვა. კლუბის ხელმძღვანელობა საინტერესო წინადადების მიღების შემთხვევაში არავის აბრკოლებს და სხვაგან გადასვლა მეც უპრობლემოდ შემეძლება.

- როგორ ფიქრობ, რომელ ქვეყანაში გამოავლენ საკუთარ შესაძლებლობებს?

- თუნდაც უკრაინის ჩემპიონატში. ჯაბა ლიპარტიას "ზარიაში" ჩარიცხვამ და წარმატებულმა დებიუტმა დამარწმუნა, რომ მსგავს გუნდში მეც მექნება თავის გამოჩენის პერსპექტივა. აზერბაიჯანში გადასვლისგან კი თავს შევიკავებდი.

- საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მოხვედრის იმედი თუ გაქვს?

- ვიცი, რომ ნაკრების მწვრთნელები საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს ესწრებიან და თუ ჩემს გამოცდას მიზანშეწონილად მიიჩნევენ, ვეცდები, იმედები გავამართლო. თავის დროზე 17 და 19-წლამდელთა ნაკრების წევრი ვიყავი და იმ პერიოდს დიდი სიამოვნებით ვიხსენებ, ეროვნულ ნაკრებში თამაში კი ჩემი უმთავრესი ოცნებაა.

ლევან ჯანეზაშვილი

ქართული ფეხბურთი

● ეროვნული ნაკრები

ქეცბაია იმავე შემადგენლობას დაეყრდნობა



საქართველოს ეროვნული ნაკრები 26 მარტს ხორვატიას თბილისში, 29 მარტს კი გასვლაზე ისრაელს ეთამაშება. ეს ორი შეხვედრა ლაკმუსის ქაღალდივით იქნება და გამოჩნდება, რამდენად რეალურია ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი ნაკრების გასვლა და რა სტადიაშია გუნდის შენება.

ცხადია, საინტერესოა, დაგეგმილი მატჩებისთვის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **თემურ ქეცბაია** ვის გამოიძახებს. ფედერაციაში ლაკონიურად გვიპასუხეს, სია დაახლოებით ათ დღეში გამოქვეყნდება და მოითმინეთო.

სხვა გზა არ იყო, სიის კულუარული გზით მოპოვება გადავწყვიტეთ. ცხადია, უპირველესად გვაინტერესებდა, სომხეთთან გამოძახებული შემადგენლობიდან გუნდს ვინ გამოაკლდებოდა და ვინ დაემატებოდა. გვითხრეს, რომ ხორვატია-ისრაელთან შეკრებაზე გამოძახებულია აბსოლუტურად იგივე შემადგენლობა, რაც სომხეთთან. ისევე როგორც მაშინ, ქეცბაია ამჯერადაც არ ინვევს მოსკოვის „ლოკომოტივიდან" ნამოსვლის შემდეგ უგუნდოდ დარჩენილი **მალხაზ ასათიანს**. "ასკა" ახლა ინდივიდუალურად ემზადება და ნაკრების მთავარი მწვრთნელი ასეთ მდგომარეობაში საპასუხისმგებლო მატჩებს ვერ ანდობს.

ნაკრებში გამოძახებულები არიან სომხეთთან ტრავმის გამო გამოკლებული **უჩა ლობჟანიძე, ლადო დვალიშვილი** და **სანდრო გურული**. სამივე მომჯობინდა და უკვე ვარჯიშობს, მაგრამ ჯერ უცნობია, ლობჟანიძე მარტის ბოლოსთვის მზად იქნება თუ არა.

რაც შეეხებათ ახლებს, ცვლილება იმ შემთხვევაშია მოსალოდნელი, თუ გამოძახებულთაგან რომელიმე დაშავდება. ყველა დანარჩენს კი კლუბში მიწვევას მალე გაუგზავნიან.

მეკარეები: **გიორგი ლორია („დინამო"), ნუკრი რევიშვილი („ანჟი", რუსეთი);**

მცველები: **კახა კალაძე („ჯენოა", იტალია), ლევან კაკუბავა („დინამო"), ზურაბ ხიზანიშვილი („რედინგი", ინგლისი), გურამ კაშია („ვიტესი", ჰოლანდია), აკაკი ხუბუტია („გაზ–მეთანი", რუმინეთი), ალექსანდრე ამისულაშვილი („კრასნოდარი", რუსეთი), ლაშა სალუქვაძე („ანჟი", რუსეთი);**

ნახევარმცველები: **გოგიტა გოგუა („ვოლგა" რუსეთი), მურთაზ დაუშვილი („ზესტაფონი"), ჯაბა კანკავა („დნიპრო", უკრაინა), დავით კვირკველია („პანიონისი", საბერძნეთი), გიორგი მერებაშვილი („ვოივოდინა", სერბეთი), ჯანო ანანიძე („სპარტაკი", მოსკოვი), სანდრო გურული („კარპატი", უკრაინა), ლევან კობიაშვილი („ჰერტა", გერმანია);**

თავდამსხმელები: **ალექსანდრე იაშვილი („კარლსრუე", გერმანია), დავით სირაძე („სპარტაკი", ნალჩიკი, რუსეთი), ლადო დვალიშვილი („მაკაბი", ჰაიფა ისრაელი), მათე ვაწაძე („ვოლგა", რუსეთი);**

● პინაურ მლვდელს შენდობა არ აქვს

პირველი ქართველი უეფაში

დავით პეტრიაშვილი

დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთი 20 წელიწადს ითვლის და თუ ბოლო დროს ნაკრების ღირსეულ თამაშს არ ჩავთვლით, ამ ხნის განმავლობაში ვერც სანაკრებო, ვერც საკლუბო წარმატებით და ვერც გამართული შიდა ინფრასტრუქტურით ვერ დავიკვეხნით, არბიტრებსაც ტოპკლასის ტურნირებს ჯერჯერობით არ ანდობენ.

სხვა ვითარებაა უეფასთან ინტეგრაციის მხრივ - მატჩის დირექტორი **დავით პეტრიაშვილი** და მედიაოფიცერი **მამუკა კვარაცხელია** მუდმივად მივლინებული არიან მსოფლიო თუ ევროპის ჩემპიონატებზე, ჩემპიონთა ლიგასა თუ უეფას თასის თამაშებზე, ამ ტურნირების ფინალურ მატჩებზე. 2009 წელს მონაკოში "შახტარი"-"ბარსელონას" სუპერთასზე (0:1) და უეფას თასის ფინალში სტამბულში "შახტარი"-"ვერდერზეც" (2:1) დანიშნეს.

ის ხომ არ არის ჩვენი საფეხბურთო მეურნეობის დაულაგებელი ვითარების ბრალი, რომ ამ ორ პროფესიონალს აქამდე არც ფედერაცია სწყალობდა და არც კლუბები? ორივე მათგანი 2005 წლიდან ოფიციალურად უმუშევარია. პეტრიაშვილი საფეხბურთო სკოლა "საბურთალოს" ვიცე-პრეზიდენტად მიიწვიეს, ამ ხუთი წლის განმავლობაში მათი სამსახურით ქართული კლუბებიდან მხოლოდ "ზესტაფონი" დაინტერესდა, რომელიც ამ ორ სპეციალისტს უეფას ტურნირებზე მუდამ იწვევს. სამაგიეროდ, კლუბებში ხშირად მუშაობენ ის ადამიანები, რომლებიც ფაქტობრივად დაბადებიდან ქართულ ფეხბურთში არიან და ღირებული არაფერი შეუქმნიათ, თუ არ ჩავთვლით მსაჯებთან ახლობლობას...

ფეხბურთის ფედერაციის ახლანდელი პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა**, რომელიც ხშირად ამბობს, ფეხბურთი კარგად არ ვიციო, ბევრზე უფრო მცოდნე აღმოჩნდა და სანაკრებო თამაშებზე ორივეს ხშირად იწვევს. თუ ბოლო მატჩებს გადავხედავთ, ქართულ სანაკრებო ისტორიაში შარშან ლამის პირველად მოხდა, როცა სტადიონზე არავინ შეჭრილა და არც უეფას გამოუგზავნია სოლიდური ჯარიმების სია...

არადა, ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ქართული კლუბი, თბილისის "დინამო" უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე მოხვდა და მაშინ გუნდს დავით პეტრიაშვილი ხელმძღვანელობდა.

ჩვენში სათანადოდ თუ არ ვაფასებთ, ფიფა და უეფა აფასებენ და ინებეთ მაგალითი: დავით პეტრიაშვილი გახდა პირველი ქართველი, ვინც უეფას შტატში აიყვანეს. შვეიცარიის კანონებით, ამ ქვეყანაში მოღვაწე ყველა ორგანიზაცია ვალდებულია ჯერ შვეიცარიის მოქალაქე დაასაქმოს, შემდეგ ევროკავშირელი; ფაქტობრივად, არაევროკავშირელის აყვანა გამორიცხულია. დავით პეტრიაშვილზე კი გამონაკლისი დაუშვეს, რადგან უეფას 1998 წლიდან ემსახურება და 2011 წლის 1-ელი მარტიდან უეფას პროგრამა "ჰეთთრიკის" მენეჯერად დანიშნეს -ამიერიდან იგი ჟენევაში იცხოვრებს და ნიონში უეფას შტაბ-ბინაში იმუშავებს.

ამჟამად, თქვენ რომ ამ სტატიას კითხულობთ - კვარაცხელია და პეტრიაშვილი დონეცკში "შახტარისა" და იტალიური "რომას" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის თამაშს უწევენ ორგანიზებას, ხოლო შემდეგ მამუკა კვარაცხელია კიევში "დინამო"-"მანჩესტერ სიტის" ევროპის ლიგის მატჩზე გადაინაცვლებს, თვის ბოლოს კი უკრაინისა და იტალიის ნაკრებების კიევურ თამაშს გაუწევს ორგანიზებას, თანაც უკრაინული ფეხბურთის ფედერაციის მედიამუშაკებს ევროპის ჩემპიონატისთვის მოამზადებს.

● ლეგიონერი

ინტერვიუ ირაკლი კლიმიაშვილთან

ჩემი მეგობარი რობერტო კარლოსი

ირაკლი კლიმიაშვილმა ამოისუნთქა. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი შემტევი ნახევარმცველი, რომელიც შესარჩევი ჯგუფის საუკეთესო ასისტენტებში მოხვდა, უცხოეთში წასვლას ორი წელი ცდილობდა და როგორც თავად ამბობს, წვალების ეტაპი მახაჩყალის "ანჟისთან" კონტრაქტით დაასრულა.

ირაკლი დაღესტნურ კლუბთან ერთად კვლავ თურქეთში ვარჯიშობს. 22 წლის კლიმიაშვილს გუშინ დავუკავშირდით და ინტერვიუ ჩამოვართვით.

- როგორც ვიცი, მოსამზადებელი ეტაპი უსიამოვნო ამბავით დაიწყე: "კრასნოდარის" პრეზიდენტს მოეწონე, მაგრამ საბოლოოდ გუნდი მაინც დატოვე.

- ეს იმდენად უსიამოვნო ამბავია, გახსენებაც არ მსურს. ტრანსფერი მართლა გადაწყვეტილი მეგონა. დასვენების პერიოდში, რევაზ ჩელებაძემ რამდენიმე ფეხბურთელი ქობულეთში ნაგვიყვანა, მწვრთნელი დაგვიქირავა და გვამზადებდა. ასე რომ, შეკრებაზე კარგ მდგომარეობაში ჩავედი. მიუხედავად იმისა, რომ "კრასნოდარში" მუსლინი ძალიან დიდი დატვირთვებით გვავარჯიშებდა, უპრობლემოდ გავუძელი და საკონტროლოებიც ვითამაშე. პრეზიდენტმა მართლაც თქვა, კარგი ბიჭი ხარო, და დავიმედდი, მაგრამ ისე წამოვედი, აღარ დავლაპარაკებივარ.

- მერე როგორ გამოჩნდა "ანჟის" ვარიანტი?

- "კრასნოდარიდან" წამოსული ძალიან ცუდ ხასიათზე ვიყავი, რადგან "კრასნოდარამდე" რამდენიმე სხვა ვარიანტიც ჩამეშალა და ვფიქრობდი, თბილისში რომ ჩამოვალ, რა განწყობა დამხვდება-მეთქი. ხომ იცით, როგორც ხდება, გასასინჯი ფეხბურთელი რომ ვერ რჩება, მერე მიზეზებს იგონებს. მეც როგორ მეთქვა, რუსულ კლუბთან ფინანსურ საკითხებზე ვერ შევთანხმდიმეთქი? ჩვენთან ასეთ ახსნას არავინ იჯერებს და ფეხბურთელს დასცინიან - დაიწუნეს და მიზეზებს იგონებსო. თბილისში ხომ ჩემებს ვეხმიანებოდი და ვიცი, რა ქილიკიც მიდიოდა. არადა, მართლა ასე იყო, "კრასნოდარში" ფინანსებზე შეუთანხმებლობის გამო არ დამტოვეს.

თბილისში წამოსვლას და "ვიტ ჯორჯიაში" დაბრუნებას ვაპირებდი, თუმცა გულახდილად რომ გითხრათ, ფეხბურთის და გასინჯვის გაგონებაც არ მსურდა. სწორედ ამ დროს აღმოვჩნდი "ანჟიში", რაც რევაზ ჩელებაძისა და ახრიკ ცვეიბას დამსახურებაა, რადგან გვერდში დამიდგნენ და გულგატეხილი ფეხბურთისკენ მომაბრუნეს.

- "ვიტ ჯორჯიაში" ბრუნდებოდი? "ოლიმპში" დარწმუნებულები იყვნენ, თუ ეს ვარიანტიც ჩაგეშლებოდა, რუსთავში ითამაშებდი.

- "ოლიმპში" მიწვევდნენ და ვერ ვიტყვი, რომ დაინტერესებული არ ვიყავი, მაგრამ თავიდანვე ვთქვი, საქართველოში მხოლოდ "ვიტ ჯორჯიაში" ვითამაშებ-მეთქი.

– ასეთი იმედგაცრუების შემდეგ "ანჟიში" აგიყვანეს და ამიტომ დათანხმდი ხანგრძლივ, 3,5-წლიან კონტრაქტს?

- ესეც ერთ-ერთი მიზეზი იყო. თუმცა კონტრაქტის ვადა მაინც პირობითი მგონია. თუ კარგად ვითამაშებ, მერე კლუბს ნებისმიერ საკითხზე შევუთანხმდები.

– გუნდში, სადაც აიყვანეს რობერტო კარლოსი და ფაბიო კანავაროს იწვევენ, ძირითადში მოხვედრის რა შანსი უნდა გქონდეს?

- კონკურენცია მართლაც დიდია, მაგრამ სპორტი ამის გარეშე წარმოუდგენელია. ჯანსაღი კონკურენცია ფეხბურთელისთვის კარგიც არის, რადგან სტიმული გეძლევა, მეტს ინდომებ და თავს ბევრს სთხოვ.

რა თქმა უნდა, არ ვიცი, "ანჟის" ძირითადში მოხვედრის რა შანსი მაქვს, რადგან ფეხბურთელებში უზარმაზარ თანხებს იხდიან. ცხოვრებაში გამართლებით არაფერი მომსვლია, ყველაფერს შრომითა და წვალებით ვაღწევდი, ბევრი წინააღმდეგობა და იმედგაცრუება განმიცდია, მაგრამ უკან არ დამიხევია.

"ანჟი" ჩემ ცხოვრებაში ახალი ეტაპია და ისიც ნაცნობი გზით უნდა გავიკვალო. შესაძლოა, თავიდან არც მათამაშონ, მაგრამ ამისთვის მზად ვარ, შემადგენლობაში ადგილს თავისით არავინ დამითმობს, ეს თამაშით უნდა დავიმსახურო. თუმცა დაღესტანში სათადარიგოთა სკამზე დასაჯდომად და მხოლოდ ხელფასის ასაღებად არ წავსულვარ, შემადგენლობაში მოხვედრა კი წამოუდგენელი ნამდვილად არ არის. მეტი წარმოუდგენელი რა გინდა. ბავშვობაში ბრაზილიელი ფეხბურთელების ფოტოებსა და პოსტერებს ვაგროვებდი, რობერტო კარლოსი ჩემი თაობის კერპი იყო, ახლა კი ერთ გუნდში ვთამაშობთ. ხომ ხვდებით, ეს რამხელა სტიმულია? ყველაფერი უნდა გავაკეთო, ოფიციალური შეხვედრებიც ერთად რომ ჩავატაროთ.

- როგორია, რობერტო კარლოსი ვარჯიშზე და ცხოვრებაში?

- ძალიან უშუალო, თბილი და სასიამოვნო ადამიანია. რამდენი ხანია, "ანჟიში" ვარჯიშობს და ურთიერთობა გვქონდა. სულ რაღაცას ვეკითხები... ცოცხალი ლეგენდაა და ბევრი რამ მაინტერესებს. ვარჯიშებზე ერთ ფლანგზე გვინევს თამაში, მწვრთნელი მეც მარცხნივ მაყენებს. პატარა ბიჭი ხომ არ არის, გრძნობს, რამხელა ყურადღებას ვაქცევთ, როგორი მოკრძალებით ვუყურებთ, მაგრამ არ იმჩნევს, სულ ხუმრობს, პატარა ბავშვი გეგონება. მართალია, უკვე ასაკშია, მაგრამ ძალიან მაგარია, კლასს ვერაფერი ნაშლის.

- მოკლედ, ახალი გუნდით კმაყოფილი ხარ.

- რა თქმა უნდა, მწვრთნელებმაც და გუნდელებმაც ისე კარგად მიმიღეს, არც მიგრძნია, ახალნვეული რომ ვარ. მაგრამ ადაპტაციაში განსაკუთრებით ნუკრი რევიშვილი და გიორგი ილურიძე დამეხმარნენ. მათ აქამდეც ვიცნობდი, შეკრებაზე ჩასულს თავს მევლებოდნენ.

- ანუ, ილურიძე "ანჟიში" დარჩა?

- როგორც ვიცი, ახლა მახაჩყალაშია და კონტრაქტს აფორმებს. გიორგი პერსპექტიული ბიჭია, ნუკრი კი პირველი მეკარე გახდა და ძალიან კარგ ფორმაშია. ორი თვეა "ანჟი" მოსამზადებელ ეტაპზეა, შვიდი შეხვედრა ჩაატარა და ერთი გოლი არ გაუშვია. ასეთი რამ იშვიათად ხდება.

- მართალია, რომ გაჯი გაჯიევს ქართველების მიმართ სიმპათიითაა განწყობილი?

- ობიექტური კაცია. ქართველების მიმართ სიმპათია რომ არ ჰქონდეს, სამ ქართველს არც დაგვტოვებდა. ისიც გაიხსენეთ, სამარის "კრილია სოვეტოვს" რომ ავარჯიშებდა, გუნდის კაპიტნად დათო მუჯირი დანიშნა. ჩემი არც ნათესავია და არც ახლობელი, ეტყობა, რაღაც საინტერესო თვისებები აღმოაჩინა და ამიტომაც ამიყვანა. გამოცდილი კაცია, ფეხბურთელებთან ურთიერთობა იცის და ეხერხება.

- ბევრ ფეხბურთელს რუსეთის ვიზის მიღება პრობლემად ექცა. სეზონი უკვე განახლდა და ეს საკითხი თუ მოაგვარე?

- დროებითი ვიზა უპრობლემოდ გამიკეთეს. "ანჟის" ხელმძღვანელობამ განაცხადი შეიტანა, სამუშაო ვიზაც რომ მომცენ. რევაზ ჩელებაძე ამაშიც გვერდში დამიდგა. სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, მენეჯერი ფეხბურთელს ასე გულიანად თუ დაეხმარებოდა.

- რა ნომრიანი მაისურა გადმოგცეს?

- 15 ნომერი ავიღე. სიმართლე გითხრათ, 24 ნომერი მინდოდა, რომლითაც "ვიტ ჯორჯიაში" გამოვდიოდი, მაგრამ დაკავებული აღმოჩნდა.

P.S. გუშინ „ანჟიმ" მორიგ საკონტროლო შეხვედრაში ალჩევსკის "სტალს" 1:1 დაუზავდა. გოლი დაღესტანელთა შორის ყველაზე აქტიურმა ირაკლი კლიმიაშვილმა გაიტანა.

საქართველომ მაკედონია დაამარცხა

ვასილ მაისურაძის განვრთნილი საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის ემზადება, რომელიც შემოდგომაზე დაიგეგმა.

მომზადების ერთ-ერთი ეტაპი გუშინ დაინყო: გუნდმა თურქეთის ქალაქ კუშადასის საერთაშორისო ოთხთა ტურნირზე პირველი შეხვედრა მაკედონიის 17-წლამდელებთან გამართა. მატჩი ვასილ მაისურაძის გაწვრთნილების უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით 3:0 დასრულდა.

ქართველი ახალგაზრდების გარდა, ტურნირზე მონაწილეობენ აზერბაიჯანისა და ირლანდიის 17-წლამდელთა, აგრეთვე თურქეთის რამდენიმე რეგიონის ნაკრები, ტურნირის ფინალი კი 13 მარტს გაიმართება.

აპრილში ქართველი ბავშვები ყაზახეთის საერთაშორისო ტურნირში ჩაერთვებიან.

გვერდი მოამზადა
მერაბ მამულაშვილმა

ექსკლუზივი | წერილი მეოთხე

მოგონებები ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობაზე

დასაწყისი 15 თებერვლის ნომერში

მაშინ, როცა დამოუკიდებლობისათვის ვიწყებდით ბრძოლას, მოსკოვში რუსებს შორის დაიწყო განხეთქილება. მე მაინც მგონია, რომ ეს ჩვენი და სხვა რესპუბლიკების დასაბნევად ხდებოდა, საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციას „დაუპირისპირდა“ საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ლიგების კავშირი. ეს ორგანიზაცია, რომლის პრეზიდენტობას ცნობილი საბჭოთა ფეხბურთელი **ვიქტორ პონედელნიკი** აპირებდა, საერთოდ ხელში იღებდა საბჭოთა კავშირში ყველაფერს, რაც ფეხბურთს უკავშირდებოდა. „ლიგების კავშირმა“ 1989 წლის 23 ივნისს კონფერენციაც ჩაატარა და ყველა რესპუბლიკას წესდება დაუგზავნა. „ლიგების კავშირი“ საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციას მუშაობას უწუნებდა და ვითომ კლუბებს მეტ თავისუფლებას და პრივილეგიებს სთავაზობდა. სინამდვილეში კი „ლიგების კავშირი“ საერთოდ არც კი ახსენებდა რესპუბლიკურ ფედერაციებს და მათ საფეხბურთო ცხოვრებას. ამ დამაბნეველი ორგანიზაციის წესდების პროექტზე ჩემი აზრი გამოვთქვი 1989 წლის 11 ივლისის გაზეთ „ლელოში“ დაბეჭდილ წერილში „ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ“. აი, ეს წერილიც: „როგორც ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, ამ ბოლო დროს ჩვენს პრესაში დაიბეჭდა წერილები, სადაც ლაპარაკი იყო საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების შესახებ. ავტორების აზრით, ჩემპიონატში უნდა მონაწილეობდეს საქართველოს უკლებლივ ყველა გუნდი, მათ შორის თბილისის „დინამოც“. წერილებზე გამოხმაურება სხვადასხვანაირი იყო. ზოგმა თავისი კომპრომისული ვარიანტიც წამოაყენა, მაგალითად, ერთ-ერთი მკითხველი გვთავაზობდა, რომ ჯერ, იქნებ უელსის მაგალითისამებრ, საქართველოს თასის გათამაშება ჩაგვეტარებინა იმ უფლებით, რომ თასის მფლობელი ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ტურნირში მიიღებდა მონაწილეობას... სხვათა შორის, ჩვენმა ფეხბურთის სამმართველომ უკვე ჩაიფიქრა და იმედია, მალე ჩაატარებს კიდეც საქართველოს თასის გათამაშებას, ჩვენი ყველა ოსტატთა გუნდის მონაწილეობით. და აი, სიახლე, რომელიც „ცენტრმა“ შემოგვთავაზა. ამა წლის 23 ივნისს საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ლიგების კავშირის კონფერენციაზე დაამტკიცეს და დაუგზავნეს ყველა რესპუბლიკებს წესდება, რომელშიც საერთოდ არ მოიხსენიება არც ერთი რესპუბლიკა და მისი საფეხბურთო ცხოვრება. საბჭოთა კავშირის საფეხბურთო კავშირი აერთიანებს უმაღლესი, პირველი და მეორე ლიგის გუნდებს და კლუბებს. აგრეთვე მწვრთნელებს, მსაჯებს, სპეციალისტებს და ფეხბურთის ვეტერანებს. „კავშირი“ გვევლინება თვითმმართველ პროფესიონალურ ორგანიზაციად. ეს „კავშირი“, საერთოდ, ხელში იღებს საბჭოთა კავშირში ყველაფერს, რაც ფეხბურთს ეხება: ეს იქნება ბანკში ანგარიშის გახსნა, ემბლემებისა და სუვენირების გამოშვება, სარეკლამო წარმოება, საფირმო მაღაზიები, სხვადასხვა სპორტული დანიშნულების ობიექტების მშენებლობა, აგრეთვე აწყობს სასწავლო-მეთოდურ შეკრებებს, თანამშრომლობს კოოპერატივებთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან და საზღვარგარეთის ფირმებთან.

ახლა ვნახოთ, რა მიზნები და ამოცანები აქვს „კავშირს“!!! მისი მთავარი ამოცანებია: საბჭოთა კავშირში ფეხბურთის პოპულარიზაცია და განვითარება, საბჭოთა ფეხბურთელების ოსტატობის ამაღლება სპორტსმენების, მწვრთნელების, მსაჯების და ფეხბურთის მოყვარულების ზნეობრივი აღზრდა, შეჯიბრების ჩატარების სისტემის სრულყოფა. სხვა ქვეყნების გუნდებთან ოფიციალური და კომერციული მატჩების ჩატარება, ფეხბურთელების, მწვრთნელების და კლუბების იურიდიული უფლებების დაცვა და ვეტერან ფეხბურთელებზე ზრუნვა.

ამ მიზნების მისაღწევად „კავშირი“ ატარებს საკავშირო პირველობებს სხვადასხვა ლიგაში და აგრეთვე საკავშირო თასსაც. განსაკუთრებით ყურადღებით მინდა დაკვირდეთ ამ პუნქტს. „კავშირი“ ზრუნავს, რომ თანაბრად გაანაწილოს ნიჭიერი და კვალიფიციური ახალგაზრდა ფეხბურთელები სხვადასხვა გუნდებსა და კლუბებში. აქედან გამომდინარე, ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდა თაობა შეიძლება „კავშირმა“ ჩათვალოს, რომ მოსკოვის „სპარტაკს“ ან არმიის ცენტრალურ სპორტულ კლუბს უფრო სჭირდება და ამ გუნდებში გაანაწილოს. „კავშირი“ ბევრ სხვა საქმიანობასაც ეწევა და გვევლინება საკავშირო ჩემპიონატებსა თუ სათასო მატჩების დროს წარმოშობილი ნებისმიერი საკითხის გადამწყვეტ ბოლო ინსტანციად (!). ყველა იმ „სიკეთისათვის“, რასაც „კავშირი“ ჰპირდება წევრებს, აუცილებელია ყოველმა წევრმა შეიტანოს სათანადო გადასახადი. ცალკე საგანაცხადო საწევრო უნდა გადაიხადონ იმ კლუბებმაც, რომელნიც მონაწილეობენ საკავშირო შეჯიბრებებში. საერთოდ „კავშირი“ არავის უშლის ფულადი დახმარების შეტანას, ჩამოთვლილია ყველა სახის ორგანიზაცია და ყველანაირი გარიგებები, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება „კავშირის“ გამდიდრება. „კავშირში“ შესვლაც და გამოსვლაც ნებაყოფლობითია (თუმცა საიდანმე გამოსვლა რა „ადვილიცაა,“ ყველამ კარგად ვიცით). წევრმა „კავშირის“ დატოვებისას ადმინისტრაციას დროზე უნდა აცნობოს თავისი გადაწყვეტილების შესახებ, რომ არ შეუშალოს ხელი „კავშირის“ ნორმალურ მუშაობას. აქვე ისიც ნათქვამია, რომ გამსვლელი ვალდებულია „კავშირს“ აუნაზღაუროს დანახარჯები. „კავშირის“ უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა კონფერენცია. საყურადღებოა ამ კონფერენციაზე წარმომადგენლობითი ნორმები, უმაღლესი ლიგის გუნდები და კლუბები ორ წარმომადგენელს აგზავნიან, პირველი ლიგისა — თითოს, მეორე ლიგის თითოეული ზონიდან ოთხი წარმომადგენელია, საბჭოთა კავშირის სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოდან — სამი, საკავშირო პროფკავშირებიდან — ორი, „დინამოს“ საკავშირო და არმიის ცენტრალური სპორტული კლუბიდან კი თითო. ვის ახსოვს, რესპუბლიკები. მთავარია, რომ ყველაფერი მასშტაბური იყოს და სოლიდურად გამოიყურებოდეს. როგორც უკვე მოგახსენეთ, „კავშირი“ განაგებს ყველაფერს, რაც საბჭოთა ფეხბურთში ხდება. მას შემდეგ, რაც ზოგადად გავეცანით მის სამოღვაწეო არეს, მიზნებსა და ამოცანებს, უთუოდ უნდა დავფიქრდეთ, გვინდა კი ისეთი „კავშირის“ წევრობა, რომელიც საქართველოს ფეხბურთის სამმართველოს საერთოდ არაფერს აღარ ეკითხება და ისე განაგებს ჩვენი გუნდების და ფეხბურთელების ბედს როგორც თვითონ მოეპრიანება? ჩვენი ფეხბურთის სამმართველო და ფეხბურთის ფედერაცია რჩებიან მხოლოდ საქართველოს დღევანდელი პირველობის გუნდების ამარა და რა გარანტია გვაქვს, რომ ხვალ ისინიც „ცენტრის“ „კავშირის“ გამგებლობაში არ გადავლენ. როგორც ვიცი, ჩვენი ოსტატთა გუნდების ხელმძღვანელთა მხოლოდ მცირე ნაწილმა გამოთქვა სურვილი, რომ საქართველო ცალკე, დამოუკიდებლად ატარებდეს თავის პირველობას. საჭიროა „დამოუკიდებელი“ პირველობის მოწინააღმდეგენი ახლა მაინც ჩაფიქრდნენ. განა ნათელი არ არის, რომ „კავშირი“ სულაც არ ითვალისწინებს სხვადასხვა ერების ფეხბურთის განვითარებას? ამიტომაც ნურავის გაუკვირდება საბოლოო ჯამში ყველა რესპუბლიკების ფეხბურთი ერთ დონეზე რომ დავიდეს, სწორედ ამაზე მეტყველებს ნიჭიერი ფეხბურთელების განაწილების პრინციპი, რომელზეც ზემოთ უკვე მოგახსენეთ.

ჩვენ არავისგან გვჭირდება ჭკუის სწავლება, არც არავიზე ნაკლები ფეხბურთელები გვყოლია და გვყავს. დროა, ჩვენმა ფეხბურთელებმა საქართველოს პირველობაზე ითამაშონ და მერე ვნახოთ, რა შეგვიძლია“.

ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობის მომხრეები ძირითადად მაინც საკითხის პოლიტიკურ ასპექტზე ამახვილებდნენ ყურადღებას, სწორედ ამიტომ გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ 23 სექტემბრის ნომერში გამოვაქვეყნე წერილი „უნდა შეიქმნას ეროვნული საფეხბურთო ლიგა“, სადაც შევეცადე ეროვნული ჩემპიონატის საფეხბურთო მნიშვნელობაზე მესაუბრა.

ამ საკითხის პოლიტიკურ მნიშვნელობაზე ბევრს არ ვილაპარაკებ, თავისთავად ცხადია, თუ სუვერენული სახელმწიფო ვართ, უნდა გვქონდეს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტიც და საკუთარი ფედერაციებიც, რომელნიც საერთაშორისო ფედერაციების წევრები იქნებიან...

ალბათ დამეთანხმებით, რომ ჩვენი 12 წლის იუნიორი ევროპაშიც და მსოფლიოშიც არავისზე ნაკლები არ არის, ბურთის ფლობით გინდა თუ აზროვნებით. ამის დასტურია ჩვენი იუნიორების წარმატებები, როგორც საკავშირო, ისე, რაც მთავარია, საერთაშორისო ტურნირებში.

კარგი იუნიორები გვყავს, მაგრამ დიდ ფეხბურთში კრიზისი გვაქვს. რა უნდა იყოს ამის მიზეზი? სად ქრებიან ნიჭიერი იუნიორები? სად მიდიან და საუკეთესოები საკავშირო პირველობაზე მოთამაშე გუნდებში, ნაკლებ პერსპექტიულები კი საქართველოს პირველობაზე. რაც შეეხება საკავშირო პირველობაზე მოთამაშე ჩვენს გუნდებს, ისინი განაწილებული არიან სხვადასხვა ლიგებში და მოქცეული არიან ჩაკეტილ წრეში, სადაც ფაქტობრივად არავითარი საშუალება არა აქვთ ოსტატობის ამაღლებისა. მეორე ლიგის გუნდები თამაშობენ მეცხრე ზონაში, აზერბაიჯანისა და რუსეთის ფედერაციის რამდენიმე გუნდთან ერთად, მთელი არსებობის მანძილზე, ჩვენს მეორე ლიგის გუნდებს სხვა ასპარეზი არ ექნებათ, მათ უნდა ითამაშონ ყაზახის „გოიაზანთან“, კიროვაბადის „ქიაფაზთან“ და ვოლჟსკის „ტორპედოსთან“, პირველი ლიგის გუნდები კი თავიანთ ოსტატობას იმაღლებენ, თუ ამას ამაღლება შეიძლება ერქვას, კემეროვოს „კუზბასთან“, იაროსლავლის „შინიკთან“ და ტიუმენის „გეოლოგთან“. თბილისის „დინამო“ კი დამეთანხმებით, ფაქტობრივად ქვეყნის ნაკრებია, რომელიც ნაკრებების დონეზე არ თამაშობს და იმით კნინდება...

მოკლედ, ჩვენი გუნდები ასე ძაღლუმადურად დაეხეტებიან ყაზახიდან - ვლადივოსტოკამდე და კიშინიოვიდან-ტიუმენამდე. მოდით, გავაცნობიეროთ რისთვის დაეხეტებიან. ალბათ მიზანი უნდა ასეთი იყოს. ერთი - აიმაღლონ ოსტატობის დონე და აქედან გამომდინარე გაახარონ მაყურებელი. მეორე - ქართულმა ფეხბურთმა საერთაშორისო არენაზე მოიპოვოს „ავტორიტეტი“. „ლელოში“ დაბეჭდილი ერთ-ერთი წერილის ავტორი გაკვირვებული იყო, ვინ ეძახის ქართველ ფეხბურთელებს რუსებსო. მე ამ კაცის მიამიტობით ვარ გაკვირვებული, უცხოელები ხომ დიდი ხანია რუსებს ეძახიან, ყველა საბჭოთა სპორტსმენს, ამ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში კი ისე მოეწონათ ეს საბჭოთა ჟურნალისტებს, კორესპონდენტებს და კომენტატორებს, რომ ძალიან ხშირად აღარც აქცევენ ყურადღებას, ისე იძახიან საბჭოთას ნაცვლად რუსს. კიდევ უფრო გავაკვირვებ იმ წერილის ავტორს, მას ალბათ არ გაუგია, რომ ფეხბურთელს ვინ ჩივის, ფიროსმანი მონათლეს რუს მხატვრად ორჯერ, ჯერ „მოსკოვი-პარიზის“ გამოფენაზე და შემდეგ უკვე გამომცემლობა „ავრორამ“ ფიროსმანის ნამუშევარი შეიტანა ალბომში „ნატურმორტი რუსულ ხელოვნებაში“.

ისევ ფეხბურთს დავუბრუნდეთ, ფაქტია, რომ ჩვენი ფეხბურთელები საერთაშორისო არენაზე ჩვეულებრივი მამლუქები არიან. მამლუქები კი, როგორც ცნობილია, სხვის ომში, სხვისი მიზნებისთვის იბრძვიან...

ზურაბ პეტრიაშვილი

გაგრძელება სამშაბათობით

მწვრთნელი

რაფა ბენიტესი: ტორესმა ტყუილი მოიგონა

„ლივერპულის“ ყოფილი მწვრთნელი **რაფა ბენიტესი** გაოცებულია. მისი ძველი შეგირდები ინტერვიუებში ამბობენ, რომ ის მეგობრული ადამიანი არ არის, ფეხბურთელებთან ურთიერთობაში ცივია და დისტანცია უჭირავს. კიდევ, ესპანელი სპეციალისტი, რომელიც მერსისაიდიდან წასვლის შემდეგ ერთიხანობა „ინტერს“ ედგა სათავეში, ყვება, რომ „ენფილდ როუდზე“ მისი კარიერა ფინანსურმა შეზღუდვებმა დაასრულა.

დავიწყოთ ფეხბურთელებთან ურთიერთობით. აი, რა თქვა რამდენიმე მათგანმა: **ჯერმაინ პენანტმა** დაიჩივლა, რომ ბენიტესი მის რობოტად გადაქცევას აპირებდა, **ალბერტ რიერა** ერთ-ერთ ინტერვიუში ამტკიცებდა, რომ „ლივერპულში“ მწვრთნელსა და ფეხბურთელებს შორის დიალოგი ფაქტობრივად არ არსებობდა, **სტივენ ჯერარდმა** ერთხელ ნახევრად იხუმრა, 2006 წელს, ჩემპიონთა ლიგის გმირული ფინალის შემდეგ („ლივერპული“ „მილანთან“ პირველი ტაიმის შემდეგ 0:3-ს აგებდა, მაგრამ მეორეში ანგარიში გაათანაბრა და პენალტებით მოიგო) ერთი „ყოჩაღ“ ვერ გაიმეტაო, **ფერნანდო ტორესმა** კი ავტობიოგრაფიულ წიგნში დაწერა, რომ მისი გოგონას დაბადების მეორე დღეს ბენიტესმა... ახლო ძელთან შევარდნა მოუწონა.

„ისინი ამბობენ, რომ მე მეგობრული არ ვარ და ეს ძალიან უცნაურია — თქვა ბენიტესმა „მეილ ონ სანდისთან“ საუბარში - *მე ხომ ყოველ დღე ფიზიოთერაპიის ოთახში დაშავებულ ფეხბურთელებთან 15 წუთს ვატარებდი. კარგად ვიცი, რასაც ნიშნავს იყო დაშავებული და ექვსი თვე გუნდის გარეშე, მარტო ვარჯიშობდე. ამიტომაც ვამხნევებდი ამ ხალხს. ვეუბნებოდი, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა და ვცდილობდი ჩამენერგა რწმენა, რომ ისინი ძველებურად თამაშს შეძლებდნენ.*

განსაკუთრებული ურთიერთობა მქონდა ტორესთან, ჯერარდთან და რეინასთან. ეს სამეული გუნდში დიდ როლს თამაშობდა და მეც ამიტომ ველაპარაკებოდი, ვცდილობდი საბრძოლო სულისკვეთება ჩამენერგა. ისინი მუდამ სტიმულით აღსავსენი უნდა მყოლოდნენ . ტორესი, ჯერარდი და რეინა, ტექნიკურად, ფიზიკურად და მენტალურად ძლიერები არიან. მათი მზადყოფნა და შემართება ძალიან მნიშვნელოვანია. სხვა ფეხბურთელებთან კი, რასაკვირველია, განსხვავებული დამოკიდებულება მქონდა. შედარებით სუსტ ფეხბურთელებს დაყვავება და ნახალისება სჭირდებოდათ. მათ, ტოპ-მოთამაშეებისგან განსხვავებით ამოსუნთქვის საშუალება უნდა მისცე“.

ტორესის გოგონას დაბადებასთან დაკავშირებულ ანეკდოტზე ბენიტესმა ასე თქვა:

„ეს ტყუილია. რამდენიმე დღით ადრე ჩვენ ახლო ძელთან შევარდნას ვამუშავებდით. შემდეგ, „ჩელსისთან“ შეხვედრაში, ფერნანდომ ჩვენი კომბინაციის შესაბამისად ახლო ძელს შეუტია და გოლი გავიტანეთ. თამაში რომ დამთავრდა... ვიმეორებ, თამაში რომ დამთავრდა და არა მეორე დღეს, მე მასთან მივედი და ახლო ძელთან შევარდნა მოვუწონე. სამწუხაროდ, წიგნში მან დაწერა, რომ ეს მეორე დღეს მოხდა. სხვათა შორის, მე მას ვკითხე, რატომ მოიქცა ასე, მაგრამ პასუხი ვერ მივიღე. მოკლედ, ეს ტყუილია, მაგრამ გულშემატკივართა მეხსიერებაში ისე ჩაჯდა, რომ ახლა ვეღარავის ვეღარაფერში დაარწმუნებ“.

მოგეხსენებათ, რაფა ბენიტესის მწვრთნელობის დროს „ლივერპულის“ პატრონები **ტომ ჰიკსი** და **ჯორჯ ჯილეტი** იყვნენ. ესპანელი მწვრთნელი ამბობს, რომ სწორი სატრანსფერო პოლიტიკის გატარებაში ისინი მას ხელს უშლიდნენ.

„ჩვენ ვგრძნობდით, რომ პრემიერლიგის ჩემპიონობა შეგვეძლო, მაგრამ გუნდს გაძლიერება სჭირდებოდა, ხოლო ორი-სამი კარგი ფეხბურთელის ყიდვას ფული სჭირდება. თუ ფული არ გაქვს, რამდენიმე ფეხბურთელი უნდა გაყიდო. სამწუხაროდ, შემოსულ ფულს აღარ მაძლევდნენ. მაგალითად, მე „ფიორენტინადან“ სტევან ივოეტიჩის ყიდვა მინდოდა, მაგრამ ჰიკსმა და ჯილეტმა ხელები გაასავსავეს, ფული არ გვაქვსო.

დღეს, როდესაც არსად ვმუშაობ, ფეხბურთს მეტი სიამოვნებით ვუყურებ. ადრე სულ ანალიზი მჭირდებოდა და თამაშებს სულ სხვა კუთხით ვუყურებდი“.

ილია ბაბუნაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გამოხმაურება

ბრწყინვალე თამაში და ორი წიხლი

ვნებათაღელვა

დირკ კუიტის ჰეთ-თრიქმა პრემიერლიგის ტიტულისთვის ბრძოლა გაამწვავა, თუმცა, როგორც ინგლისური ტაბლოიდები აღნიშნავენ, არანაკლებ მწვავე იყო ის ტკივილი, რომელიც ლივერპულელმა **ჯეიმი კარაგერმა** ამ სამი ქულის გამო მანჩესტერელ **ნანის** მიაყენა. შესვენებისას „იუნაიტედის“ აღმასრულებელი შეფი **დევიდ გილი** მსაჯთა უფროსს **მაიკ რაილის** დაუპირისპირდა — კარაგერისთვის ყვითელი ბარათი კი არ უნდა ეჩვენებინათ, ის მოედნიდან უნდა გაეგდოთ. შეგახსენებთ, რომ შეხვედრის მსაჯი **ფილ დოდი** გახლდათ.



ნანის იარა

რაფაელი საჩხუბრად იწევდა

დღეს, როდესაც ინტერნეტში უამრავი სოციალური ქსელი არსებობს და კომუნიკაციები განვითარებულია, „იუნაიტედის“ თანამშრომლებისთვის ნანის დაზიანებული ფეხის ფოტოს საქვეყნოდ ჩვენება არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა. ეს ფოტო დაუყოვნებლივ გაჩნდა „ტვიტერზე“. ნანი, როგორც გახსოვთ, საკაცით გაიყვანეს, კარაგერი კი „იუნაიტედის“ გასახდელში შევიდა და პორტუგალიელს ბოდში მოუხადა.

გეხსომებათ, კიდევ ერთი კონფლიქტური სიტუაცია, როდესაც „მანჩესტერ იუნაიტედის“ ბრაზილიელი მცველი **რაფაელი** გაცხარდა. მისი სიბრაზე ლივერპულელი არგენტინელის **მაქსი როდრიგესის** უხეშობამ გამოიწვია. ამ ეპიზოდში თამაშის ერთ-ერთმა მთავარმა გმირმა, ურუგვაელმა **ლუის სუარესმა** რაფაელს თმებზე მოქაჩა — ასეთი გახლდათ „ენფილდზე“ გამართული სამხრეთამერიკული გარჩევა, რომლის დროსაც, რასაკვირველია, სხვა ეროვნების ფეხბურთელებიც ძიძგილაობდნენ.

გრემ პოლის კომენტარი

„პირველი ტაიმის მიწურულს ჯეიმი კარაგერი წითელ ბარათს გადაურჩა, მაგრამ მე შემიძლია გითხრათ, რატომ არ გააძევა ფილ დოდმა ლივერპულელი მოედნიდან: ეპიზოდის ბუნებრივ სიჩქარეზე ნახვისას მას არ დარჩებოდა შთაბეჭდილება, რომ კარაგერი დაუნდობლად მოიქცა. ხშირად, ეპიზოდის სიმძიმეს მხოლოდ შენელებული კადრი გამოკვეთავს ხოლმე. მაგრამ ასე იყო თუ ისე, იმ დანაშაულისთვის, რომელიც კარაგერმა ჩაიდინა, მას წითელი ბარათი ეკუთვნოდა, ხოლო ცოტა ხნის მერე „ლივერპული“ მოედანზე ცხრა კაცით უნდა დარჩენილიყო: მაქსი როდრიგესმა რაფაელს მაღლა ანეული, გაშლილი ფეხი ჩაარტყა. პირველი ეპიზოდისგან განსხვავებით, ეს დოდს ძალიან კარგად უნდა დაენახა და ვალდებული იყო წითელი ბარათი ამოეღო. ორივე ეპიზოდს გაწევ-გამოწევა მოჰყვა და ეს იყო ერთადერთი რამ, რამაც შესანიშნავ შეხვედრას ლაქა მოსცხო.

დოდს მაქსი როდრიგესი მოედნიდან რომ გაეგდო, ალბათ, თავიდან აიცილებდა ეპიზოდის გაგრძელებას, როდესაც ლუის სუარესმა რაფაელს თმა მოწიწკნა. რასაკვირველია, ეს მომენტიც წითელ ბარათს იმსახურებდა.

სხვა ეპიზოდებში დოდი არ შემცდარა“.

გატვიტეს და გამოტვიტეს

ტაბლოზე კი ლივერპულელთა გამარჯვება, 3:1 დაფიქსირდა. თუ ზემოთ აღწერილ ორ ეპიზოდს თავს დავანებებთ, მერსისაიდელებმა სრულიად დამსახურებულად მიითვალეს სამი ქულა. ეს გახლდათ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მესამე მარცხი ხუთ შეხვედრაში. მსგავსი რამ სერ **ალექს ფერგიუსონის** გუნდს 2004 წლის შემდეგ არ დამართვია.

რასაკვირველია, ასეთი დაძაბული თამაშის შემდეგ თავად ფერგიუსონის კომენტარი იქნებოდა საინტერესო, მაგრამ მანჩესტერელთა მწვრთნელს „დუმილის“ პერიოდი აქვს გამოცხადებული. მიზეზი მოგეხსენებათ: ფერგიუსონს მსაჯ **რონ ატკინსონის** კრიტიკის გამო ფეხბურთის ასოციაცია დასჯას უპირებს, ის კი ასაჩივრებს. ერთი სიტყვით, სანამ ყველაფერი გაირკვევა ფერგი ინტერვიუს არავის აძლევს, თვით „მანჩესტერ იუნაიტედის“ საკლუბო ტელევიზიასაც კი. თუმცა, ზემოთ სოციალური ქსელები ვახსენეთ და იქ, სხვა მანჩესტერელებმა, იცოცხლეთ, გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები. **რიო ფერდინანდმა**, რომელიც „ტვიტერის“ დიდი მუშტარია, დაწერა: *„ცუდად ვითამაშეთ, წავაგეთ და თავის გამართლებას აზრი არ აქვს“.*

ჰეთ-თრიქის ავტორის, დირკ კუიტის კომენტარი გუშინ, თამაშის მიმოხილვაშივე მოგახსენეთ. ჰოლანდიელმა სამივე გოლი კარის უშუალო სიახლოვიდან გაიტანა. ის სამივე შემთხვევაში საჭირო დროს საჭირო ადგილას იდგა და ბურთის ბადეში შეგდება არ გასჭირვებია. კუიტმა ორი გოლისთვის ლუის სუარესს გადაუხადა დიდი მადლობა.

„წითლების“ თავკაცმა **კენი დალგლიშმა** კი ასე ბრძანა: *„ასეთ შედეგს ფეხბურთელების დამოკიდებულების, ჟინის, მონადინების, საკუთარი კლუბით სიამაყის გამო მივაღწიეთ. „იუნაიტედი“ უმაღლესი დონის გუნდია და მასთან თამაში ყველასთვის დიდი ტესტია“.*

ილია ბაბუნაშვილი

● ამბები

კარგია თუ ცუდი

„გლეძკულის“ თავკაცი **იან ჰოლოუეი** ამბობს, რომ **ფერნანდო ტორესი** „ჩელსისთვის“ ბიზნესის თვალსაზრისით დიდებული შენაძენია, მაგრამ როგორც ფეხბურთელი 50 მილიონ ფუნტი ნამდვილად არ ღირს. ერთი სიტყვით, ინგლისელი მწვრთნელი ესპანელ თავდამსხმელს თან აქებს და თან აკრიტიკებს. მოგეხსენებათ, რაც „ლივერპულიდან“ „ჩელსიში“ გადავიდა, „ელ ნინიოს“ ჯერ გოლი არ გაუტანია, თუმცა ჰოლოუეი ასე ამბობს:

„ტორესი დიდებული ფეხბურთელია, მაგრამ თუ მკითხავთ, ღირს თუ არა ის 50 მილიონი, გიპასუხებთ, რომ ასე ძვირი არავინ ღირს. „ჩელსის“ პრეზიდენტ რომან აბრამოვიჩის მხრიდან ასეთი თანხის გადახდა ყელყელაობა იყო. მან თავი მოიწონა, შემხედეთ, რა მაგარი ბიჭი ვარ, რისი გაკეთება შემიძლიაო. ასეთი მიდგომას ვეთანხმები თუ არა? არა, არ ვეთანხმები. 50 მილიონი ძალიან დიდი ფულია. ასეთი თანხა ვინმემ რომ შემომთავაზოს, ფეხბურთელს კი არა, სახლ-კარს მივყიდდი.

სხვა მხრივ კი რა გითხრათ. ტორესმა ამ ჩემპიონატში ჩვენს წინააღმდეგ უკვე ითამაშა და გოლიც გაგვიტანა. მაშინ ის ჯერ კიდევ „ლივერპულში“ გამოდიოდა. ვფიქრობ, კარგ ფორმაშია თუ ცუდში ის მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელად რჩება. დამისახელეთ, აბა, მასზე ძლიერი ვინმე.“

ქება და დიდება

მართალია **დენიელ სტარიჯი** პრემიერლიგის დიდ ვარსკვლავებს არ განეკუთვნება და მის ნათქვამს იმდენი ძალა არ აქვს, რამდენიც პირველხარისხოვანი ფეხბურთელებისას, მაგრამ მაინც საინტერესოა, რომ მან „ჩელსის“ 18 წლის ცენტრალურ ნახევარმცველს **ჯოშ მაკეჩრანს** დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა. სტარიჯმა თქვა, თუ მაკეჩრანის განვითარებას არაფერი დააბრკოლებს, ის მალე გამორჩეულ მოთამაშედ ჩამოყალიბდებაო. შეგახსენებთ, რომ თავად სტარიჯიც „ჩელსის“ მოთამაშეა, მაგრამ ამ ზამთარს „ბოლტონში“ გააქირავეს.

მაკეჩრანმა ასაკის მიუხედავად უკვე ითამაშა ჩემპიონთა ლიგაში — სექტემბერში „ჟილინასთან“ შეხვედრაში ის გახდა პირველი ფეხბურთელი, ვინც... 20 წლის წინ დაარსებულ შეჯიბრებებზე უმცროსი გახლდათ. შესაძლოა ცოტა ჩახლართული აზრია, მაგრამ სტატისტიკოსები უკვე ყველაფერს ანგარიშობენ. პრემიერლიგის მიმდინარე შეჯიბრებაში ის ექვსჯერ შეუშვეს მოედანზე, 21-წლამდელთა ნაკრების თავკაცმა **სტიუარტ პირსმა** *კი თებერვალში იტალიასთან თავიდან ბოლომდე ათამაშა.*

„ჯოში ჩემი ახლო მეგობარია და ამიტომ ჩემგან მასზე ლაპარაკი უხერხული იქნება, თუმცა მასზე, როგორც ფეხბურთელზე, მაინც მოგახსენებთ: ის ფანტასტიკური მოთამაშეა, უდიდესი ნიჭის პატრონია და მერწმუნეთ, „ჩელსისა“ და ინგლისის ნაკრებისთვის შეუცვლელი ფიგურა გახდება. ერთადერთი, რაც მინდა ის არის, რომ მასზე არავინ მოახდინოს ზეწოლა. ის მხოლოდ და მხოლოდ 18 წლისაა და განვითარებისთვის დრო სჭირდება“.

გაიკეთებს ფერგი ნემსს?

„ბირმინგემის“ მწვრთნელი **ალექს მაკლიში** თავად **ბარი ფერგიუსონს** აარჩევინებს გაიკეთოს ნემსი თუ არა. ფერგიუსონს ნეკნი აქვს გაბზარული, თუმცა ექიმები ამბობენ, რომ ნემსით მალე გამოჯანმრთელდება... ყოველ შემთხვევაში მოედანს შედარებით მალე დაუბრუნდება.

ფერგიუსონი „ქარლინგის თასის“ ფინალში არსენალელ **სამირ ნასრისთან** ორთაბრძოლაში დაშავდა. გასულ შაბათს „ბირმინგემმა“ „ვესტ ბრომვიჩთან“ 3:1 წააგო. მიმომხილველები ამბობენ, რომ მისი არყოფნა მაკლიშის გუნდს ძალიან დააკლდა.

„ასეთი ტრავმა ბარისთვის პირველი არ არის. პირველად მაშინ დაშავდა, როდესაც მე „რეინჯერსის“ თავკაცი ვიყავი, თუმცა მაშინ ყველაფერი შედარებით იოლად მოგვარდა. ფერგიუსონს თამაშების გამოტოვება ძალიან არ უყვარს და ამიტომ მე, მან და ჩვენი გუნდის ექიმმა შაბათს ბევრი ვბჭეთ. პირდაპირ გეტყვით, ბარი ჩვენთვის იგივეა, რაც სესკ ფაბრეგასი „არსენალისთვის“ და უეინ რუნი „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“.

ილია ბაბუნაშვილი

● ბაიერნი

ვან გაალი დატოვეს!

...მაგრამ მხოლოდ სეზონის ბოლომდე

გუშინ საბოლოოდ დადასტურდა, რომ „ბაიერნის“ ხელმძღვანელების გადაწყვეტილებით, **ლუის ვან გაალი** რეკორდმაისტერის მთავარი მწვრთნელის პოსტზე რჩება. პრეზიდენტმა **ული ჰაინესმა** და ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, გადაწყვიტეს, რომ ჰოლანდიელს კიდევ ერთი შანსი მისცენ. თუმცა, გაირკვა და „ბაიერნის“ ორივე შეფის მხრიდან დადასტურდა ისიც, რომ ვან გაალი მხოლოდ ზაფხულამდე იმუშავებს, მომავალ სეზონში კი მიუნხენურ გრანდს ახალი დამრიგებელი ეყოლება.

„ბაიერნი“ პროგრამა მინიმუმის შესრულებას, ანუ, ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებას ლუის ვან გაალთან ერთად ეცდება, ზაფხულში კი, ჰოლანდიელ სპეციალისტთან კონტრაქტი გაწყდება და მომდევნო სეზონში გუნდს ახალი მწვრთნელი უხელმძღვანელებს,“ - ნათქვამია „ბაიერნის“ მიერ გუშინ გამოქვეყნებულ ოფიციალურ განცხადებაში.

ჩვენი გერმანელი კოლეგების რწმენით, ვან გაალი პოსტზე მხოლოდ იმიტომ დატოვეს, რომ ჰაინესმა და რუმენიგემ მისი შემცვლელი ვერ იპოვეს. „კიკერის“ ინფორმაციით, ჰაინესი და რუმენიგე შაბათს, კვირას და ორშაბათს სერიოზულად ფიქრობდნენ ლუისის ასისტენტ **ჰერმან გერლანდის** ან **მიქაელ ლაუდრუპის** (მალიორკა) დანიშვნაზე, მაგრამ გადაიფიქრეს. მათთვის სასურველი მწვრთნელების სიაში კი პირველ ადგილზე **მათიას ზამერი** რჩება. „კიკერის“ ცნობით, „ბაიერნის“ თავკაცად **რალფ რანგნიკის** ხილვა საბოლოოდ გამორიცხა. ული და კალე **რაფაელ ბენიტესზეც** დაფიქრებულან, მაგრამ ესპანელის კანდიდატურა მაშინვე გამორიცხავთ, რადგან რაფამ გერმანული არ იცის. მიმომხილველთა ცნობით, განიხილება **მარკუს ბაბელის** (ჰერტა), **არსენ ვენგერისა** და **ტორსტენ ფინკის** კანდიდატურებიც...

გოტფრიდ ლენცი

SERIE A

იტალია. სერია A XXVIII ტურის მიმოხილვა

მაროტას მოჯის აჩრდილი არ ასვენებს

სამპას ახალი მწვრთნელი ჰყავს

ტურის შემდეგ...

სანამ იმაზე ვიტყოდეთ, თუ რა ხდებოდა გასულ უქმეებზე იტალიურ საფეხბურთო მინდვრებზე, ტურის შემდგომი პროცესები მიმოვიხილოთ. მთავარი სასაუბრო თემა „იუვენტუსის“ კრიზისი და **ლუიჯი დელ ნერის** მომავალია. მისი თავკაცობით, „ბიანკონერი“ უპრეცედენტად სუსტ სეზონს ატარებს და 28 ტურის შემდეგ მხოლოდ მეშვიდე ადგილზეა. „იუვე“ ძალიან ახლოს არის იმასთან, რომ ჩემპიონთა ლიგის ზონის მიღმა დარჩეს. „იუვენტუსი“-“მილანის“ პაექრობისას ტურინელმა გულშემატკივრებმა დელ ნერისთან ერთად **ჯუზეპე მაროტასაც** შეუტიეს და კლუბში **ლუჯანო მოჯის** დაბრუნება მოითხოვეს. **ანდრეა ანიელი** ჯერჯერობით დუმს, ის ყველას არწმუნებდა, რომ დელ ნერი-მაროტას ტანდემი გუნდს ძველ დიდებას დაუბრუნებდა და ბუნებრივია, რომ სიტყვების უკან წაღება უძნელდება. ამასობაში, ლუჩანო მოჯი ტკბება განვითარებული მოვლენებით და კომენტარს კომენტარზე აკეთებს. „სენიორ კალჩოპოლი“ კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ნაღხის პოზიცია მისთვის სრულიად გასაგებია.

გუშინ გვიან გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „იუვეს“ მესვეურებმა დელ ნერის ულტიმატუმი წაუყენეს: თუ „ბიანკონერი“ მომდევნო ტურში „ჩეზენას“ დამარცხებას ვერ შეძლებს, მას პოსტის დატოვება მოუწევს. მოვლენათა ასეთი განვითარება სავსებით რეალურია, რადგან „ჩეზენა“ ბოლო დროს საკმაოდ კარგ ფეხბურთს თამაშობს და სახლში იოლად არაფერს დათმობს. სულ რომ მოიგოს „იუვემ“ ჩემპიონატის ერთ-ერთ აუტსაიდერთან, ძნელად წარმოსადგენია, რომ დელ ნერომ სკამი დიდხანს შეინარჩუნოს. ეგ კი არა, იმასაც ამბობენ, რომ მაროტამაც დაკარგა მოსვენება და აღარც მისი სკამია ძველებურად მყარი - იმასაც ამბობენ, რომ „იუვენტუსის“ სპორტულ დირექტორს მოჯის აჩრდილი არ ასვენებს... მაროტა იქით იყოს და, ვინ შეცვლის სენიორ დელ ნერის? - „გაძეტა დელო სპორტის“ ინფორმაციით, ეს ან **კლაუდიო ჯენტილე** იქნება, ან **პაველ ნედვედი**. უფრო რეალური ჩეხის გამწვრთნელება გახლავთ, რომელიც დღეს კლუბის დირექტორთა საბჭოს წევრია. ნედვედს არ აქვს სამწვრთნელო გამოცდილება, მაგრამ თანამედროვე ფეხბურთში ეს უკვე აღარავის უკვირს. თუნდაც „რომას“ და **ვინჩენცო მონტელას** მაგალითი ავიღოთ - რომ აღარაფერი ვთქვათ **პეპ გვარდიოლასა** და „ბარსელონას“ პრეცედენტზე. ბუნებრივია, რომ ახალ მწვრთნელთან ხელშეკრულება სეზონის ბოლომდე გაფორმდება და მხოლოდ იმ შემთხვევაში გახანგრძლივდება, თუ მხარეები თანამშრომლობით კმაყოფილები დარჩებიან. თუმცა, ჯერ დელ ნერია „იუვენტუსის“ მწვრთნელი და ვაცადოთ, იქნებ გამოძვრეს კიდეც.

დომენიკო დი კარლოს აღარაფერი უშველის, „ჩეზენასთან“ საშინაო მარცხის შემდეგ, „სამპდორიას“ პრეზიდენტს მოთმინების ფიალა აევსო და მწვრთნელს კარისკენ მიუთითა. რიკარდო გარონემ მადლობა გადაუხადა დი კარლოს გაწეული ღვაწლისთვის და დაემშვიდობა. სეზონის ბოლომდე „სამპას“ ალბერტო კავაზინა გაწვრთნის - აქამდე სამწვრთნელო შტაბში იყო და გუნდის გაძღოლა სწორედ მას მიანდეს. ვნახოთ, როგორ გაართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას.

დი კარლო გაათავისუფლეს

ტურის სიმბოლური

არკარი (ბრეშა) - **მაიკონი** (ინტერი), **მარეკო** (ბრეშა), **გამბერინი** (ფიორენტინა), **ბალცარეტი** (პალერმო) - **ჯაკერინი** (ჩეზენა), **ლედესმა** (ლაციო), **ჯაკომაცი** (ლეჩე) - **სკული** (ლაციო), **ეტოო** (ინტერი), **მუტუ** (ფიორენტინა).

მიუხედავად იმისა, რომ ტურის ცენტრალურ შეხვედრაში „მილანმა“ „იუვენტუსს“ გასვლაზე სძლია, რჩეულ ფეხბურთელებს შორის „როსონერის“ ვერც ერთი წარმომადგენელი ვერ მოხვდა.

ტურის გმირი

ტურის გმირად **სამუელ ეტოო** უნდა შევრაცხოთ, ფეხბურთელი, რომელმაც კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია. „ჯენოამ“ 1:0 მოუგო პირველი ტაიმი „ინტერს“ და შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ **ლეონარდოს** გუნდი ჰაერივით საჭირო ქულებს დაკარგავდა. თუმცა, მეორე ნახევარში ეტოო გადაირია, საკუთარ თავზე აიღო თამაში და ფაქტობრივად მარტომ გადაუარა მეტოქეს. ორი გოლი თავად გაიტანა, ერთი სამაგიეროდ, მეორე მილანური გრანდის თავდამსხმელმა, **სამუელ ეტოომ** დაიმსახურა ეს პატივი. კამერუნელმა მართლაც შესანიშნავად იასპარეზა „ჯენოას“ წინააღმდეგ და ხუთი გოლიდან ორი მიითვალა აქტივში. აქვე ვთქვათ, რომ ეტოო მეხუთეჯერ მოხვდა სიმბოლურ გუნდში. აფრიკელთან ერთად **ჯუზეპე სკულის** და **ადრიან მუტუს** ვხედავთ - ეტოოს მსგავსად, მათაც დუბლები შეასრულეს და განაპირობეს კიდეც საკუთარი წარმატება. „ფიორენტინამ“ „კატანია“ მიიღო და სამბურთიანი უპირატესობით დაამარცხა, „ლაციოს“ კი სკულის ორი გოლი ეყო „პალერმოს“ წასაქცევად. უკანა ხაზში „ბრეშას“ მცველი და მეკარე უნდა გამოვარჩიოთ - ეს გუნდი მთელი 90 წუთის განმავლობაში იცავდა თავს „ნაპოლისთან“ პაექრობაში და საბოლოოდ, ქულასაც გამოჰკრა ხელი.

ტურის გმირი: სამუელ ეტოო

ტურის დეგიუტი

მას შემდეგ, რაც „პალერმომ“‘ „უდინეზესთან“, რბილად რომ ვთქვათ. მარცხი იწვნია, გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტი **დელიო როსის** დაატოვებინეს. გამოცდილი სპეციალისტი ექსტრავაგანტულმა **სერსე კოსმიმ** შეცვალა, ვისი დებიუტიც გასულ უქმეებზე „ლაციოსთან“ პაექრობაში შედგა. სიცილიელთა ახალმა თავკაცმა საფუძვლიანად შეცვალა ტაქტიკა-სტრატეგია და ფეხბურთელებსაც შეუცვალა პოზიცია. კოსმიმ უცნაური სქემა აირჩია: 3-5-1-1 და ფლანგის ნახევარმცველებად ნომინალური მცველები გაამწესა - მარჯვნივ **მატია კასანი**, ხოლო მარცხნივ **ფედერიკო ბალცარეტი**. შესაძლოა ამ ტაქტიკამ მომავალში გაამართლოს, მაგრამ „ლაციოსთან“ აშკარად არ გაჭრა. რომაელებმა პირველივე ტაიმში გაუტანეს მეტოქეს ორი გოლი და გადაწყვიტეს კიდეც მატჩის ბედი. კოსმი უჩვეულო სიმშვიდით ადევნებდა თვალს მისი გუნდის უიმედობას, ერთს კი უთუოდ მიხვდებოდა: სამუშაო თავზესაყრელად აქვს.

ტურის მოვლენა

თუ „იუვენტუსი“-“მილანის“ თამაში არ გინახავთ, ძალიან ცუდი, რადგან თქვენ გაუშვით შანსი, ცოცხლად გენახათ **ჯენარო გატუზოს** გატანილი გოლი - თანაც რა თამაშში და ვის კარში... ტურის ცენტრალური შეხვედრის 68-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც რინო მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა, **ზლატან იბნრაჰიმოვიჩის** მიერ ბრძოლაში მოგებული ბურთი სწორედ მას მიუვიდა და ერთი შეხებით, მარცხენა ფეხით გადაგზავნა **ჯანლუიჯი ბუფონის** კარის ჩარჩოში. დიახ, ასეც ხდება, გატუზომ ბუფონს გაუტანა, რისი წყალობითაც „მილანმა“ „იუვენტუსთან“ ძალიან საჭირო სამი ქულა აიღო. ნამატჩევს, ჯენარო მეცხრე ცაზე იყო:

„ეს დღე არასოდეს დამავიწყდება, რადგან მსოფლიოს საუკეთესო მეკარეს გოლი გავუტანე. თუმცა, ამაზე უფრო მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ „მილანმა“ გამარჯვება მოიპოვა და ლიდერობა განიმტკიცა. თითოეულ შეხვედრაში ბოლომდე ვიხარჯებით და ეს გვიფასდება. მთავარია, ტემპი არ დავაგდოთ და დარჩენილი პაექრობებიც უმაღლეს დონეზე ჩავატაროთ“.

ტურის ფრაზა

ლუიჯი დელ ნერი (იუვენტუსის მთავარი მწვრთნელი): *„მილანთან“ ბევრად უკეთ ვითამაშეთ ვიდრე „ლეჩესთან“ და ეს პროგრესის მაჩვენებელია. ჩემმა შეგირდებმა საკმაოდ კარგად წარმოაჩინეს თავი, განსაკუთრებით დაცვაში“.*

ციფრები და ფაქტები

- ჯენარო გატუზოს 2008 წლის იანვრის შემდეგ არ ჰქონდა გოლი გატანილი;
- 2011 წელს „უდინეზეს“ არც ერთი თამაში არ წაუგია;

ლაშა წიკლაური

● ბარსელონელი ბიბლიოთეკა



სეიდუ კეიტამ იცის, სად თამაშობს

თავმდაბალი კეიტა

„სარაგოსასთან“ მატჩის გმირი **სეიდუ კეიტა** თავმდაბლობით გამოირჩევა. ის უარყოფს მის როლს არაგონელებთან მატჩში: *„ყველაზე მთავარი არის გუნდი და არა ის, თუ ვინ თამაშობს უფრო ხშირად და ვინ - ნაკლებად“*, - განაცხადა აფრიკელმა მედიასთან შეხვედრაში.

„საკუთარი ძალების რწმენა არასოდეს დამიკარგავს, მიუხედავად იმისა, ვთამაშობდი თუ არა. ვინ გავა მოედანზე პეპის საქმეა, ჩვენ კი ვალდებულნი ვართ მოცემული შანსები სათანადოდ გამოვიყენოთ. რაც შეეხება ჩემს გოლს „სარაგოსას“ კარში - ვფიქრობ, რომ ცოტა გამიმართლა. მე ასე მჯერა, გუნდისთვის ბოლომდე უნდა დავიხარჯო, რადგან თუ იგებს გუნდი, ვიგებთ ყველანი ერთად. ძალიან კარგად ვიცი სად ვთამაშობ, ჩემ ირგვლივ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები არიან და ძნელია, აქ ყოველთვის სასტარტოში ითამაშო. ძალიან გამიხარდა, რომ მწვრთნელმა შემაქო, მაგრამ ეს შექება თავში არ ამივარდება“.

● ტრანსფერი

ბარსას აღზრდილი სპარტაკში

გუშინ მოსკოვის „სპარტაკმა“ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ „ერკულესიდან“ 26 წლის **სერხიო გარსია როდრიგესი** გადაიბირა. პარასკევს როდრიმ წარმატებით გაიარა სამედიცინო შემოწმება, ახლა კი ხელი მოაწერა ხელშეკრულებას. კონტრაქტის დეტალები უცნობია, თუმცა ცნობილია, რომ „ერკულესმა“ ფეხბურთელის სანაცვლოდ 400 ათასი ევრო მიიღო. 185 სმ სიმაღლის კატალონიელი მცველი „ბარსელონას“ სკოლის გაზრდილია, 2003-2006 წლებში ის „ბარსას“ სარეზერვო გუნდში თამაშობდა, რამდენჯერმე კი მთავარ გუნდშიც უთამაშია. შემდეგ როდრი „დეპორტივოში“ თამაშობდა, 2009 წლის შემდეგ კი „ერკულესში“ ირჯებოდა, ჯამში მან 38 მატჩში 4 გოლი გაიტანა ალიკანტეური კლუბის მაისურით.

● ტრანსფერი

ლუიშ ფაბიანო 6 კვირას გამოტოვებს

„სევილიას“ ოფიციალურ ვებსაიტზე გამოქვეყნდა, რომ ბილბაოს „ატლეტიკთან“ დამტვრეული ბრაზილიელი ფორვარდი **ლუიშ ფაბიანო** 6 კვირას ვერ ითამაშებს. სხვათა შორის, პირველად გაცილებით სერიოზულ ტრავმას ვარაუდობდნენ და მას სეზონის დასრულებას უწინასწარმეტყველებდნენ. ბრაზილიელმა 71-ე წუთზე დაიზიანა ფეხი. შემდეგ ტურში „სევილია“ „ბარსელონას“ მასპინძლობს. ამ შეხვედრას ლუიშ ფაბიანო უეჭველად გამოტოვებს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

DARK SIDE OF ARJEN

სანამ მიუნხენში ლუისის ყოფნა-არყოფნაზე ფიქრობდნენ, ფილიპსი კი ბიძეგის სიაში ჩაეწერა

„ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი ლუის ვან გალი მაბთის ნოკდაუნში მყოფ მოკრიკეს ჰგავდა, არიენ რობენს კი „სანოვერთან" მატჩის საფინალო სასტვენის შემდეგ, ზუსტად ისეთი სახე ჰქონდა, როგორც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის მეშვიდე - მიუნხენში მოთამაშე ბოლანდიელები ცეცხლ ფორმაში არიან.

ბუნდესლიგიის 25-ე ტურში ძალიან ბევრი რამ მოხდა, მაგრამ ერთმა თემამ სხვა ყველაფერი დაჩრდილა: ცხადია, „ბაიერნის" ერნსს და ვან გალის ბალანსებულ ფსიქიკის საკითხის დღის წესრიგში დაიდგამს ბაზელ-ბუნდესლიგის ბოლო ასოციაციის ფინალ-ნაბიჯზე ამბილუტგიერად ყველა ექსპერტმა გამოთქვა მოსაზრება, აღარაფერს ვამბობთ რეკორდსმენტების მთავარ მეფეზე, ფილ ჰაინერსზე და კარლ-ჰაინც რუმენიგეზე, ან, მიუნხენური ლუების ახალგაზრდა ფენქენთრონ კრისტიან წერლინგერის მოსაზრებაზე ან როგორც ჩანს, არავის ანსგერესებს. „ბაიერნის" ერიზმანი, წერლინგერის, როგორც მენეჯერის სისუსტეც ვამოკლეფია - მაგ ნომ პოინტში შეცვალა, „დიდი, ენერგიანი ფალო" ერიზმეზე ადრე ვეფიზის პრეზიდენტი.

ცუდად გამოდიოდა „ბაიერნის" ბოლო ფინალი რობენიც: „ინტერთან" სტუმრად მოგებული მატჩის შემდეგ მას ფეხბურთი ნენიერად ალარ ეთამაშა და ალარ ეკეთა ეს ეთამაშა, მხოლოდ ოფრას ახარებს ისე, როგორც ვინდოს ალფერს „ვეფფერებს". ამ დარის, თავიდან დაიბადა „ბაიერნის" ყოფილი ფეხბურთელი ალ ბლაუფერი, რომელიც მოუნხენში ერთ ფრის სასოხოლოდ ჩამინერეს, ახლა უკვე 27 ნლისა და „სანოვერში" ბრწყინავს.

ოქეენ ნინამე ბუნდესლიგის 23-ე ტურის კამოხსურება Tops&Flops-ის სახით.

ბაიერნის ერნსი, საკუთარ თავს ალარ ალარენ რობენი ჰგავს

Flop
უხარისხო სპეციალი

„ინტერახტისა" და „კიზერსლაუტერნის" მატჩი ჯერ დანიშვნეული ალ იყო, უკვე ეელოდათ, რომ ხარისხიან ფეხბურთის ჭერ ეხახდეთ. ჯერ ერთი, მეორე ნრეში ფრანკფურტელებიც და „ბორუსიელებიც" ეეფიზეენ ეკანის ეკანზე ბენდოლეთში ეანიან ალ ამან ფრანკფურტის ოსტატ ოლივერ ბეირჰოფმა ფეხბურთელ ეანიანს ეკანზე ეკანი ალ ეანიანს ეკანზე ეკანი ალ ეანიანს ეკანზე ეკანი ალ

უცხოური ფეხბურთი

ლიგა 1. გამოხმაურება

ბოლო წამების ჭური

პერკი, ელ არაბი, ფრო და სხვები

ჭურის მაჯი

საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურები ძალიან საინტერესო რომ არის, ამაზე ალბათ ორი აზრი არ არსებობს. არა, არ ვამტკიცებთ, რომ მატჩების მიმდინარეობაა მომხიბლავი, უფრო პირიქით... ძნელად შეიძლება ადამიანს მოგეწონოს ის, როცა ტურში სამი შეხვედრა უგოლო ფრეებით მთავრდება, ერთ სათამაშო დღეს კი 7 მატჩში სულ 4 გოლი გადის, მაგრამ ყოველივეს მიუხედავად, თავად ბოლო ტურებია დამაინტრიგებელი. ჩემპიონატის ლიდერებს ხომ ერთმანეთში უწევთ „საქმის გარჩევა". წესით, აქამდეც უნდა მიმხვდარიყავი რომ ტურის მატჩად მარსელის „ველოდრომზე" შემდგარ დრამას ვასახელებთ. 25-ეს მსგავსად ტურის პროგრამა ისევ „ლილმა" დაასრულა და ისევ ღირსეულად დაუხვდა დახვავებულ პრობლემებს, მოგეხსენებათ, ისინი ბოლო პერიოდში ზედატვირთული გრაფიკით ასპარეზობენ. აი, რა განაცხადა ნამატჩვს „ლილის" მთავარმა მწვრთნელმა **რუდი გარსიამ**: *„მარსელთან" გასვლითი გამარჯვება სერიოზული მიღწევაა. განსაკუთრებულად ღირებული ის იმიტომ არის, რომ ჩვენმა უშუალოდ კონკურენტმაც შეძლო თავისი სამი ქულის აღება. ამ შეხვედრაში ჩემმა შეგირდებმა დიდებული პირველი ტაიმი ითამაშეს. სწორედ ისინი აკონტროლებდნენ ბურთს, გაიტანეს გოლი, მეორეში კი ზეწოლა შეამცირეს და მეტოქემ ამით მშვენივრად ისარგებლა. კარგია, რომ ბოლოს ისევ მოვახერხეთ მატჩის საჩვენოდ შემოტრიალება. ფეხბურთელებთან ერთადერთი პრეტენზია მაქვს, მათ აუცილებლად მოუწევთ მომენტების რეალიზაციაზე მეტი მუშაობა".*

ჭურის ბმირი

როცა ლაპარაკია ტურის გმირზე ამან შეიძლება აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვიოს. აქ „ლილს" თავისი კანდიდატურა ჰყავს, **პიერ-ალან ფრო**, „ოსერს" – თავისი, **კამელ შაფნი**. ჩვენი არჩევანი ამ უკანასკნელზე შეჩერდა, რადგან სწორედ მისმა გოლმა გადაწყვიტა „პარი სენ-ჟერმენთან" შეხვედრის ბედი. მაროკოული ფესვების მქონე 28 წლის ფრანგმა 86 წუთის განმავლობაში გამართულად მოასპარეზე დაცვა ერთადერთ შეცდომაზე გამოიჭირა. კამელმა იმით ისარგებლა, რომ სტუმართა კოტდივუარელმა მცველმა **სიაკა ტიენემ** ფლანგიდან ჩამოწოდებულ ბურთს ფეხი ააცილა. შაფნი კი კარგი მონადირესავით მსხვერპლს სწორედ იქ დახვდა, სადაც უნდა დახვედროდა და მეკარეს მარცხენათი აუღებელი დაურტყა.

რახან ტურის გმირზე მოკლედ მოგითხრეთ, აქვე მოგიყვებით სხვა გმირებზეც. მაშ ასე. XXVI ტურის სიბოლური ნაკრები:

ოდარი (ლორიანი) – მანგანი (რენი), მორელი (ლორიანი), პერკი (სოშო) – შაფნი (ოსერი), აზარი (ლილი), პიანიჩი (ლიონი), უტაკა (მონპელიე), მორის ბელე (სოშო) – ელ არაბი (კაენი), ლ. ლოპესი (ლიონი)

ბურის გოლი

ედენ აზარმა „მარსელის" კარში ენით აუწერელი სილამაზის გოლი გაიტანა. ბელგიელმა ბურთი **ფლორან ბალმონისგან** სრულიად უწყინარ სიტუაციაში მეტოქის კარიდან 40 მეტრში მიიღო. ამის შემდეგ სიტუაცია პროზაულად კი განვითარდა, თუმცა მეტად პოეტურად კი დაბოლოვდა: ედენი მიხვდა, რომ მას ხელს არავინ უშლიდა, გაირბინა ხუთიოდე მეტრი და გამეტებით დასცხო - შედეგად ბურთი **სტივ მანდანდას** კარის „ცხრიანში" აფართხალდა.

ბურის შეცვლა

პიერ-ალან ფრო მიმდინარე სეზონში დიდი სათამაშო პრაქტიკით ვერ დაიკვეხნის, თუმცა ის, რაც მას ინსტინქტით მოსდგამს, არ დავიწყებია, ეს არის გოლების გატანა. აღსანიშნავია, რომ მას ხუთჯერ აქვს თავი გამოჩენილი და აქედან ორჯერ სწორედ მისმა დარტყმამ მოუტანა „ლილს" 3 ქულა. პიერ-ალანმა ერთი გოლი „ველოდრომზე" „მარსელს" მინდორზე გამოჩენიდან 5 წუთში გაუტანა, თანაც როდის? 90-ე წუთზე! ეს ყველაფერი თავისთავად მნვრთნელის ალღოზე მიუთითებს. თუმცა ჩვენ კიდევ ერთი დეტალი არ აღგვინიშნავს: ფროს ასისტენტობა **ემერსონ დე მელომ** გაუწია, ფეხბურთელმა, რომელიც მინდორზე ფროზე ცოტა ადრე იყო გამოსული. მატჩის მიწურულს გატანილი ბურთი გარკვეულწილად პასუხსაც წამოადგენდა „რენისთვის", რადგან **იუსუფ ელ არაბმ** „მონპელიეს" ბურთი ისეთ დროს გაუტანა, მასპინძლებს ბურთის ცენტრიდან გასათამაშებლად დრო აღარ დარჩათ.

ბურის გადარჩენა

„ტულუზთან" დაპირისპირების 90-ე წუთზე „სოშოს" მცველმა **დამიენ პერკიმ** გუნდი აშკარა გოლისგან იხსნა. მან ბურთი ცარიელი კარიდან გამოიტანა და უმალ მსაჯის საფინალო სასტვენის ხმა გაისმა, რამაც „სოშოს" გასვლითი გამარჯვება დააფიქსირა.

ბურის თამაგამოჩენილი

ის, რა სტილშიც **ლისანდრო ლოპესი** „არლს" გაუმკლავდა, კლასიკური მაგალითია იმისა, როგორ უნდა მოუგოს ერთმა გუნდმა მეორეს კლასის ხარჯზე. გარდა აუტსაიდერის კარში გატანილი სამი ბურთისა, არგენტინელმა „არლის" მეკარე **ვენსან პლანტეს** ქუსლით გაკეთებული ულამაზესი პასით ერთი ერთზე შეჰყარა **მირალემ პიანიჩიც**, ვისაც არ გასჭირვებია თავის გამოჩენა.

ბურის ციფრები

„პარი სენ-ჟერმენთან" მურად შაფნის გოლმა „ოსერს" სარეკორდოდ დიდი, 16-თამაშიანი მოუგებელი სერია შეაწყვეტინა. 16 თამაშიდან 12 **ჟან ფერნანდესის** გუნდმა ლიგა 1-ში ვერ მოიგო.

„ნანსიმ" მიმდინარე სეზონში პირველ გასვლით პაექრობაში მოახერხა კარის მშრალად შენახვა.

მატიო ვალვერდე მე-5 მეკარე გახდა ამ სეზონში, ვინც წითელი ბარათი დაიმსახურა.

ბურის ფრაზა

აი, როგორ მჭევრმეტყველურად აღწერს „მარსელის" წაგების მიზეზებს გუნდის კაპიტანი **სტივ მანდანდა**: „ლილმა" დღეს ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რათა მოეგო, ჩვენ კი ყველაფერი არ გავაკეთეთ მოსაგებად და ამიტომ წავაგეთ".

ლევან გიგილაშვილი

ქართული სპორტი

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ახალგაზრდული ნაკრები

რიგის ბერძნულ-რომაული მიმოხილვა

19-20 მარტს რიგა მეთოთხმეტედ უმასპინძლებს ფრეიდენფელდსის სახელობის საერთაშორისო ტურნირს ახალგაზრდებში. აქამდე საქართველოდან ამ შეჯიბრების სტაჟიანი მონაწილენი თავისუფალი სტილით მოჭიდავეები იყვნენ – მათთვის ეს საევროპოდ ერთ-ერთი მთავარი შესარჩევი ეტაპი იყო, წლეულს კი ბერძენ-რომაელებიც გამოვლენ. „თავისუფალთა" ნაკრები ამჟამად დუშეთშია შეკრებაზე, ბერძენ-რომაელებმა კი პირველი ანალოგიური ეტაპი უკვე გაიარეს ბაკურიანში, რომელიც მთლიანად ფიზიკურ მომზადებას დაუთმეს და ახლა თბილისში ვარჯიშობენ. „თავისუფალთა" დამრიგებელ **ნუგზარ სხირელს** ლატვიაში წასაყვანი შემადგენლობა ჯერ არ დაუსახელებია, მისმა ბერძენ-რომაელმა კოლეგა **ვლადიმერ ადეიშვილმა** კი უკვე გამოაცხადა გუნდი: **ნიკოლოზ ცეცხლაძე** (50), **ამირან შავაძე** (55), **ქემალ ხარაბაძე**, **ფირუზ წულუკიძე** (60), **გიორგი დავითაია**, **საჩინო დავითაია** (66), **ზურაბ დათუნაშვილი**, **უშანგი ქიტიაშვილი** (74), **რობერტ ქობლიაშვილი**, **რევაზ ნადარეიშვილი** (84), **შოთა გოგისვანიძე**, **სერგო გოგისვანიძე** (120).

ორივე ნაკრები ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებისთვის ემზადება, რომლებიც, ტრადიციულად, ისევ ერთმანეთის მიყოლებით ჩატარდება – ევროპის პირველობა 21-26 ივნისს სერბულ ზრენჯანინში, მსოფლიოსი – 26-31 ივლისს – ბუქარესტში. ასეთი შემჭიდროებული გრაფიკიდან გამომდინარე, მწვრთნელები ორ-ორ შემადგენლობას არჩევენ. ადეიშვილის სალატვიო გუნდიც დიდწილად ამითაა განპირობებული – ზოგიერთ წონაში ორ-ორი მონაწილე მოჰყავს, თუმცა ესეც რომ არ იყოს, მეორე ნომრებს შანსს მაინც მისცემდა. ნაკრების კანდიდატები საქართველოს ჩემპიონატზე გამოვლინდნენ, თუმცა ზოგიერთ წონაში ლიდერებმა თუ ულაპარაკოდ იმარჯვეს, ზოგან ფინალური შეხვედრები შედარებით თანაბარ ბრძოლებში წარიმართა. მწვრთნელსაც ორ-ორი კონკურენტი სწორედ ასეთ წონებში მიჰყავს. ბარემ აქვე შეგახსენებთ, რომ ამ სადავო კატეგორიებში საქართველოს ჩემპიონები ხარაბაძე, საჩინო დავითაია, დათუნაშვილი, ქობლიაშვილი და შოთა გოგისვანიძე გახდნენ.

როგორც ვხედავთ, რიგაში მონაწილე არ გვეყოლება 96-ში, სადაც უდავო ლიდერი **ალექსანდრე დიხამინჯიაა** – ის უფროსებში გახდა საქართველოს ჩემპიონი და ახლახან ბულგარეთში ნიკოლა პეტროვის სახელობის საერთაშორისო ტურნირშიც იჭიდავა. ამიტომ მწვრთნელთა გადაწყვეტილებით, ამ ეტაპზე სატურნირო პრაქტიკა აღარ სჭირდება და არც მიჰყავთ. ის ახალგაზრდულ გუნდს შეჯიბრებებში მოგვიანებით შეუერთდება, მზადების გვიანდელ ეტაპზე.

ზემოთ დასახელებული შემადგენლობიდან (ცეცხლაძე და შავაძე სადღეისოდ ავსტრიაში არიან და იქიდან ჩავლენ ლატვიაში. ავსტრიაში ისინი და ბათუმელი **თემურ რუხვაძე** 66) იქაური მხარის მინვევით წავიდნენ და ქალაქ გიოტციში იმ ქვეყნის ახალგაზრდულ თასზეც გამოვიდნენ, მერე კი იქვე ერთობლივ ვარჯიშებზეც დარჩნენ. ტურნირზე ამ სამეულმა დამამშვიდებლის ფინალამდე მიაღწია და ბრინჯაოსთვის იჭიდავა, თუმცა ცეცხლაძეს ხელი მოეცარა და მეოთხეზე დარჩა, შავაძემ და რუხვაძემ კი მოიგეს და მესამე პრიზიორები გახდნენ. აღსანიშნავია, რომ ორივემ ზედა წონებში იჭიდავა.

რიგის შემდეგ ჩვენი ახალგაზრდა ბერძენ-რომაელები კიდევ ორ ტურნირში გამოვლენ – 20-23 აპრილს ბაქოში აზერბაიჯანის ჭიდაობის ფედერაციის თასზე (აქ შარშანაც უნდა ეჭიდავათ, მაგრამ ის შეჯიბრება ისლანდიაში ამოფრქვეულმა ვულკანის ფერფლმა ჩაშალა ავიარეისების პარალიზების გამო) და 13-15 მაისს ანკარაში „ჩემპიონთა" სახელობის ტურნირში. აპრილშივე გაივლიან შეკრებებსაც, საევროპო ნაკრები კი ამ შეჯიბრებების შემდეგ ჩამოყალიბდება.

ირაკლი თავაძე

ჩოგბურთი

გაბიშვილი ინდიან ველსში

ორშაბათი რეიტინგების გამოქვეყნების დღეა და ტრადიციულად, მსოფლიო კლასიფიკაციაში ქართველი ჩოგბურთელების მდგომარეობას გთავაზობთ. **ანა ტატიშვილი** ზედიზედ რამდენიმე კვირა თითო ნაბიჯით მიიწევდა წინ, ახლა კი ეს ნაბიჯი უკან გადადგა. მიზეზი მარტივია - ანა გასულ კვირაში უქმობდა. 21 წლის ტატიშვილი 540 ქულით მსოფლიოს 127-ე ჩოგანია. საკმაო ხანია, რაც არსად თამაშობს **ოქსანა კალაშნიკოვა**, ჯერჯერობით მისი პოზიცია - 188-ე მსოფლიოში (310 ქულა) - ურყევია. სხვები: 234 (-) **მაკა ჩახნაშვილი** - 235 ქულა; 279 (+1) **სოფიო შაფათავა** - 180; 285 (+1) **თათია მიქაძე** - 176; 415 (-2) **სოფიო ქვაცაბაია** - 90; 552 (-4) **ეკა გორგოძე** - 53; 601 (-2) **მანანა შაფაქიძე** - 44; 1155 (-3) **ანა ჯიქია** - 3.

ანა ტატიშვილი ინდიან ველსშია (აშშ), სადაც წარმომადგენლობითი ტურნირი იწყება 4,5 მილიონი დოლარი საპრიზო ფონდით. ჩვენებური საკვალიფიკაციო ბადეშია. ის პირველ შეხვედრას (ჩვენი დროით) გვიან ღამით ითამაშებდა. ქართველის მეტოქე ესპანელი **ლაურა პოუს-ტიოა**. 26 წლის იბერიელი მსოფლიოს 88-ე ჩოგანია, ყველაზე მაღლა კარიერაში კი 75-ე პოზიციაზე იყო. სხვათა შორის, მათი პირველი შეხვედრა (და ჯერჯერობით ერთადერთი) ქართველის გამარჯვებით დასრულდა, 2006 წელს, როცა ჩარლსტონში 16 წლის ქართველმა დიდი სენსაცია მოახდინდა, მაშინ მსოფლიოს 570-ე ჩოგანმა საუკეთესო ასეულის წევრი სამ სეტში დაამარცხა - 3:6, 6:3, 7:5. ეს იყო ანას პირველი სერიოზული გამარჯვება პროფესიულ კარიერაში. გამარჯვების შემთხვევაში, ანა 20 სარეიტინგო ქულას მიიღებს და ფინალურ რაუნდში გავა.

ვაუთა რეიტინგში ორი ჩვენებურია: 690 (-2) **ნიკოლოზ ბასილაშვილი** - 23 ქულა; 861 (-1) **ლადო ჩიხლაძე** - 11. წყვილებში ბასილაშვილმა 139 საფეხურით წაინია წინ და ახლა 718-ე ჩოგანია. ბასილაშვილი ამ კვირაში მაკალენის (აშშ, 15 ათასი დოლარი) საერთაშორისო ტურნირის ძირითად ბადეში იასპარეზებს.

მე-2 ნომრად განთესილმა ეკა გორგოძემ წარუმატებლად ითამაშა ანთალიაში 10-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში (!), სადაც მეორე წრეში ბელარუს **ილონა კრემენთან** (17 წლის ურეიტინგო) დათმო - 4:6, 3:6. დიჟონში (საფრანგეთი, 10 ათასი დოლარი) ძირითად ბადეში მე-6 ნომრად **თათია მიქაძეა** განთესილი, რომელიც შვეიცარიელ **მირიამ კასანოვას** (801) ხვდება, ხოლო სოფიო ქვაცაბაიას მეტოქე ჰოლანდიელი **მარსელა კოეკია** (410).

ნიკოლოზ ნეფარიძე

ქადრაკი

ქალებში ბელამ იყოჩაღა

ფრანგულ კაპელ-ლა-გრანდში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალში სხვადასხვა ქვეყნის 700-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა, მათ შორის - ქართველებიც. 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულით პირველი ადგილი პოლონელმა **გუჟეგოჟ გავესკიმ** დაიკავა. გამარჯვებულს ნახევარნახევარი ქულით ჩამორჩნენ უკრაინელი **ევგენი შარაპოვი**, ესპანელი **ალექსანდრ იპატოვი** და უკრაინელი **იური ვოვკი**, რომლებმაც, შესაბამისად, მეორე-მეოთხე ადგილები გაინაწილეს. 6,5 ქულით მე-15 ადგილზე გავიდა **ლევან ფანცულაია**, ამდენივე ქულით 25-ე იყო თბილისელი **დავით არუთინიანი**. 6 ქულა მოაგროვა **თორნიკე სანიკიძემ**, 5,5-5,5 ქულა - **დავით ჯოჯუამ** და **მალხაზ სულაშვილმა**. სამაგიეროდ, ქალებში **ბელა ხოტენაშვილმა** იყოჩაღა - მან 6 ქულა მოაგროვა და 0,5-0,5 ქულით აჯობა მეორე-მესამე ადგილებზე გასულ **ჰარიკა დრონავალსა** (ინდოეთი) და **მიხაელა-ვერონიკა ფოიშორს** (რუმინეთი). 5,5 ქულით **ნინო ბაციაშვილს** მე-4 ადგილი ხვდა.

ვაჟა დანელია

საუკეთესო ოქტეტში ორი ქართველია

მეშხედში (ირანი) მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალზე მე-10 ტურის პარტიები ლიდერთა უმრავლესობამ ყაიმით დასრულა. დაზავდნენ **ნიჯათ მამედოვი** (აზერბაიჯანი)-**სერგეი ტივიაკოვი** (ჰოლანდია), **ევგენი გლეიზეროვი** (რუსეთი)-**დავით ბენიძე**, **მიხაილ ულიბინი** (რუსეთი)-**მიხეილ მჭედლიშვილი**, **გადირ ჰუსეინოვი** (აზერბაიჯანი)-**მოსე შარბაფი** (ირანი), **ალექსანდრე მოისეენკო** (უკრაინა)-**ამირეზა პურამზალანი** (ირანი), **ივერი ჭიღლაძე**-**ელშან მორადიაბადი** (ირანი). **მერაბ გაგუნაშვილმა** **პურია დარინი** დაამარცხა, **ეჰსან ჩაემ მაგამიმ შოთა აზალაძეს** სძღია, **კონსტანტინე შანავამ** **ალი აბედის** (ირანი) აჯობა, **დავით მაღალაშვილმა**-**მოჰამედ კარდოს** (ერაყი), **ბაჩანა მორჩიაშვილმა**-**ალი მოსავის** (ირანი).

გუშინ ბოლო მეთერთმეტე ტურში გაგუნაშვილმა და ფიდეს ვერსიით მსოფლიოს ექსჩემპიონმა რუსტამ კასიმჯანოვმა (უზბეკეთი) თამაშის გაუმწვავებლად ზავს მოანერეს ხელი. მათ მიბაძეს ტივიაკოვმა და ევგენი გლეიზეროვმა, მაგამი ჩაემმა და ნიჯათ მამედოვმა. ქართველთაგან მჭედლიშვილმა გადირ ჰუსეინოვთან (აზერბაიჯანი) დათმო პარტია, ბენიძემ აჰმადინია (ირანი) დაამარცხა, შანავამ-ლიტვერი გრაბლიაუსკასი, მაღალაშვილმა-მოსადეხპური, აზალაძემ და ჭიღლაძემ, შესაბამისად, მეჰდი ჰუსეინიპურთან (ირანი) და ლოგმან გულიევთან (აზერბაიჯანი) წააგეს.

ასპარეზობის დამთავრების შემდეგ 11 შესაძლებლიდან 8,5-8,5 ქულა რვა მოჭადრაკემ მოაგროვა, მათ შორის ბენიძემ და გაგუნაშვილმა, რომლებმაც მესამე და მერვე ადგილები დაიკავეს (მთავარი პრიზი ტივიაკოვმა მოიპოვა, მეორე ადგილი გლეიზეროვს ხვდა). დანარჩენ ქართველთა მონაგარი ასეთია: 15. შანავა (8), 22. მჭედლიშვილი (7,5), 25. მაღალაშვილი (7,5), 27. მორჩიაშვილი (7,5), 34. ჭიღლაძე (7), 54. აზალაძე (6,5).

ვაჟა დანელია

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი სამძიმარს უცხადებს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის ყოფილ მოადგილეს, სპორტის საერთაშორისო ექსპერტს, სეოკ-ის ყოფილ სპორტულ დირექტორს თამაზ თევზაძეს მეუღლის გარდაცვალების გამო.

საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ამავე ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტს, ევროპის ხელბურთის ფედერაციის დელეგატს თამაზ თევზაძეს მეუღლის გარდაცვალების გამო.

საქართველოს ვეტერანი ხელბურთელები თანაუგრძნობენ ყოფილ ხელბურთელს თამაზ თევზაძეს მეუღლის გარდაცვალების გამო.

სახალისო ფეხბურთის ღია სკოლების საქართველოს ფილიალის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს თამაზ თევზაძეს მეუღლის გარდაცვალების გამო.

ქალთა ძიუდო

ოძელაშვილი - ნაკრების ცენტრი

გუშინ გაცნობეთ, რომ ჭაბუკთა ნაკრები 19-20 მარტს ანთალიაში ევროპის თასზე იჭიდავებს. ტურნირში ჩვენი გოგოებიც გამოვლენ, ოღონდ თუ ბიჭების თავკაც **გიორგი ვაზაგაშვილს** ჯერ არ დაუსახელებია თურქეთში წასაყვანი შემადგენლობა, გოგოების დამრიგებელმა **გიორგი თენაძემ** ეს პრობლემა უკვე გადაჭრა. **სალომე აბაშიძე, ქეთევან სამხარაძე** (ორივე - 48), **გურანდა შოთაძე, მარი მახარაშვილი** (52), **მარი ციხელაშვილი, მარი ჯანაშვილი** (57), **ანი მინდიაშვილი** (63) - მისი გადაწყვეტილებით, ანთალიაში ესენი იჭიდავებენ. ციხელაშვილი და ჯანაშვილი ნაკრების ძველი წევრები არიან, დანარჩენებს კი უცხოეთში ჭიდაობის დიდი გამოცდილება ჯერ არ გააჩნიათ. ჯანაშვილი ანთალიაში შარშანაც გამოდიოდა და ბრინჯაოსთვისაც იჭიდავა, მაგრამ თურქ **სევილაი კაპლანთან** წააგო და მეხუთეზე დარჩა. საინტერესოა, რომ შარშან მას ასაკის გამო არ ეკუთვნოდა იქ გამოსვლა, თუმცა ორგანიზატორებს მისი დაბადების თარიღი... გამორჩათ. სამაგიეროდ, მოგვიანებით ეს ფაქტი ევროპის ძიუდოს კავშირში ამოქექეს და პასუხისმგებელი პირი ერთწლიანი დისკვალიფიკაციითაც დასაჯეს.

თუმცა ჩვენ ანთალიის შარშანდელი ტურნირი სულ სხვა ფაქტით დაგვამახსოვრდა - მძიმე წონაში ლაგოდეხელმა **ელენე ქებაძემ** გაიმარჯვა, როცა ფინალის წინ სერბ **მილიცა ზაბიჩს**, ქედმაღლური ღიმილი არ აპატია. საქმე ისაა, რომ ჩვენებური მანამდე მასთან ერთი-ორჯერ დამარცხდა და საკუთარ მოგებაში დარწმუნებულმა სერბმა ორთაბრძოლის დაწყებამდე თურმე დამცინავი ღიმილით გადახედა ელენეს... ცხვირიც წაიმტვრია, მაგრამ ქებაძე წლეულს უკვე ახალგაზრდულ ნაკრებში გადავიდა და ახლა იქ ეცდება წარმატებების მოპოვებას.

თენაძემ ასევე გაარკვია 21-23 აპრილს თურქეთშივე, ოღონდ სტამბოლში, ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელი კანდიდატიც. მისი გადანყვეტილებით, იქ მხოლოდ ერთი მონაწილე გვეყოლება - **ნინო ოძელაშვილი** (70).

საერთოდ, ოძელაშვილთან და ეროვნულ ნაკრებთან დაკავშირებით ვითარება რადიკალურად შეიცვალა, გეგმები უფრო დაიწმინდა და დაკონკრეტდა. ნაკრებისა და ფედერაციის ხელმძღვანელობისთვის ახალგაზრდა სამბისტთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი ოძელაშვილი აქამდეც გუნდის ლიდერად მოიაზრებოდა და ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვების უმთავრეს კანდიდატად მიიჩნეოდა, მაგრამ სხვებსაც ცდიდნენ. შეჯიბრებებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ ოლიმპიადაზე მოხვედრის ყველაზე რეალური კანდიდატი მართლაც ოძელაშვილია, სხვებს კი ამის შანსი ბევრად ნაკლები აქვთ. ამიტომ თენაძემ გადაწყვიტა, ქალთა ნაკრებისთვის განკუთვნილი ისედაც მწირი ფინანსები მთლიანად ოძელაშვილისკენ მიმართოს. გადაწყვეტილება ფედერაციამაც მოიწონა და სპორტის სამინისტრომაც, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვები უცხოეთში შეჯიბრებებზე აღარ გამოვლენ. მათაც დააფინანსებენ, მაგრამ მეტი ყურადღება ოძელაშვილზე იქნება მიმართული. დაგეგმილი 3-4 ტურნირის ნაცვლად, იგი 7-8 - ში გამოვა და მსოფლიოს თასების გარდა, ევროპის თასებშიც აჭიდავებენ, რომელიც ასევე იძლევა სალიცენზიო ქულებს, თუმცა შედარებით ცოტას. აქ საქმე მის რეიტინგშია - ჯერჯერობით მხოლოდ 20 ქულა აქვს და რეიტინგის მეორე ნახევარშია, ნილისყრა კი განთესვით ენყობა, ანუ მას შეჯიბრებაზე თავიდანვე წონის ფავორიტებთან უწევს შეხვედრა. ევროპის თასებზე გამოსვლა ჩვენებურს ქულების მარაგის შევსების და რეიტინგში მაღლა ანაცვლების საშუალებას მისცემს, რაც ლიდერებთან შეხვედრისგან ცოტა ხნით მაინც დაიცავს. ამას ისიც ემატება, რომ ეს ფავორიტები, როგორც წესი, ევროპის თასებზე არ გამოდიან, ძირითადად მსოფლიოს თასებზე ჭიდაობენ.

ევროპის ჩემპიონატისთვის ოძელაშვილი თურქეთშივე მოემზადება. თენაძესა და თურქეთის ქალთა ნაკრების ხელმძღვანელობას შორის კარგი ურთიერთობაა ჩამოყალიბებული - ნელიწადში რამდენჯერმე ესტუმრებიან ხოლმე ერთმანეთს ერთობლივი ვარჯიშების ჩასატარებლად. ამჯერად თურქებმა მიიწვიეს ჩვენები - სხვათა შორის, ვაჟთა ნაკრებიც, მაგრამ ისინი, სავარაუდოდ, არ წავლენ, რადგან ეს მზადების მათეულ გეგმაში არ ჯდება. აი, თენაძე კი ამ შემოთავაზებით ნამდვილად ისარგებლებს და ოძელაშვილის გარდა, კიდევ ოთხი გოგოს წაყვანას აპირებს. ერთობლივი შეკრება ანკარის ახლოს, ჩანკარში გაიმართება - სწორედ იქაა თურქეთის ძიუდოს ფედერაციის ბაზა და მათი გუნდებიც იქვე მოემზადებიან კონტინენტის პირველობისთვის. მათი წინადადებაა, შეკრება 1 აპრილიდან დაიწყონ და ევროპის ჩემპიონატამდე იქ დარჩნენ. შეთავაზების ბოლო პუნქტი თენაძესაც ხელს აძლევს, მაგრამ დიდი ხნით არ სურს იქ ნასვლა. მისი აზრით, აჯობებს, ორი კვირა ივარჯიშონ და თურქეთშიც იმ დროს გაემგზავრება, ამ ვადებში რომ ჩაეტიოს.

ირაკლი თავაძე

ძიუდო

თეთრ კიმონოში
პაატა მერებაშვილი

ნინო ოძელაშვილი ევლო, იწყებს თავიდან...

ოსტატი და შეგირდი წარუმატებლობას მთავარი მწვრთნელის ახირებას მიაწერენ

გულახდილი საუბარი მწვრთნელთან და სპორტსმენთან

ევროპის ორგზის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის პაატა მერებაშვილი დიდების ნაკრებში შარშან გადავიდა და მწვრთნელის მოთხოვნით წონაც შეიცვალა. ძიუდოს გულშემატკივარი მისგან შარშანაც გამარჯვებებს ელოდა, თუმცა პაატასთვის გასული სეზონი სახარბიელო ვერ აღმოჩნდა. მიზეზებზე თავად სპორტსმენს და მის პირად მწვრთნელს ქართლოს პავლიაშვილს გორის დარბაზში ვესაუბრეთ.

- ქართლოს პავლიაშვილი: პაატამ ევროპის პირველობა ორჯერვე 2009 წლის შემოდგომზე მოიგო - ზედიზედ 21 და 23-წლამდელთა შორის გახდა ჩემპიონი. იქამდე კი კონტინენტის ორგზის პრიზიორი და ბავშვთა ოლიმპიური ფესტივალის გამარჯვებულიც იყო. წარმატებები, დამეთანხმებით, შემთხვევით არ მოვიდოდა, სრული დატვირთვით ვარჯიშები არ შეუწყვეტია და არც საბრძოლო ენთუზიაზმის ნაკლებობას უჩივის. შემიძლია ცალსახად განვაცხადო, რომ მისი შარშანდელი ხელის მოცარვა მხოლოდ და მხოლოდ წონის შეცვლით იყო განპირობებული.

- პაატა მერებაშვილი: მუდამ 60 კგ-ში გამოვდიოდი და ყველა წარმატება ამ წონაში მაქვს მოპოვებული. შარშან ამ წონაში მხოლოდ დიდებში გადასვლისთანავე პარიზის ტურნირზე ვიჭიდავე. შემდეგ მაშინდელი მთავარი მწვრთნელის ამირან ტოტიკაშვილის მოთხოვნით იძულებით 66 კგ-ში ავინაცვლე, სადაც აშკარად ვერ გამოვავლინე შესაძლებლობები.

- მწვრთნელმა არ აგიხსნათ, რატომ ჯობდა ზედა წონაში გადასვლა?

პავლიაშვილი: არაერთხელ ავუხსენი ტოტიკაშვილს, როგორც პაატას პირადმა მწვრთნელმა, რომ ჯობდა თავის ჩვეულ წონაში ეჭიდავა, მაგრამ ამაოდ. ვფიქრობ, ეს გადაწყვეტილება მისი ახირება იყო და არაფრით არ ცვლიდა! ტოტიკაშვილს არც ის არგუმენტი გაუთვალისწინებია, რომ 66 კგ-ში მოასპარეზე მერებაშვილი 64 კგ-მდეც დიდი გაჭირვებით იმატებდა. არადა, ფალავანი, თუ შედეგის მიღწევა უნდა, შეჯიბრების წინ პირიქით, 5-6 კილოგრამს უნდა იკლებდეს.

- პაატა, ნაკრების მწვრთნელი შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზეც აპირებდა 66 კგ-ში შენს დაყენებას, თუმცა...

- მწვრთნელმა მართლაც გამოაცხადა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე მე უნდა მეჭიდავა, თუმცა გუნდის შემადგენლობიდან ბოლოს რატომღაც მაინც ამომიღეს.

- პავლიაშვილი: აქვე კიდევ ერთ ნიუანსზე მინდა გავამახვილო ყურადღება. 66 კგ-ში ანაცვლების მერე მწვრთნელმა ორი დღით ადრე შეგვატყობინა, რომ მერებაშვილს საერთაშორისო შეჯიბრებაზე უნდა ეასპარეზა. რასაკვირველია, იმას ვერ ვიტყვი, რომ ფალავანი მუდამ მზად არ უნდა იყოს საჭიდაოდ, მაგრამ უშუალოდ შეჯიბრებისთვის მომზადებას, დამეთანხმებით, სულ სხვა გრაფიკი და სავარჯიშო პროცესი სჭირდება.

- საქართველოს ბოლო ჩემპიონატზე დეკემბერში და მერე თბილისის საერთაშორისო ტურნირზე მერებაშვილი უკვე თავის წონაში 60 კგ-ში ვიხილეთ.

- პავლიაშვილი: საქართველოს პირველობაზე ფინალში გადასასვლელ პაექრობაში ბეთქილ შუკვანთან ფანდი არასწორად შეასრულა, რაც მეტოქისათვის სახიფათო იყო და შეჯიბრებიდან მოხსნეს. თბილისის ტურნირზე კი მესამე ადგილისათვის შეხვედრა დათმო ლატვიელ ანდრეის სმაჯერსთან. თუმცა საკმაოდ ძლიერ სომეხ ფალავანს **ოვანეს დავთიანს** იპონით მოუგო, რომელსაც თავის მხრივ პაატას კონკურენტ ქართველ ძიუდოისტებთან აშკარად დადებითი ბალანსი აქვს.

- პაატა, ახალ მწვრთნელს, ავსტრიელ ზაიზენბახერს არ გამოუცდიხარ?

- რაც ზაიზენბახერია ნაკრების თავკაცი, არსად მიჭიდავია. თუმცა ვიცი, რომ გაზაფხულზე მომიწევს ერთ-ერთ საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობა. რაც მთავარია, ახლა უკვე ჩემთვის ტრადიციულ 60 კგ-ში ვჭიდაობ და აქ წარმატების იმედი უთუოდ მაქვს. სამწუხაროა, რომ ადაპტაციის ეტაპის გავლა საკუთარ წონაში ფაქტობრივად ხელახლა მომიწევს. იმედი მაქვს, ჩემი ქომაგები სულ მალე ისევ მიხილავენ კვარცხლბეკზე. ამ წონაში ნაკრების ლიდერთაგან ასაკით ყველაზე უმცროსი ვარ. წლეულს, შემოდგომით, 23-წლამდელთა საქართველოს ჩემპიონატი გაიმართება და ამ ასაკში ევროპის ჩემპიონატზეც (შარშან საქართველოს ნაკრებს არ უჭიდავია - ვ. ბ) მიიღებს მონაწილეობას ბაქოში. მჯერა იქ უწინდელ შედეგს გავიმეორებ.

ვასილ ბალახაძე
გორიდან

სამბო

პრასპორგული საქციელისთვის...

ჩხუბმა კვარცხლბეკის მეორე საფეხური ცარიელი დატოვა

სამბოში ევროპის პირველობა ჭაბუკთა და ახალგაზრდებს შორის 14-18 აპრილს პრაღაში (ჩეხეთი) გაიმართება.

ნაძალადევში „მართვეს" სპორტკომპლექსში ჩატარდა საქართველოს პირველობა 1993-1994 წლებში დაბადებულთა შორის და ძირითადად სწორედ ამ პირველობის ოქროსმედალოსნები გამოვლენ პრაღაში.

შარშანდელი ევროპისა და მსოფლიოს პირველობის ბრინჯაოს მედალოსანი დმანისელი **ალექსანდრე მილდიანი** (87 კგ) ახლა საქართველოს პირველობაზეც უძლიერესი იყო. კასპელი **თორნიკე საჩალელი** (52) შარშან ევროპაზე მეორე იყო, ამჯერადაც საქართველოს პირველობაზეც „ვერცხლი" მოიპოვა, ოღონდ 56 კგ-ში.

81 კილოგრამში ნახევარფინალურ შეხვედრაში რუსთაველმა **რეზო ფხიკაძემ** და თბილისელმა **საბა გოგოლაძემ** ლეიბზე ჩხუბი გამართეს და შეჯიბრიდან მოიხსნნენ. ამიტომ ამ წონაში მხოლოდ ჩემპიონი და ერთი მესამე ადგილის მფლობელი გამოვლინდა.

საქართველოს სამბისტთა ნაკრების მწვრთნელების აზრით, ქართველი ჭაბუკები პრაღიდან არაერთი მედლით დაბრუნდებიან, როგორც ეს წინა პირველობებზე ხდებოდა ხოლმე.

კვარცხლბეკი

48 კგ. 1. დავით გუჯეჯიანი (გარდაბანი), 2. კოტე ლაფერაშვილი, 3. ნიკოლოზ მათირიშვილი (ორივე-თბილისი), 3. იაკობ დიხამინჯია (ქუთაისი).

52 კგ. 1. აბესალომ ვაშაკიძე (რუსთავი), 2. ვარლამ შალიკაშვილი (ქუთაისი), 3. ლევან ორმოცაძე (სამტრედია), 3. დავით ტაბატაძე (ხაშური).

56 კგ. 1. თორნიკე მუზაშვილი (მცხეთა), 2. გიორგი საჩალელი (კასპი), 3. ბუღდან ბაღაკაშვილი, 3. ვანო როსიაშვილი (ორივე-თბილისი).

60 კგ. 1. ლუკა ჯაში (თბილისი), 2. ვანო გოგიაშვილ (თბილისი-გორი), 3. გიგა ხორბალაძე (გორი), 3. გიგა ბერიაშვილი (კასპი).

65 კგ. 1. ბექა ტულუში (ფოთი), 2. პავლე ქავთარაძე (დუშეთი), 3. ჯიმი გოგიაშვილი (თბილისი), 3. ტარიელ ყვავილაშვილი (რუსთავი).

70 კგ. 1. მიხეილ მეზვრიშვილი, 2. თომა თავზარაშვილი (ორივე-თბილისი), 3. სოსო უძილაური, 3. გურამ ხოხობაშვილი (ორივე-ახმეტა).

75 კგ. 1. თამაზ ზურაბიშვილი (მარნეული-ვაშლოვანი), 2. რევაზ თვაური, 3. ირაკლი ფალავანდიშვილი, 3. თემურ ხაჩიძე (სამივე-თბილისი).

81 კგ. 1. რეზო წულუკიძე (ბათუმი), 2. (ცარიელი ადგილი) 3. ლევსო ნამგალაური (დუშეთი),

87 კგ. 1. ალექსანდრე მილდიანი (დმანისი), 2. ლაშა ტაველური, 3. კობა ფოცხვერაშვილი (ორივე-მცხეთა), 3. გიორგი ხოდელი (თბილისი).

+ 87 კგ. 1. გაგა ჯიხვაძე, 2. კობა ეგუტიძე (ორივე-ხაშური), 3. თორნიკე ღამბარაშვილი (ხაშური), 3. ბექა ფოფხაძე (ზესტაფონი).

გაბრიელ ბარჯაძე

ქართული სპორგის ელჩი ისრაელში

***ძვირფასო** ლელოელებო, ათეული წლებია თვალყურს ვადევნებ ქართველთა და ებრაელთა მეგობრობას და ვაგროვებ ყველაფერს, რაც ამ ორი ერის მრავალსაუკუნოვან ძმობასთანაა დაკავშირებული. ჩემი ყურადღება ბოლო ხანს მიიპყრო ისრაელში მცხოვრები ბორის ჩაჩანაშვილის პიროვნებამ, რომლის მთელი მოღვაწეობა დაკავშირებულია სპორტთან და ამ კუთხით ქართულ ებრაულ ურთიერთობებთან. ძალიან მინდა მეტი ვიცოდე ამ ადამიანის შესახებ. იმედია, დამეხმარებით.*

ნუგზარ წითელაშვილი
ზესტაფონიდან

რედაქციამ მასალების მოძიება ქართველთა და ებრაელთა მეგობრობის თემაზე მომუშავე ჟურნალისტს **გაბრიელ ბარჯაძეს** სთხოვა.

ნახევარ საუკუნეზე მეტია თბილისელი **ბორის ჩაჩანაშვილი** (ჩანელი) სპორტის ერთგული მსახურია, თანაც ორ ქვეყანაში - საქართველოში და ისრაელში! 17 წლის წინათ ავიდა საქართველოდან აღთქმულ მინაზე, ისრაელში. თუმცა საქართველოსთან კავშირი არასდროს გაუწყვეტია...

ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა ბორის ჩაჩანაშვილმა სპორტული კარიერა ბერძნულ-რომაული ჭიდაობით დაიწყო. იყო საქართველოს ჩემპიონი და სპორტის ოსტატი, წარჩინებით დაამთავრა თბილისის მწვრთნელთა სკოლა, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი და ასპირანტურა. 40-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორია. იკვლევდა სპორტსმენთა წონის დაკლების საკითხს. მოღვაწეობდა საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტში (სპორტის აკადემიაში) ჭიდაობის, კრივისა და ძალოსნობის კათედრაზე, ამავდროულად იყო საქართველოს ნაკრები გუნდების მეცნიერ-კონსულტანტი სამბოსა და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, ასოციაცია „ფალავანი 92"-ის გენერალური დირექტორი, ჭიდაობის უმაღლესი დაოსტატების სკოლის დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, ერთ დროს მწვრთნელადაც მუშაობდა „შრომით რეზერვებში".

ერთი სიტყვით, ბორისი ჭიდაობის პრაქტიკოსი და სწავლული მოღვაწეა, ისრაელ-საქართველოს შორის კავშირების გაღრმავებას დღენიადაგ ცდილობს და საგრძნობ შედეგებსაც აღწევს.

ამჟამად ის ისრაელის ქალაქ ბათიამში ცხოვრობს და მოღვაწეობს. 2002 წლიდან საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის სპორტისა და ტურიზმის კომისიის თავმჯდომარეა.

სულ მალე მისი წიგნი „საქართველოს ებრაელები სპორტულ სარბიელზე" ივრითსა და ინგლისურ ენაზე გამოვა. ქართულ ენაზე კი უკვე დაიბეჭდა 2008 წელს. ძირითადად საქართველოში დაბადებული 183 ღირსეული წარმომადგენელია ასახული ამ შესანიშნავ ნაშრომში. არიან ისრაელში და სხვა ქვეყნებში მცხოვრები სპორტსმენებიც, რომლებიც წარსულითა და აწმყოთი დაკავშირებულნი არიან საქართველოსთან. ეს წიგნი და ბორისის მოღვაწეობა ისრაელში ფართო თემაა.

გეტყვით იმასაც, რომ ბორის ჩაჩანაშვილს ამ დღეებში დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა, რასაც ჩვენც ვუსურვებთ თბილისელ მეგობარ-კოლეგებთან და მაქაბელებთან ერთად.

გაბრიელ ბარჯაძე

თბილისი. საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის სპორტული კომისიის სხდომაზე ამ კომისიის თავმჯდომარე ბორის ჩაჩანაშვილი (ფოტოზე შუაში) ნარდგა მოხსენებით: „ქართველ ებრაელ სპორტსმენთა წვლილი ისრაელის საერთო სპორტულ მიღწევებში".

ᲘᲡᲔᲕ ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲔ, ᲘᲡᲔᲕ ᲛᲝᲒᲒᲔᲑᲐ

13, ᲗᲐᲠᲡᲘ ᲛᲔᲢᲝᲥᲔᲗᲐᲗᲕᲘᲡ

ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲔᲡ ზურგზე 13 ნომერი აწერია.

- თუ ვინმე თვლის, რომ ეს რიცხვი თარსია, ასეც იფიქროს. თარსი მეტოქეთათვის იყოს, რადგან 13 ზურგზე მაწერია და ისინი უკეთესად ხედავენ, - გვითხრა ვიქტორმა...

ჰოდა, იტალიის ჩემპიონატის მორიგ მატჩში სანიკიძე „მონტეგრანაროსთვის“ ორმაგად თარსი იყო - „ვირტუსის“ მე-13 ნომერმა 13 ქულა ჩააგდო, რასაც 7 მოხსნა მიამატა. ვიქტორი პირველ ტაიმში თანაგუნდელებზე თამაშობდა (მხოლოდ 2 ქულა ჩააგდო), გადამწყვეტ მომენტში კი ჩვეულად ითამაშა, უფრო სწორად, ჩვეულად იფრინა და „ვირტუსს“ მე-12 მატჩი მოაგებინა. იტალიურ „ბასკეტნეტში“ მატჩის მიმოხილვას ასეთი სათაური ჰქონდა - „გადამწყვეტი სანიკიძე“.

იქვე ქართველი ფორვარდის გარჯა 7 ბალითაა შეფასებული (ყველაზე მაღალი მატჩში): *„სანიკიძე ყველა კომპონენტში საუკეთესო იყო, 13 ქულა ჩააგდო, ხოლო მისმა მარგი ქმედების კოეფიციენტმა 22-ს უნია. ვიქტორი რიგ ეპიზოდში გამთამაშებლის ფუნქციებსაც ითავსებდა, რათა სწრაფად წარემართა თავისი გუნდის შეტევები. სანიკიძემ „მონტეგრანაროს“ ინიციატივის აღების საშუალება არ მისცა და თანაგუნდელებს გამარჯვებაში ძალიან დაეხმარა“.*

უფრო კონკრეტულად: სანიკიძემ მეორე ტაიმი შეუცვლელად ითამაშა, მესამე პერიოდში 9 ქულა ჩააგდო და მეოთხე რაუნდის წინ „ვირტუსი“ 54:50 დაანინაურა. მატჩის ბოლოს მასპინძლებმა სხვაობა ქულამდე შეამცირეს, მაგრამ ბოლო წამებზე ორქულიანი ააცილეს, რომელიც სანიკიძემ მოხსნა და ორი ჯარიმის ტყორცნის უფლება მოიპოვა. საბოლოო წერტილი მისი ორი ზუსტი საჯარიმო გამოდგა - 75:72.

21 ტურის შემდეგ ბოლონიელებს 12 მოგება აქვთ და მეოთხე ადგილზე არიან. 15 გამარჯვებით მეორეა **მანუჩარ მარკოიშვილის** „კანტუ“, რომელზეც გუშინდელ ნომერში მოგითხრეთ.

მომდევნო ტურტში, 20 მარტს „კანტუ“ „კასერტას“ უმასპინძლებს, „ვირტუსი“ - „ვარეზეს“. მანამდე 13 მარტს იტალიის ვარსკვლავთა მატჩია, რომელშიც სანიკიძე ჩატენვების კონკურსში მიიღებს მონაწილეობას.

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐ ᲢᲝᲞ-ᲝᲗᲮᲔᲣᲚᲨᲘ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲔᲠᲛᲐᲓᲘᲜᲘᲡᲐ და **ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲑᲝᲘᲡᲐᲡ** „ოლიმპიამ“ ადრიატიკის ლიგაზე ბოლო ორი ტური აღმაფრენით ჩაატარა და ტოპ-ოთხეულის (რეგულარული ეტაპიდან სწორედ ოთხი გადის) საგზურის მაძიებელი ორი გუნდი გზიდან ჩამოიცილა: ჯერ ჩერნოგორიაში „ბუდუჩნოსტს“ სძლია, კვირას კი ხორვატიაში „ზაგრები“ დაამარცხა - 89:85.

მიუხედავად იმისა, რომ შერმადინს ჩვეული ეფექტურობით არ უთამაშია, მწვრთნელი მას ბოლო წუთებზეც ენდო (მეხუთე ფოლი ბოლო წამებზე მიიღო). გიორგის მონაგარი ასე გამოიყურებოდა: 16 წუთი, 2 ქულა (2-დან 1 ორქულიანი), 5 მოხსნა.

„ოლიმპიაქ“ გამოცდილმა ქართველმა ვლადიმერ ბოისამ 4 წუთი ითამაშა.

რეგულარული ეტაპის დამთავრებამდე სამი ტურით ადრე „ოლიმპიას“ 15 მოგება აქვს (8 მარცხი) და „პარტიზანთან“ მეორე-მესამე ადგილებს იყოფს. სლოვენიელებს ოთხეულში მოხვედრა განაღდებული აქვთ - სადღეისოდ მეოთხე-მეხუთე ადგილებზე მყოფი „ზაგრები“ და „ბუდუჩნოსტი“ (13-13 მოგება) „ოლიმპიას“ საბოლოოდ ვერ გადაასწრებენ, რადგან მათთან ლიუბლიანელებს დადებითი ბალანსი აქვთ.

„ოლიმპია“ მომდევნო შეხვედრას 8 მარტს ჩეხურ „ნიმბურკთან“ ჩაატარებს.

ᲛᲐᲛᲐ ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲕᲔᲜᲢᲡᲠᲘᲚᲡᲗᲐᲜ ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ

ᲑᲐᲚᲢᲘᲘᲡ ლიგაზე **გიორგი ცინცაძის** „ტარტუ როკმა“ ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩი „ნევეუისთან“ 55:81 დათმო. ეს შეხვედრა ლიტველებისთვის პლეი ოფში მოხვედრის საკითხს წყვეტდა, „როკისთვის“ - არაფერს. ესტონელები წაგების შემთხვევაშიც მესამე ადგილზე დარჩებოდნენ. ასეთი განწყობა თამაშზეც აისახა და გაიმარჯვა იმან, ვისაც მოგება მეტად სჭირდებოდა.

ლიტვაში ტარტუელებს არ გაჰყოლიათ გიორგი ცინცაძე. როგორც აღმოჩნდა, ამისთვის საპატიო მიზეზი ჰქონდა: ვაჟი შეეძინა, რასაც გულითადად ვულოცავთ.

რადგან ვთქვით - „როკმა“ ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩი ჩაატარაო, აქვე განმარტებაა საჭირო: პლეი ოფში ექვსი ბალტიური გუნდი გავიდა, რომლებსაც ორი „ვეშაპი“ დაემატა, „უალგირისი“ და „რიტასი“. რადგან ცინცაძის გუნდი მესამე ადგილზე აღმოჩნდა, მეოთხედფინალში ორი გრანდი ასცდა, თუმცა ნახევარფინალში მოსახვედრად მაინც დიდი ძალისხმევა დასჭირდება - ლატვიის „ვენტსპილსს“ გადაეყარა. სერია ორ მოგებამდეა და პირველი მატჩი ლატვიაში 11 მარტს გაიმართება.

ცნობისთვის: „ტარტუ როკმა“ ბალტიის ლიგაზე საუკეთესო შედეგი ორი წლის წინათ უჩვენა - მესამე ადგილი დაიკავა. მაშინ „როკერთა“ ღირსებას ცინცაძესთან ერთად **ვიქტორ სანიკიძე** იცავდა.

ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲐᲘᲭᲠᲐ, ᲒᲣᲜᲓᲘ ᲩᲐᲘᲭᲠᲐ

ᲘᲚᲘᲜᲝᲘᲡᲘᲡ ბოლოს „ატლანტამ“ 6-დან 5 მატჩი წააგო და მწვრთნელმა **ლარი დრიუმ** მდგომარეობის გამოსწორება წინა ხაზში ცვლილებების განხორციელებით სცადა. მან ზედიზედ ორ შეხვედრაში არ ათამაშა **ზაზა ფაჩულია** და სათამაშო დრო შეუზღუდა **ჯეისონ კოლინზს**. თუმცა, მალევე მიხვდა, რომ ზაზა საჭირო კალათბურთელია და მომდევნო 2 მატჩში 20-20-ზე მეტი წუთი ათამაშა.

„ჰოქსს“ „ჩიკაგოს“ ძლევის შემდეგ კვლავ ჩავარდნა დაეწყო. მწვრთნელი კი გამოსავალს, ალბათ, ისევ მეფარეების ცვლილებაში ხედავს - ფაჩულია „ნიუ იორკთან“ 1:05 წუთი ათამაშა; კოლინზი, **პაუელი** და **ტომასი** მოედანზე საერთოდ არ გაუყვანია; ხოლო „ვაშინგტონიდან“ გადაყვანილ ცენტრ **არმსტრონგს** 11 წუთი არგუნა (1 ქულა, 1 მოხსნა).

ექსპერიმენტები „ატლანტას“ თავკაცს ძვირად დაუჯდა - „ნიუ იორკთან“ 79:92 დამარცხდა.

„ჰოქსი“ მომდევნო მატჩსაც შინ ჩაატარებს - 8 მარტს „ლეიკერსს“ მიიღებს.

ᲡᲙᲘᲭᲐ ᲡᲐᲡᲢᲐᲠᲢᲝᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ

ᲝᲠᲙᲕᲘᲠᲘᲐᲜᲘ გაუგებრობის შემდეგ **ნიკა ცქიტიშვილმა** მწვრთნელთან პრობლემები მოაგვარა და ბოლო ტურის მატჩში სასტარტო ხუთეულში დაბრუნდა. ნიკამ მოედანზე 13 წუთი გაატარა, 6 ქულა და 3 მოხსნა მიითვალა. მან 2 სამქულიანი ააცილა მონაგარი კი ორქულიანი ტყორცნების შედეგად შეივსო - 5-დან 3.

ვერც ცქიტიშვილმა და ვერც **ბარონის** 27-მა ქულამ „ლაგუნ არო“ წაგებისგან ვერ იხსნა. ბასკურ დერბიში ბილბაოს „ბისკაიამ“ სან სებასტიანის „ლაგუნ არო“ 92:86 დაამარცხა. ნიკას ბელგიელი **აქსელ ერველეს** წინააღმდეგ მოუწია თამაშმა. საქართველოს ნაკრების მომავალმა მეტოქემ 19 წუთში 4-4 ქულა-პასი და 3 მოხსნა მოაგროვა.

■ ■ ■

მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა **ტორინ გრინის** „გრან კანარიამ“: ატლანტის ოკეანის კუნძულელებმა ხმელთაშუა ზღვის კუნძულელი მენორკელები სარკისებური ანგარიშით დაამარცხეს - 67:76.

ტორინიც სასტარტო იყო და ნაყოფიერადაც იშრომა: 25 წუთი, 10 ქულა (3-დან 1 ორქულიანი, 6-დან 2 სამიანი, 2-დან 2 საჯარიმო), 2 მოხსნა, 5 პასი.

■ ■ ■

მისთვის დამახასიათებლად ითამაშა **ტაირონ ელისმა**: 19 წუთში 9 ქულა და 1 მოხსნა ჩაიწერა. მას არც ორქულიანი უსვრია, არც საჯარიმო - 6-დან 3 სამქულიანი გამოიყენა. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც „ესტუდიანტესის“ მთავარი მექანელე **კანერ-მედლი** იყო - 19 ქულა.

სტუდენტებმა მადრიდში მალაგის „უნიკახა“ 78:69 დაამარცხეს და საპლეიოფო რვაეულს მიუახლოვდნენ.

■ ■ ■

საქართველოს ნაკრების კიდევ ერთ ყოფილ კალათბურთელს, **ქუინტონ ჰოსლის** სერიოზული გამომცდელი ჰყავდა - მისი „ხუვენტუდი“ მადრიდში ჩავიდა და „რეალს“ დაუპირისპირდა. როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა სამეფო კლუბმა - 78:60.

ჰოსლიმ 23 წუთში 7-7 ქულა-მოხსნა გაიფორმა.

■ ■ ■

გრინისა და ჰოსლის გუნდებს 11-11 მოგება აქვთ (12-12 წაგების წილ) და „უნიკახასთან“ ერთად მეათე-მეთორმეტე პოზიციებს ინანილებენ. „ლაგუნ არო“ 9 გამარჯვებით მეცამეტეა, ხოლო ელისის „ესტუდიანტესს“ 12 მოგება უწერია და მეცხრე ადგილზეა.

მომდევნო ტურში, 9 მარტს „ლაგუნ არო“ „რეალს“ მიიღებს, ხოლო გრინის „კანარია“ ელისის „ესტუდიანტესს“ უმასპინძლებს.

ᲒᲕᲔᲠᲓᲘ ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ
ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ლეგიონერები

მაისურაძის ლელო და მეკოს ჩვიდმეტი ქულა

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში, პირველი ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე სამი ტური დარჩა. ახლა თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან ოთხმა უკვე მოიპოვა შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება. სამი კი ბოლო სამ ტურში შეეცდება მეორე დივიზიონში აღზევებისთვის ბრძოლის უფლების მოპოვებას.

A ჯგუფში კვლავ შესანიშნავად ასპარეზობს გათამაშების ლიდერი, - **შალვა სუთიაშვილის, სანდრო ესაკიას, დავით აშვეთიასა** და **არჩილ კობაურის** „მასი“, რომელმაც შინ იოლად დაამარცხა „ნევერი“ - 42:13. სუთიაშვილმა სრულად ითამაშა, ესაკია, აშვეთია და კობაური განაცხადში არ იყვნენ. პარიზელებმა 79 ქულა დააგროვეს და მეორეადგილოსან „ბობინის“ 12 ქულით უსწრებენ.

მეორე ჯგუფურ ეტაპზე გასვლისთვის იბრძვის **ელიზაბარ ყუფარაძისა** და **დევი დათუნაშვილის** „მონლუსონი“, რომელიც სტუმრად დამარცხდა **თემურ გელანტიას** „სტრასბურთან“ - 13:16. მონლუსონელებს 57 ქულა აქვთ და მე-4 ადგილზეა.

ავთანდილ კოპალიანის „ორლეანმა“ შინ წააგო „დიჟონთან“ - 13:16. კოპალიანს არ უთამაშია. დიმა ხოჭოლავას „სერუ პონტუაზი“ კი სტუმრად ვერას გახდა „ანესისთან“ - 15:25.

ირაკლი მაჩხანელის, ბესო უდესიანისა და **შოთა მელიქიძის** „მაკონმა“ შინ წააგო მესამეადგილოსან „ბურგ ან ბრესეთან“ - 26:34.

A ჯგუფი

მასი-ნევერი 42:13, სურესნე-ბობინი 5:47, ორლეანი-დიჟონი 13:16, სტრასბური-მონლუსონი 16:13, ანესი-სერუ პონტუაზი 25:15, მაკონი-ბურგ ან ბრესი 26:34

საბურნირო მდგომარეობა

1. მასი - 79 ქულა, 2. ბობინი - 67, 3. ბურგ ან ბრესი - 61, 4. მონლუსონი - 57, 5. დიჟონი - 56, 6. ნევერი - 41, 7. ორლეანი - 40, 8. მაკონი - 35, 9. სტრასბური - 29, 10. ანესი - 28, 11. სურესნე - 13, 12. სერუ პონტუაზი - 11

B ჯგუფში სატურნირო ცხრილის პირველი ორი საფეხური „ქართულ კლუბებს“ „ბეზიესა“ და „მონტობანს“ უკავიათ. ორივე მათგანს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მეორე ჯგუფური ეტაპის საგზური განაღდებული აქვს.

ლაშა მალაღურაძისა და **გიორგი მჭედლიშვილის** „ბეზიემ“ სტუმრად წაგო **დიმა ბასილაიასა** და **ნიკლოზ მაღალდაძის** „ობენასთან“ - 16:30. თუმცა სატურნირო ცხრილში 60 ქულით მაინც პირველ ადგილზეა და მეორეადგილოსან, **გიორგი ნემსაძის** „მონტობანს“ 9 ქულით უსწრებს.

მონტობანელებმა თავის მხრივ შინ დაამარცხეს **დავით კაჭარავას** „ნიცა“ - 30:15. ნემსაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 51-ე წუთზე შეცვალეს. კაჭარავამ სრულად ითამაშა. „ნიცას“ 47 ქულა აქვს და მე-5 ადგილზეა.

გია ლაბაძისა და **რეზო ბელქანიას** „ლა სეინმა“ სტუმრად წააგო, „გრასთან“ - 22:33. ჩვენებურთა გუნდს 44 ქულა აქვს და მე-4 ადგილზეა. **გიორგი კუთარაშვილის** „შატორენარმამ“ კი სტუმრად დაამარცხა **ნიკოლოზ გიორგაძის** „გროლე“ - 19:12.

B ჯგუფი

მონტობანი-ნიცა 30:15, ობენა-ბეზიე 30:16, გრასი-ლა სეინი 22:33, გროლე-შატორენარი 12:19, ბლანიაკი-რომანი 14:15, ვალანსი-ლავორი 26:20

საბურნირო მდგომარეობა

1. ბეზიე - 60 ქულა, 2. მონტობანი - 51, 3. ბლანიაკი - 48, 4.ვალანსი - 47, 5. ნიცა - 47, 6. ლა სეინი - 44, 7. შატორენარი - 43, 8. ლავორი - 41, 9. რომანი - 41, 10. ობენა - 37, 11. გროლე - 36, 12. გრასი - 17

C ჯგუფის ლიდერის **თედო ზიბზიბაძის, ალექსანდრე მარგველაშვილის, დავით დადუნაშვილისა** და **ირაკლი ნინიძის** „პერიგოს“ შეხვედრა სტუმრად **ირაკლი გუნდიშვილისა** და **შოთა საყვარელიძის** „ნიორთან“ გადაიდო.

ვახტანგ მაისურაძის „სენ ნაზერმა“ შინ გაანადგურა „პაი დუ მედოკი“ - 55:14. მაისურაძემ, რომელმაც სრულად ითამაშა, 27-ე წუთზე ლელო გაიტანა. „სენ ნაზერმა“ ამ გამარჯვების შემდეგ 53 ქულა დააგროვა და მე-5 ადგილზეა.

გიორგი ნაცარაშვილის „სენ ჟუნიენმა“ შინ დაამარცხა „ტური“ - 47:14.

C ჯგუფი

სენ ჟუნიენი-ტური 47:14, სენ ნაზერი-პაი დუ მედოკი 55:14, რიბერაკი-ლანჟონი 13:25, სენ მედარი-ლიმოჟი 8:22, მარმანდი-ვანი 23:18, ნიორი-პერიგო (გადაიდო)

საბურნირო მდგომარეობა

1. ლიმოჟი - 76 ქულა, 2. პერიგო - 69, 3. ვანი - 66, 4. მარმანდი - 60, 5. სენ ნაზერი - 53, 6. ლანჟონი - 49, 7. სენ მედარი - 46, 8. სენ ჟუნიენი - 43, 9. რიბერაკი - 28, 10. პაი დუ მედოკი - 19, 11. ნიორი - 14, 12. ტური - 9

ქართველ მორაგბეთა გუნდები ყველაზე წარუმატებლად D ჯგუფში ასპარეზობენ. „ფიჟაკი“ და „ორტეზი“ აუტსაიდერები არიან.

მერაბ კვირიკაშვილის, ბექა ურჯუკაშვილის, რეზო გიგაურის, ლევან დათუნაშვილისა და **დავით ბალანჩივაძის** „ფიჟაკმა“ შინ დრამატაულ ბრძოლაში დაამარცხა „ტურნეფოი“ - 22:20. ფიჟაკელები 78-ე წუთისთვის 15:20 აგებდნენ, როცა რუმინელმა მესამეხაზელმა **ტრაიან პლოტშიმ** ლელო გაიტანა, რომელიც კვირიკაშვილმა გარდასახა და გუნდს გამარჯვება მოუტანა.

„მეკომ“, რომელმაც სრულად ითამაშა, ამის გარდა კიდევ ხუთი საჯარიმო მიითვალა (სულ 17 ქულა), თავიდან ბოლომდე ითამაშა დათუნაშვილმაც, გიგაური თამაშში 38-ე წუთიდან ჩაერთო, ურჯუკაშვილი და ბალანჩივაძე განაცხადში არ იყვნენ.

კარლენ ასეიშვილის „ორტეზმა“ შინ წაგო „ლურდთან“ - 16:26. ასეიშვილი მე-18 წუთზე არბიტრმა გაასინბინა, 32-ე წუთზე კი შეცვალეს.

D ჯგუფი

ლილი-ოლორონი 29:8, მოლეონი-მორლაა 26:25, ლანამეზანი-სენ ჟან დე ლუზი 19:13, ფიჟაკი-ტურნეფოი 22:20, ტიროსი-კაორი 54:28, ორტეზი-ლურდი 16:26

საბურნირო მდგომარეობა

1. ტიროსი - 76 ქულა, 2. ლილი - 64, 3. ლანამეზანი - 62, 4. კასტანე - 58, 5. ოლორონი - 49, 6. სენ ჟან დე ლუზი - 49, 7. მორლაა - 44, 8. ლურდი - 44, 9. მოლეონი - 44, 10. ტურნეფოი - 36, 11. ფიჟაკი - 35, 12. კაორი - 31, 13. ორტეზი - 21

ბურთით გიორგი ნემსაძე

ერთა თასი



რუმინეთი-საქართველო. 2010 წელი

სტეჟარის მხოლოდ ზინკუ აკლია

საქართველოს ნაკრები შაბთს, ერთა თასის გათამაშების მეოთხე ტურის მატჩში რუმინეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. „სტეჟარის“ ფრანგმა თავკაცმა, **რობერ ანტონენმა** საწვრთნელ შეკრებაზე ერთბაშად 31 მორაგბეს უხმო.

წინა ტურში, რუსეთთან გამართული მატჩისგან განსხვავებით, რუმინელთა გუნდში ხუთი სიახლეა. ანტონენმა ახლახან ტრავმამოშუშებული შუამარბი **იონუც დიმოფტე** და შერკინების პირველხაზელი **დრაგოშ დიმა** გამოიძახა. რუსებთან არ უთამაშიათ ასევე **სამუელ მარისს** და **ვალენტინ ურსაკეს**, მესამეხაზელი **ტრაიან პლოტში** კი, რომელიც ფრანგულ „ფიჟაკში“ ასპარეზობს, სულაც დებიუტანტია.

„მუხის ფოთლებს“ ტრავმის გამო დააკლდებათ შერკინების კვაჭი **მარიუს ტინკუ**. საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში, „სტად ფრანსესთან“ მატჩში დაშავდა „პერპინიანის“ მესამეხაზელი **ოვიდიუ ტონიცა.** შეძლებს თუ არა, ყველაზე ძლიერი რუმინელი მორაგბე „ბორჯღალოსნების“ წინააღმდეგ თამაშს, ფრანგული კლუბის ექიმები დღეს გადაწყვეტენ.

საქართველოს ნაკრები

პირველი ხაზი: **დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), დავით ხინჩაგიშვილი (ბრივი), ირაკლი ნატრიაშვილი (სტიაუა), ჯაბა ბრეგვაძე (არმია), გიორგი ჟღენტი (მონპელიე)**

მეორე ხაზი: **ლევან დათუნაშვილი (ფიჟაკი), ვახტანგ მაისურაძე (სენ ნაზერი), გიორგი ნემსაძე (მონტობანი)**

მესამე ხაზი: **მამუკა გორგოძე, გიორგი ჩხაიძე (ორივე-მონპელიე), შალვა სუთიაშვილი (მასი), გია ლაბაძე (ლა სეინი), ბესო უდესიანი (მაკონი), ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი), სიმონ მაისურაძე (ვილერბანი), ზვიად მაისურაძე (ლოკომოტივი)**

№9: **ირაკლი აბუსერიძე (ოსერი), ბიძინა სამხარაძე (სტიაუა)**

№10: **მერაბ კვრიკიაშვილი (ფიჟაკი), ლაშა მალაღურაძე (ბეზიე)**

№12-13: **დავით კაჭარავა (ნიცა), თედო ზიბზიბაძე (პეროგო)**

№11-14: **ირაკლი მაჩხანელი (მაკონი), ლექსო გუგავა (ლელო), ირაკლი ჩხიკვაძე (აია)**

№15: **ბესიკ ხამაშურიძე (აია), ბექა ურჯუკაშვილი (ფიჟაკი)**

რუმინეთის ნაკრები

პირველი ხაზი: **დრაგოშ დიმა (ბლანიაკი), ვასილე მარისკარიუ (ბობინი), ნიკოლაე ნერე, ბოგდან ზებეგა (ორივე-სტიაუა), სამუელ მარისი (ტიმიშოარა), პეტრუ ტამბა (დინამო), ანდრეი რადოი (ბაია მარე)**

მეორე ხაზი: **სორინ სოკოლი (ლურდი), კრისტიან პეტრე (სენტ ეტიენი), ვალენტინ პოპირლანი (ბუქარესტი), ვალენტინ ურსაკე (ექსი).**

მესამე ხაზი: **ვიორელ ლუკაჩი, დანიელ იანუსი (ორივე-სტიაუა), მიჰალ მაკოვეი (ბაია მარე), ოვიდიუ ტონიცა (პერპინიანი), დანიელ კარპო (ფარული), ტრაიან პლოტში (ფიჟაკი)**

№9: **ლუჩან სირბუ (მიო), ვალენტინ კალაფეტეანუ (ტიმიშოარა), ფლორინ სურუგიუ (ბუქარესტი)**

№10: **დანუც დუმბრავა, ფლორინ ვლაიკუ (ორივე-სტიაუა)**

№12-13: **ჩაბა გალი (ბაია მარე), კონსტანტინ გეარა (ფარული), რობერტ დესკალუ, იონელ კაზანი (ორივე-სტიაუა), იონუც დიმოფტე (ბაია მარე)**

№11-14: **კატალინ ფერკუ, მადალინ ლემნარუ (ორივე-ტიმიშოარა), კატალინ ნიკოლაე (ფარული)**

№15: **იულიან დუმიტრაში (ლურდი)**

ერთა თასი

IV ტურ. 12 მარტი

საქართველო-რუმინეთი, ესპანეთი-პორტუგალია, უკრაინა-რუსეთი

V ტურ. 19 მარტი

რუსეთი-საქართველო, რუმინეთი-ესპანეთი, პორტუგალია-უკრაინა.

საბურნირო მდგომარეობა

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. საქართველო	3	3	0	0	+120	14
2. პორტუგალია	3	2	0	1	+8	9
3. ესპანეთი	3	1	0	2	-44	6
4. რუმინეთი	2	1	0	1	+23	5
5. რუსეთი	3	1	0	2	-28	5
6. უკრაინა	2	0	0	2	-81	0

რუსები უქართველებოდ

ერთა თასის წლევანდელ გათამაშებაში საქართველოს ნაკრების ბოლო მეტოქე რუსეთის ეროვნული გუნდი ტრადიციულად სოჭში შეიკრიბა. რუსები 12 მარტს სტუმრად ითამაშებენ ოდესაში უკრაინის ნაკრებთან. მთავარმა მწვრთნელმა **ნიკოლაი ნერუშმა** საწვრთნელ შეკრებაზე 28 მორაგბე გამოიძახა.

აღსანიშნავია, რომ გაფართოებულ შემადგენლობაში არ არიან ქართველი მორაგბეები **კარლო მაღლაკელიძე** და **ვალერი ცნობილაძე.** უკრაინასთან არ ითამაშებს ასევე ფრანგული „ორიაკის“ მეორეხაზელი **ანდრეი ოსტრიკოვი.**

ორწლიანი პაუზის შემდეგ ეროვნულ გუნდს დაუბრუნდა ვეტერანი **ვიაჩესლავ გრაჩოვი.** შეგახსენებთ, რომ მან ბოლოჯერ რუსთა გუნდში, 2008 წლის აპრილში საქართველოს ნაკრებთან ითამაშა.

რუსეთის ნაკრები

პირველი ხაზი: **ალექსანდრ ხროკინი, ალექსეი ტრავკინი, ვლადისლავ კორშუნოვი (სამივე-ვვა), სერგეი პოპოვი, რომან ბორისოვი (ორივე-სლავა), ივან პროშეპენკო (კრასნი იარი), ევგენი პრონენკო (ენისეი)**

მეორე ხაზი: **ალექსეი პანასენკო, ალექსანდრ ვოიტოვი (ორივე-ვვა), ანდრეი გარბუზოვი (კრასნი იარი)**

მესამე ხაზი: **ვიაჩესლავ გრაჩოვი (ბიზანსონი), ვიქტორ გრესევი, კირილ კუშნარიოვი, ევგენი მატვეევი (სამივე-ვვა), ნიკიტა მედკოვი (სლავა), ანდრეი ტემნოვი)**

№9: **ალექსანდრ იანუშკინი, ალექსანდრ შაკიროვი (ორივე-ვვა)**

№10: **იური კუშანარიოვი (ვვა)**

№12-13: **მიხაილ ბაბაევი (ვვა), იგორ გალინოვსკი, ალექსეი მაკოვეეკი (ორივე-კრასნი იარი)**

№11-14: **ვასილი არტემევი, ანდრეი კუზინი (ორივე-ვვა), ვლადიმირ ოსტროუშკო (კრასნოდარი)**

№15: **კონსტანტინ რაჩკოვი (სტად ფოსიენი), იგორ კლუჩნიკოვი (ვვა).**

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

msy-gov-ge

უცხოური სპორტი

● მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი

პარიზის უკანასკნელი ტამგო

პარიზში სამი დღე მიმდინარეობდა მძლეოსნობაში წლევანდელი სეზონის პირველი სერიოზული სტარტი - ევროპის ჩემპიონატი დარბაზებისთვის. ბოლო დღეს გაიხარეს ფრანგმა გულშემატკივრებმა. მათმა მთავარმა იმედმა, ფრანგმა სამხტომელმა **ტედი ტამგომ** სრულად გაამართლა მასზე გაცემული ავანსები. ტამგომ შეინარჩუნა ორი წლის წინ მოპოვებული ტიტული, მაგრამ ამაში ეჭვი ისედაც არავის ეპარებოდა. უფრო საინტერესო ის არის, რომ ტამგო ორჯერ - მეორე და მეოთხე ცდაზე გადახტა 17 მეტრსა და 92 სანტიმეტრზე და მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა.

ტედი ტამგო

ტამგოს გარდა ფრანგული პუბლიკას ევროპის საუკეთესო სპრინტერის - **კრისტოფ ლემეტრის** ეიმედებოდა. შეგახსენებთ, შარშან ლემეტრი მძლეოსნობის ისტორიაში შევიდა - ის პირველი თეთრკანიანი მძლეოსანი გახდა, ვინც 100 მეტრი 10 წამზე ნაკლებ დროში დაფარა.

ლემეტრი 60-მეტრიან დისტანციაზე საკვალიფიკაციო ეტაპზე დომინირებდა, მაგრამ ფინალში სტარტზე შეყოვნდა და ეს დამარცხებად დაუჯდა. ფრანგს პორტუგალიელმა **ფრენსის ობიკველუმ** და ბრიტანელმა **დუეინ ჩემბერსმა** გაუსწრეს. სწორედ ამ სპრინტერებმა მოიგეს ოქროსა და ვერცხლის მედლები.

ლემეტრს უნდა დაჰბრალდეს ის, რომ საფრანგეთის ნაკრებმა საერთო გუნდურ ჩათვლაში ვერ შეძლო პირველი ადგილის აღება. ზუსტად ეს დაგეგმილი ოქრო დააკლდა მასპინძელთა გუნდს რუსეთის გასასწრებად.

ზამთრის შემდეგი ჩემპიონი 2013 წელს შვედეთის ქალაქ გიოტებორგში გაიმართება, წელს კი მძლეოსნების მეორე მთავარი სტარტი იქნება მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელსაც კორეის ქალაქი ტეგუ უმასპინძლებს.

კაცები

60 მეტრი

1. **ფრენსის ობიკველუ** (პორ) - 6,53; 2. დუეინ ჩემბერსი (ბრიტ) - 6,54; 3. კრისტოფ ლემეტრი (საფ) - 6,58.

800 მეტრი

1. **ადამ კშჩოტი** (პოლ) - 1.47,87; 2. **მარცინ ლევანდოვსკი** (პოლ) - 1.48,23; 3. კევინ ლოპესი (ესპ) - 1.48,35.

1500 მეტრი

1. **მანუელ ოლმედო** (ესპ) - 3.41,03; 2. **ქემალ ქინუნჯუ** (თურ) - 3.41,18 (ეროვნული რეკორდი); 3. **ბარტოშ ნოვიცკი** (პოლ) - 3.41,48.

ესტაფეტა 4x400 მ

1. **საფრანგეთი** - 3.06,17 (ეროვნული რეკორდი); 2. **ბრიტანეთი** - 3.06,46; 3. **ბელგია** - 3.06,57.

სამხტომი

1. **ტედი ტამგო** (საფ) - 17,92 (მსოფლიოს რეკორდი); 2. **ფაბრიციო დონატო** (იტა) - 17,73 (ეროვნული რეკორდი); 3. **მარიან ოპრეა** (რუმ) - 17,62.

ჯავლინი

1. **ანდრეი კრავჩენკო** (ბლრ) - 6282; 2. **ნადირ ელ ფასი** (საფ) - 6237; 3. **რომან შერბლე** (ჩეხ) - 6178.

ქალები

60 მეტრი

1. **ოლესია პოვეი** (უკრ) - 7,13; 2. **მარია რემენი** (უკრ) - 7,15; 3. **ეზინე ოკპარაებო** (ნორ) - 7,20.

800 მეტრი

1. **ევგენია ზინეფროა** (რუს) - 2.00,19; 2. **ჯენიფერ მიდოუზი** (ბრიტ) - 2.00,50; 3. **იულია რუსანოვა** (რუს) - 2.00,80.

3000 მეტრი

1. **ჰელენ კლისეროო** (ბრიტ) - 8.56,66; 2. **ოლესია სიროვა** (რუს) - 8.56,69; 3. **ლიდია ჰოიეცკა** (პოლ) - 8.58,30.

ესტაფეტა 4x400 მ

1. **რუსეთი** - 3.29,34; 2. **ბრიტანეთი** - 3.31,36; 3. **საფრანგეთი** - 3.32,16.

სიმაღლეზე ხტომა

1. **ანტუანეტა დი მარტინო** (იტა) - 2,01; 2. **რუტ ბეტია** (ესპ) - 1,96; 3. **ება იუნგმარკი** (შვედ) - 1,96.

ჯოკით ხტომა

1. **ანა როგავსკა** (პოლ) - 4,85 (ეროვნული რეკორდი); 2. **ზილკე შპიგელბურგი** (გერ) - 4,75; 3. **კრისტინა გაჯიევი** (გერ) - 4,65.

სიგრძეზე ხტომა

1. **დარია კლიშინა** (რუს) - 6,80; 2. **ნიდე გომეში** (პორ) - 6,79; 3. **იულია პიდლუჟნაია** (რუს) - 6,75.

მედლების ცხრილი

1. რუსეთი	6	3	6	15
2. საფრანგეთი	5	4	2	11
3. გერმანია	3	4	3	10
4. ბრიტანეთი	2	5	1	8
5. პოლონეთი	2	1	2	5
6. ჩეხეთი	2	1	1	4
7. იტალია	2	1	0	3
8. ესპანეთი	1	2	1	4
9. პორტუგალია	1	1	0	2
9. უკრაინა	1	1	0	2
11. ბელარუსი	1	0	0	1
12. თურქეთი	0	1	1	2
13. აზერბაიჯანი	0	1	0	1
13. ლიტვა	0	1	0	1
15. ბელგია	0	0	2	2
15. ნორვეგია	0	0	2	2
17. დანია	0	0	1	1
17. პოლანდია	0	0	1	1
17. რუმინეთი	0	0	1	1
17. სლოვაკეთი	0	0	1	1
17. შვედეთი	0	0	1	1

● ამბები

კალათბურთი

ნესტეროვიჩი თებერვლის რჩეულია

საბერძნეთის „ოლიმპიაკოსის“ ცენტრი **რადოსლავ ნესტეროვიჩი** ევროლიგის ხელმძღვანელობამ თებერვლის საუკეთესო მოთამაშედ აღიარა. ამ კალათბურთელმა თავის გუნდს „ვალენსიას“, „ფენერბაჰჩესა“ და „ულალგირისის“ დამარცხებასა და პლეი ოფში გასვლაში დაეხმარა.

სლოვენიელი მოთამაშე ამ მატჩებში საშუალოდ 17.3 ქულას, 6.3 მოხსნასა და 3.0 დაფარებას აგროვებდა.

პოლს სერიოზული ბრავმა აქვს

რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურში „ნიუ ორლეან ჰორნეტსის“ ლიდერმა **კრის პოლმა** სერიოზული ტრავმა მიიღო. „კლივლენდთან“ მატჩის მესამე მეოთხედში პოლი თავით შეეჯახა მეტოქის გამთამაშებელ **რაიმონ სეშენსს** და საკაცით გაიყვანეს მოედნიდან.

მატჩის შემდეგ ჩატარებულმა სამედიცინო გამოკვლევამ ტვინის მძიმე შერყევა არ დააფიქსირა, თუმცა ეჭვგარეშეა, რომ პოლი გამოტოვებს თავისი გუნდის მომდევნო შეხვედრას.

ჰოკეი

სტაბილურებში შევსებაა

„კალგარი ფლეიმზის“ ცნობილი ფორვარდი **ჯერომ იგინლა** ჰოკეის ეროვნული ლიგის ყველაზე სტაბილური ბომბარდირების ათეულში მოხვდა. ეს თავდამსხმელი, ზედიზედ ათი სეზონია, მინიმუმ 30 შაიბას იტანს.

აქამდე ასეთი რამ ლიგის ისტორიაში ათმა ჰოკეისტმა მოახერხა, რეკორდი კი **მაიკ გარტნერსა** და **იარომირ იაგრს** ეკუთვნით, რომლებმაც ზედიზედ 15 სეზონის განმავლობაში გაიტანეს 30 ან მეტი შაიბა.

იგინლამ სეზონში მეათე შაიბა გუშინ „ნეშვილის“ წინააღმდეგ გაიტანა. მან ბულიტის გამოყენება შეძლო.

● კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ ჩამოწერთ ჩემპიონებს

...

„მაიამის“ სერიოზული პრობლემები აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დღეებში ფლორიდურ კლუბს რთული კალენდარი ჰქონდა, ზედიზედ ოთხი წაგება ვარსკვლავური გუნდისთვის მეტისმეტია. გუშინ, „ჰიტს“ საკუთარი გულშემატკივრების წინაშე შელახული პრესტიჟის აღდგენა მართებდა (შეგახსენებთ, რომ ბოლო საშინაო მატჩი „მაიამმა“ „ორლანდოსთან“ 24 ქულით წააგო), თანაც „ჩიკაგო“ გათამაშების ცხრილში უსწრებდა „ჰიტს“ და ეს მატჩი სატურნირო მდგომარეობის მხრივაც იყო მნიშვნელოვანი. და კიდევ, „დიდი ტრიოსთვის“ ეს იყო რეგულარულში „ჩიკაგოს“ დამარცხების ბოლო შანსი (ამ გუნდების პირველი ორი შეხვედრა „ბულზმა“ მოიგო).

სტუმრებმა პირველი ოთხი ქულა **ჟოაკიმ ნოას** ორი ჩატენით მოიპოვეს, რასაც მასპინძლებმა **ბოშის** საშუალო მანძილიდან ტყორცნითა და **უეიდის** სწრაფი გარღვევით უპასუხეს. ფარქვეშ ბრძოლა უკეთ ჩიკაგოელებს გამოსდიოდათ, მაგრამ „მაიამის“ მეტოქის მიერ ტყორცნების ცუდი რეალიზაცია შველოდა. ამის წყალობით მან ნელ-ნელა გაზარდა სხვაობა და მეორე მეოთხედის დაწყებიდან ორი წუთის შემდეგ პირველად გავიდა წინ ორნიშნა უპირატესობით - 28:18. **ტიმ ტიბოდომ** ტაიმ-აუტი აიღო და „ჩიკაგოს“ საქმეები მაშინვე გამოსწორდა - სტუმრებმა დაცვა გააძლიერეს და მალე სამ ქულამდე შეამცირეს სხვაობა.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ტაიმში „ჩიკაგოს“ ლიდერი **დერიკ როუზი** ნაკლებად შესამჩნევი ფიგურა იყო. თავისი საფირმო გარღვევა მან მხოლოდ პირველი ნახევრის ბოლო შეტევაში განახორციელა. იმ მომენტისთვის ფლორიდელებმა მოასწრეს 12 ქულით დაწინაურება, **ჯეიმსის**, უეიდისა და ბოშის ანგარიშზე კი 41 ქულა იყო - ერთითმეტი, ვიდრე დანარჩენი გუნდის მონაგარი.

როუზმა მეორე ტაიმში მოუმატა თამაშს. მას ძალიან მჭიდროდ ეთამაშებოდნენ მეურვეები, მაგრამ MVP-ის პრიზის მთავარი კანდიდატი მაინც ახერხებდა გარღვევებს ან მცველების თავისკენ გატყუებას და შემდეგ თავისუფალი პარტნიორებისკენ პასების დარიგებას. საბოლოოდ, ბოლო შესვენებამდე წუთ-ნახევრით ადრე „ხარები“ მაქსიმალურად მიუახლოვდნენ მეტოქეს და როუზს სამქულიანი რომ ჩაეგდო, წინ გასვლასაც მოახერხებენ.

გუნდები საწყის პოზიციას მეოთხე მეოთხედის დაწყებიდან პირველ წუთზე დაუბრუნდნენ - 65:65. ამის შემდეგ კარგა ხანი ქულა ქულაში მიდიოდა, შემდეგ კი დუეინ უეიდის შეცდომების ხარჯზე სტუმრები სამწუთ-ნახევრით ადრე სოლიდური უპირატესობით გავიდნენ წინ - 82:76. **სპოელსტრას** მორიგი ტაიმაუტის შემდეგ „მაიამი“ გააფთრებით ათამაშდა დაცვაში. ამან შედეგი მოიტანა. **ჩელმერსმა** შორეული ტყორცნით გაათანაბრა ანგარიში - 84:84. თამაშის დასრულებამდე წუთი და 5 წამი რჩებოდა. წუთშესვენების შემდეგ **კორვერმა** სამქულიანი ააცილა, ჩელმერსმა კი კიდევ ერთი ბურთი ჩააგდო და მასპინძლები ორი ქულით გავიდნენ წინ.

„ჩიკაგოს“ გადასარჩენად 25 წამი რჩებოდა. დრო საკმარისი იყო. სტუმრები შეტევის მერვე წამზე იყვნენ, როცა ჩელმერსი **დენგზე** დაჯარიმდა. ბრიტანელმა ორიდან ერთი საჯარიმო გამოიყენა, მაგრამ მოხსნაზე ივარგა, იქვე მასზე ისევ დაჯარიმდნენ. ამჯერად დენგმა ორივე თავისუფალი ტყორცნა მოათავსა კალათში - 87:86. მასპინძლებს გადასაწყვეტი ჰქონდათ ვისთვის მიენდოთ ბოლო ტყორცნა: ლებრონისთვის თუ უეიდისთვის? სხვათა შორის, გამარჯვების მომტანი ტყორცნების რეალიზაციის მხრივ „მაიამი“ NBA-ის ერთ-ერთი ყველაზე უარესი გუნდია.

სასწაული არც ამჯერად მომხდარა, თანაც სროლა ორივე სუპერვასკვლავმა მოასწრო. თავიდან გარღვევისას არაზუსტი იყო ლებრონი, შემდეგ ბურთი მოხსნა და ისროლა უეიდმა, მაგრამ ისიც შეცდა.

ასე რომ, „მაიამის“ ამ რეგულარულში არ ეღირსა „ხარების“ დამარცხება. საინტერესოა, რა მოხდება პლეი ოფში, თუ, რა თქმა უნდა, ფლორიდელებს მოუწიათ ნოკაუტ-რაუნდში „ბულზთან“ შეხვედრა.

„მაიამისგან“ განსხვავებით მოქმედმა ჩემპიონმა „ლეიკერსმა“ რევანში აუღო თავის პრინციპულ მეტოქეს „სან ანტონიოს“, რომელთანაც წინა ორი მატჩი ჰქონდა წაგებული.

თავიდან „ლეიკერსი“ გამოიყურებოდა კარგად, გაცილებით შინაარსიანად უტევდა და რაც მთავარია, თავი გამოიჩინა ექვსივე მოთამაშემ, რომლებსაც პირველ მეოთხედში მოუწიათ მოედანზე გასვლამ, მასპინძლებისგან რეალურ საფრთხეს მხოლოდ **ტონი პარკერი** წარმოადგენდა. „სპურსის“ მთავარმა ვარსკვლავმა **ტიმ დანკანმა** კი საწყის 12 წუთში ქულა ვერ დააგროვა, თუმცა სულ ერთხელ ისროლა. ამ ყველაფრის გამო პირველი მეოთხედი რეგულარულის ლიდერმა სამარცხვინოდ წააგო 21 ქულით.

ჩემპიონმა შეტევითი ფეიერვერკი მეორე მეოთხედში გააგრძელა. სამქულიანები ჩააგდეს ორთვიანი პაუზის შემდეგ დაბრუნებულმა **მეტ ბარნსმა** და თვით **პაუ გასოლმა**, ვისთვისაც ეს იყო პირველი გამოყენებული შორეული ტყორცნა სეზონში. პირველი ტაიმის დასრულებამდე 27 წამით ადრე, **დერეკ ფიშერის** სამქულიანის შემდეგ სხვაობა კატასტროფული გახდა - 65:36.

„სპურსის“ გულშემატკივარი, რომელიც გადაჩვეულია ამ სეზონში თავისი საყვარელი გუნდის საშინაო მარცხს (ამ მატჩამდე „სან ანტონიოს“ შინ ზედიზედ 22 მატჩი ჰქონდა მოგებული), „ლეიკერსს“ უსტვენდა, მაგრამ ეს მასპინძლებს არ შველოდა. დიადი **მეჯიქ ჯონსონი** პირდაპირ ეთერში აქებდა თავის გუნდს და „ლეიკერსის“ გუშინდელ თამაშს სეზონში საუკეთესოს უწოდებდა.

ბოლო მეოთხედში ინტრიგა შემდეგში მდგომარეობდა - შეძლებდნენ თუ არა მასპინძლები ღირსეული ანგარიშით წაგებას. რა თქმა უნდა, გამარჯვებაზე ფიქრი ზედმეტი იყო. მასპინძლებმა ეს მეტ-ნაკლებად მოახერხეს, თანაც მათი საფინიშო სპურტი რეზერვისტების დამსახურება იყო, თორემ ძირითადის წევრები დიდი ხანია სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ მწუხარე სახეებით.

„ლეიკერსმა“ კი მართლაც საუკეთესო მატჩი ჩაატარა ამ სეზონში და ყველას მიანიშნა, რომ მისი ჩამოწერა ნაადრეევია და კალიფორნიელები არ აპირებენ ასე იოლად ტიტულის დათმობას.

■ ■ ■

გასული დღე რამდენიმე სტატისტიკური მიღწევითაც იყო აღსანიშნავი. თავი გამოიჩინეს ვეტერანმა პლეიმეიკერებმა - **სტივ ნეშმა** და **ჯეისონ კიდმა**. პირველმა „ოკლაჰომასთან“ მატჩში 14-შედეგიანი პასი შეასრულა და ყველა დროის სიაში ლეგენდარულ **აიზია ტომასს** გადაასწრო. ახლა კანადელს 9066 გადაცემა აქვს და მხოლოდ **ჯონ სტოქტონს**, კიდს, **მარკ ჯექსონს**, **მეჯიქ ჯონსონსა** და **ოსკარ რობერტსონს** ჩამორჩება.

რაც შეეხება კიდს, მან „მემფისთან“ მატჩში ორი ჩაჭრა მიითვალა და საერთო რაოდენობის **გარი პეიტონს** გადაუსწრო. „დალასის“ მცველს კარიერის განმავლობაში 2447-ჯერ აურთმევია ბურთი მეტოქეებისთვის. კიდს თავისუფლად შეუძლია გაუსწროს მეორე ადგილზე მყოფ **მაიკლ ჯორდანს** (2514), მაგრამ პირველი ადგილი, როგორც ჩანს, სამუდამოდ ეკუთვნის ჯონ სტოქტონს (3265).

დაბოლოს, არ შეიძლება არ აღინიშნოს „ფილადელფიას“ ლიდერი **ანდრე იგუოდალა**, ვინც ზედიზედ მეორე მატჩში სამმაგი დუბლი შეასრულა. კარიერაში მისი რიგით მეშვიდე ტრიპლ-დაბლი ასე გამოიყურება: 15 ქულა, 11 მოხსნა და 10-შედეგიანი პასი.

მაიამი-ჩიკაგო 86:87

22:18, 27:22, 16:23, 21:24

მ: ჯეიმსი (26+8 მოხსნა+6 პასი), ბოში (23), უეიდი (20+5 პასი), ჩელმერსი (11+5 პასი).

ჩ: როუზი (27+5 პასი), დენგი (18), ბუზერი (12+10 მოხსნა), ნოა (11+8 მოხსნა).

სან ანტონიო-ლეიკერსი 83:99

13:34, 24:31, 15:16, 31:18

ს-ა: ნოა (15+7 მოხსნა), პარკერი (14), ჰილი (14), ბლეირი (6+12 პასი), დანკანი (2+7 მოხსნა).

ლ: ბრაიანტი (26+5 პასი+7 მოხსნა), გასოლი (21+6 მოხსნა+5 პასი), ბინუმი (4+17 მოხსნა), ოდომი (15+[illegible] პასი), ბრაუნი (12).

ატლანტა-ნიუ იორკი 79:92

19:24, 23:20, 14:18, 23:30

ა: სმიტი (17+11 მოხსნა), ჰაინრიხი (15), ჯონსონი (14), კროუფორდი (14).

ნ-ი: სტაუდმაიერი (26+7 მოხსნა), ფილდსი (15), ენტონი (14+7 მოხსნა+7 პასი), უილიამსი (12+6 მოხსნა), დუგლასი (10+7 პასი).

დეტროიტი-ვაშინგტონი 113:102

29:22, 31:29, 22:22, 31:29

დ: პრინსი (20+6 მოხსნა), სტაკი (19+9 პასი+7 მოხსნა), ვილანუევა (16), მონრო (12+7 მოხსნა), დეი (12).

ვ: უოლი (24+7 პასი), იანგი (21), ბლეტჩი (21+9 მოხსნა), მაკგი (12).

ფილადელფია-გ. სტეიტი 125:117 (ო)

31:25, 33:31, 16:24, 26:26, 19:11

ფ: იგუოდალა (15+11 მოხსნა+10 პასი), იანგი (20+7 მოხსნა), ტერნერი (20+7 მოხსნა), უილიამსი (19), ჰოლიდეი (16+8 მოხსნა+7 პასი), ბრენდი (12).

გ-ს: ელისი (27), კარი (22+7 პასი), ლი (14+14 მოხსნა), რიტი (16), ამუნდსონი (10).

კლივლენდი-ნიუ ორლეანი 81:96

24:27, 24:24, 18:22, 15:23

კ: დევისი (17+6 პასი), ჰიქსონი (15+10 მოხსნა), სეშენსი (15), სამუელსი (11+8 მოხსნა).

ნ-ი: ფეტტი (23+7 მოხსნა), ბელინელი (18), პოლი (13+11 პასი), ჯეკი (14+6 მოხსნა+5 პასი), ოკაფორი (10+7 მოხსნა), გრინი (10).

ოკლაჰომა-ფინიქსი 122:118 (ო)

25:18, 32:33, 29:30, 23:18, 13:9

ო: უესტბრუკი (32+11 პასი), ჰარდენი (26+6 მოხსნა), დურანტი (18+8 მოხსნა), იბაკა (15+7 მოხსნა+4 დაფარება), კოლისონი (11+9 მოხსნა), სეფოლოშა (8+9 მოხსნა).

ფ: კარტერი (29), გორტატი (20+8 მოხსნა), პიეტრუსი (20), ნეში (11+14 პასი), ფრაი (11+15 მოხსნა), დადლი (10).

დალასი-მემფისი 103:104

27:21, 28:17, 23:41, 25:25

დ: ტერი (26), ნოვიცკი (23), ბობუა (15), მერიონი (10+12 მოხსნა), ბარეა (10+5 პასი).

მ: რენდოლფი (27+9 მოხსნა), კონლი (17+10 პასი), გასოლი (16+10 მოხსნა), ბატიე (11+11 მოხსნა), არტური (13+6 მოხსნა), მაიო (11+7 პასი).

მილუოკი-ბოსტონი 83:89

26:27, 23:16, 16:26, 18:20

მ: ჯენინგსი (23+6 მოხსნა+5 პასი), მბა ა მუტე (19+7 მოხსნა), სალმონსი (11+6 პასი), ბრუკმანი (4+9 მოხსნა).

ბ: პირსი (23), კრსტიჩი (17), გარნეტი (14+11 მოხსნა), ალენი (13), გრინი (11), რონდო (6+8 პასი).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



კობის და პარტნიორებს ყველაფერი გამოსდიოდათ

ფორმულა 1

ამერიკას მორწყავენ

ოსტინი გრან-პრის მოლოდინშია

ჩვენ უკვე ვწერდით ფორმულა 1-ის ფაქტობრივი მფლობელის **ბერნი ეკლსტოუნის** უცნაური იდეის შესახებ. ბრიტანელ მილიარდერს სურს სპეციალური სარწყავი სისტემით აღჭურვოს ტრასები და ეტაპების დროს წვიმის იმიტაცია მოახდინოს.

ამ იდეას ბევრი კრიტიკოსი გამოუჩნდა, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც მოიწონეს „ხელოვნური წვიმის" პერსპექტივა. მაგალითად, იდეას ემხრობა „პირელი მოტოსპორტის" ხელმძღვანელი **პოლ ჰემბრი**.

მაგრამ უფრო საინტერესოა ამერიკული პრესის ინფორმაცია. გავრცელდა ამერიკის მომავალი გრან-პრის პრომოუტერის **ტავო ჰელმუნდის** კომენტარი. მასაც მიაჩნია, რომ „ხელოვნური წვიმა" რბოლების სანახაობრივი მხარის ამაღლებისთვის შესანიშნავი ხერხია.

კერძოდ, ჰელმუნდმა განაცხადა, რომ ნამდვილისგან განსხვავებით, ხელოვნური წვიმა პუბლიკას ვერ შეაშინებს და გავლენას არ იქონიებს ბილეთების რეალიზაციაზე.

„პილოტის ნიჭი ყველაზე კარგად წვიმიან რბოლაში ჩანს, - ამბობს ქალაქ ოსტინის რბოლის მენეჯერი. - თანაც ამ იდეას უნდა მიესალმონ პატარა გუნდები, რადგან წვიმის დროს გუნდების შანსები მეტ-ნაკლებად თანაბრდება, აღარ იქნება სხვაობა საჯინიბოების ბიუჯეტებს შორის და ნამდვილად ნიჭიერ პილოტებს თუნდაც სუსტი მანქანით აქვთ გაბრწყინების საშუალება".

მთავარი, რაც ჰელმუნდმა თქვა, ის არის, რომ მომავალი ტრასა შეიძლება აღიჭურვოს სპეციალური სისტემით, რომელიც რბოლის დროს წვიმის ეფექტს შექმნის. ახლა ამერიკელი ამ იდეის განხილვას აპირებს ბერნი ეკლსტოუნთან.

ტექსასის შტატში ამერიკის გრან-პრისთვის განკუთვნილი ავტოდრომის მშენებლობა ცოტა ხნის წინ დაიწყო.

■ ■ ■

ამასობაში, ფორმულა 1-ის რბოლებით კიდევ ერთი ქვეყანა დაინტერესდა. თანამედროვე ტრასის აშენება გადაწყვიტა ხორვატიამ.

პროექტის ორგანიზატორები თამამ განცხადებებს აკეთებენ და ირწმუნებიან, რომ სამუშაოები 18 თვეში დასრულებული იქნება. რამდენიმე წყაროს ცნობით, ბერნი ეკლსტოუნმა მოიწონა ხორვატული მხარის ენთუზიაზმი და დაინტერესდა ამ ქვეყანაში გრან-პრის ჩატარების პერსპექტივით.

ახალი არენის სავარაუდო ბიუჯეტი 250 მილიონი ევრო იქნება. ამ თანხის დიდ ნაწილს ინვესტორები გამოყოფენ. პროექტისთვის მხარდაჭერას ხორვატიის მთავრობაც აპირებს.

რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი

ჩემპიონი საქმეს შეუდგა


სებასტიან ლოები

სებასტიან ლოებმა სეზონში პირველი გამარჯვება მოიპოვა. ფრანგი ჩემპიონი ერთადერთი პილოტი აღმოჩნდა, ვინც მექსიკაში სერიოზული პრობლემები აიცილა თავიდან.

თუ ლოების მცირეხნიან ლიდერობას არ ჩავთვლით, სამივე დღეს პირველობას ინარჩუნებდა **სებასტიან ოჟიე**. საერთო ჯამში „სიტროენი" კვლავ მაღალ დონეს აჩვენებდა, „ფორდის" პილოტები - **მიკო ჰირვონენი** და **იარი-მატი ლატვალა** კი ფინალური დღისთვის წუთზე მეტს აგებდნენ ლიდერთან და არც ჰქონდათ ამ ჩამორჩენის დაძლევის იმედი. ამ დუეტის ანგარიშზე პირველი ორი დღის განმავლობაში ერთი მოგებული სპეციმონაკვეთი იყო.

კვირას ლიდერმა ოჟიემ ლოებზე უპირატესობის გაზრდა სცადა, მაგრამ თავისი შესაძლებლობები ვერ გათვალა და საბოლოოდ, მისი „სიტროენი" საბურავის გარეშე დარჩა, რამაც ახალგაზრდა ფრანგს წარმატების ყოველგვარი იმედი გადაუწურა. ბუნებრივია, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი ასეთ საჩუქარზე უარს ვერ იტყოდა და მშვიდად მივიდა ფინიშამდე. ამით ლოებმა მექსიკის ქვაღორღიან გზებზე კარიერაში მეხუთე გამარჯვებას მიაღწია.

ოჟიეს ავარიის შემდეგ ლოები არ რისკავდა, რითაც „ფორდის" პილოტებს ორი სპეციმონაკვეთის მოგების საშუალება მისცა. საბოლოოდ ჰირვონენმა და ლატვალამ ეტაპზე მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს. დანარჩენ პილოტებზეკი ლაპარაკიც არ ღირს. მაგალითად, მეოთხეადგილსანმა **პეტერ სოლბერგმა** ლოებთან მთელი შვიდი წუთი წააგო.

ამ ეტაპზე მეორე ადგილის წყალობით ჰირვონენმა შეინარჩუნა ლიდერობა საერთო ჩათვლაში, მაგრამ მოდუნება არ არგებს: მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა ლოებმა უკვე სერიოზულად მოჰკიდა საქმეს ხელი. ოჟიე იმ ავადსახსენებელი ავარიის შემდეგ მეექვსე ადგილამდე ჩამოქვეითდა.

II ეტაპი. მექსიკის რალი

1. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, „სიტროენი") - 3:53.17,0; 2. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, „ფორდ ფიესტა") - +1.38,4; 3. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, „ფორდ ფიესტა") - +2.23,9; 4. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, „სიტროენი") - +7.18,4; 5. **მადს ოსტბერგი** (ნორვეგია, „ფორდ სტობარტა") - +8.43,5; 6. **პენინგ სოლბერგი** (ნორვეგია, „ფორდი") - +9.50,0...

საერთო ჩათვლა

1. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, „ფორდ ფიესტა") - 46 ქულა; 2. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, „სიტროენი") - 37; 3. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, „ფორდ ფიესტა") - 31; 4. **მადს ოსტბერგი** (ნორვეგია, „ფორდ სტობარტა") - 28; 5. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, „სიტროენი") - 24; 6. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, „სიტროენი") - 15; 7. **პენინგ სოლბერგი** (ნორვეგია, „ფორდი") - 8; 8. **პერ-გუნარ ანდერსონი** (შვედეთი, „ფორდ ფიესტა") - 6; 9. ნასერ ალ-ატია (კატარი, „ფორდი") - 68; 10. **კიმი რაიკონენი** (ფინეთი, „სიტროენი") - 4...

ცხელი ხაზი

ერაყოვნული ბიულეტენი

ფეხბურთი

ინგლისი

ბლეკპული-ჩელსი	1:3

იტალია

სერია B

ვიჩენცა-ტორინო	1:0
ატალანტა-ნოვარა	1:1

ესპანეთი

დეპორტივო-სოსიედადი	2:1

II დივიზიონი

ტერენიფე-ბარსელონა B	1:4

გერმანია

II ბუნდესლიგა

აუგსბურგი-ფორტუნა	5:2

საფრანგეთი

II დივიზიონი

გულონი-ევიანი	1:2

პოლანდია

II დივიზიონი

ტელსტარი-კამბური	3:0

პორტუგალია

ფერეირა-ნავალი	0:0
პორტიმონენსე-ნასიონალი	1:1

შოტლანდია

დანდი იუნ-აბერდინი	3:1

დანია

ჰორსენსი-ოდენსე	2:1

ჩელენჯლიგა

შაფჰაუზენი-ბილი	1:2

საბერძნეთი

II დივიზიონი

პანთრაკიკოსი-ლევადია	3:1
ეთნიკოსი (პ)-ტრიკალა	1:2

თურქეთი

გენჩლერი-ფენერბაჰჩე	2:4

II დივიზიონი

ალთაი-ორდუ	0:2

ჩეხეთი

სიგმა-ბანიკი	2:0

რუმინეთი

უნივერსიტატეა (კრ)-ვიქტორია	1:1
ვასლუი-უნივერსიტატეა (კლ)	2:0

ბულგარეთი

ლოვეჩი-ბეროე	4:0

ისრაელი

ბეითარი-ჰაპოელი (თ-ა)	1:0

პერუ

ლეონი-უნივერსიტარიო	2:0

პოკერი

სლოვაკეთი

ზვოლენი-ბისტრიცა	2:3 (ბ)
ტრენჩინი-სლოვანი	6:3

ჩეხეთი

ვიტკოვიცე-ბოლესლავი	3:0
პარდუბიცე-ულინი	2:1 (ბ)

TV პროგრამა

7 მარტი. ორშაბათი

GMG-ფეხბურთი

00:00 ინგლისის ჩემპიონატი. ბლეკპული-ჩელსი (LIVE).

I არხი

23:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბარსელონა-არსენალი (LIVE).

რუსთავი 2

23:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. შახტარი-რომა (LIVE).

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

23:30 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბარსელონა-არსენალი (LIVE).

HTB-პლუსი (სპორტი)

23:25 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. პლეიოფი. ნოლიკო-იასტრჟებსკი. საპასუხო მატჩი (LIVE).

HTB-პლუსი (კალათბურთი)

04:30 NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-პორტლენდი (LIVE).

SPORT+

23:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. შახტარი-რომა (LIVE).

EUROSPORT

16:00 ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ინდივიდუალური რბოლა. კაცები. ხანტი-მანსიისკი. რუსეთი (LIVE).

18:45 ველოსპორტი. პარიზი-ნიცა. III ეტაპი. საფრანგეთი (LIVE).

EUROSPORT-2

21:00 კალათბურთი. ევროლიგა. ქალები. ყველა ვარსკვლავის მატჩი. გდინია. პოლონეთი (LIVE).

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

აილენდერსი-ნიუ ჯერსი 2:3 (ბ)

0:0, 1:1, 1:1, 0:0

გოლები: 0:1 როლსტონი-12 (კოვალჩუკი-24, ზაიაცი-28), 1:1 ბეილი-10 (პარენტო-27, ოკსოპო-9), 1:2 კოვალჩუკი-24 (ჯოზეფსონი-1, ვოლჩენკოვი-7), 2:2 კომო-18.

ბულიტები გაიტანეს: ნილსენი (აილენდერსი), კოვალჩუკი (ნიუ ჯერსი), როლსტონი (ნიუ ჯერსი).

რენჯერსი-ფილადელფია 7:0

2:0, 2:0, 3:0

გოლები: 1:0 კელეჰანი-17 (დუბინსკი-25, ანისიმოვი-19), 2:0 კელეჰანი-18 (პროსპალი-6, მაკეიბი-19), 3:0 ცუკარელო-5 (ფედოტენკო-11, მაკდონაჰი-6), 4:0 კელეჰანი-19, 5:0 კელეჰანი-20 (გილროი-8, პროსპალი-7), 6:0 ანისიმოვი-16 (კელეჰანი-19, ჟირარდი-24), 7:0 ცუკარელო-6 (ვოლსკი-21).

ფლორიდა-ვაშინგტონი 2:3 (ო)

1:1, 0:1, 1:0, 0:1

გოლები: 1:0 ბ. ტომასი-3 (რეპიკი-3, სანტორელი-17), 1:1 ბექსტროიმი-17 (ოვეჩკინი-43, ნუბლი-12), 1:2 გორდონი-2 (ჯ. კარლსონი-22, ჰენდრიქსი-14), 2:2 ბუტი-19 (უეისი-26, კულიკოვი-16), 2:3 სიომინი-23 (მ. იოჰანსონი-10, ელზნერი-9).

მინესოტა-ბაფალო 2:3 (ო)

0:1, 2:1, 0:0, 0:1

გოლები: 0:1 პომინვილი-17 (მონტადორი-16, ვანეკი-32), 0:2 რ. ნიდერმაიერი-1 (სეკერა-18, მაკორმიკი-10), 1:2 პეტერსი-1 (მტაუბიტცი-4, ბერნსი-25), 2:2 ფიდლიცკი-5 (ბუშარი-20, ჰავლატი-37), 2:3 სტეფორდი-26 (სეკერა-19).

ანაჰაიმი-ვანკუვერი 0:3

0:1, 0:1, 0:1

გოლები: 0:1 მალორტა-10 (ჰანსენი-14, ტორესი-14), 0:2 მალორტა-11 (ჰანსენი-15), 0:3 დ. სედინი-34 (სამუელსონი-26, ჰ. სედინი-61).

კალგარი-ნეშვილი 3:2

1:2, 1:0, 1:0

გოლები: 0:1 ერატი-11 (ბლუმი-1, ლეგვანდი-17), 1:1 ჯორდანო-6 (ო. იოკინენი-33), 1:2 რ. სატერი-3 (ერატი-25, ლეგვანდი-18), 2:2 იგინლა-30 (ბულიტი), 2:3 გლენკროსი-22 (ო. იოკინენი-34, ბოუმისტერი-15).

კრივი

გამოფიტული სუპერმძიმე წონა

ამ ბოლო დროს გარკვეული გამოცოცხლება შეინიშნება სუპერმძიმე წონაში. თითქმის გადაწყვეტილია ტიტულების გაერთიანებული ორთაბრძოლის ჩატარება უკრაინელ **ვლადიმერ კლიჩკოსა** და ბრიტანელ **დევიდ ჰეის** შორის, მარტში გაიმართება ვლადიმერის უფროსი ძმის - **ვიტალის** ჩხუბი დაუმარცხებელ კუბელ პრეტენდენტ **ოდლანიერ სოლისთან**.

მაგრამ სუპერმძიმეში ყოფილ ჩემპიონს, 62 წლის ამერიკელ **ჯორჯ ფორმენს** მიაჩნია, რომ ეს წონითი კატეგორია „გამოფიტულია" და ამის გამოა თანამედროვე ბრძოლების მიმართ ნაკლები ინტერესი. ამის შესახებ კრივის ისტორიაში ყველაზე ხანდაზმულმა ჩემპიონმა ჟურნალ „რინგისთვის" მიცემულ მოკლე ინტერვიუში ილაპარაკა.

- რა იტყვით სუპერმძიმე წონაში დღეს შექმნილ სიტუაციაზე?

- ამ კატეგორიის კარი ფართოდ არის ღია. იქ ბევრი არაფერია სანახავი. საჭიროა ერთი მოკრივე, რომელიც იქ შეაღწევს და ნამდვილ ბრძოლებს გვანახვებს. ახლა კი იქ მართლაც არავინაა და ამაში საამაყო არაფერია.

სუპერმძიმე წონითი კატეგორია გამოფიტულია. დღეისთვის მენი პაკიაოა ერთადერთი, ვისი ბრძოლის ნახვაც ღირს. მას ნებისმიერთან შეუძლია შეხვედრა. უბრალოდ მოუწყობ ბრძოლას და ისიც ჩხუბობს. ეს არის ერთადერთი, რაც შეიძლება მოკრივეს მოსთხოვო. ფლოიდ მეიველერმა, რომელთანაც პაკიაოს უნდოდა ჩხუბის ორგანიზება, სკანდალი წამოიწყო. იმის ნაცვლად, რომ ფილიპინელთან ეჩხუბა, პაკიაო დოპინგის მიღებაში დაადანაშაულა. ჩემთვის სულერთია, ვინ რას იყენებს - ქვანახშირს, ნავთს, ბენზინს, დიზელს... შემომთავაზეთ 20 მილიონი და ნებისმიერის წინააღმდეგ გავალ რინგზე. თუნდაც ცეცხლს ყლაპავდეს, შაინც ვიჩხუბებ მასთან.

- როგორ ფიქრობთ, ვინ უნდა მივიჩნიოთ ძმები კლიჩკოების გარდა საუკეთესო მძიმეწონოსნად?

- გულახდილი ვიქნები და გეტყვით, რომ დღეს არ არსებობენ დიადი სუპერჩემპიონები. კლიჩკო კარგია, ნამდვილი მძიმეწონოსანი. მაგრამ ის უბრალოდ ჯეებით მუშაობს, წრეებს ურტყამს მონინაალმდეგეს, შემდეგ ისევ ჯებს მოარტყამს და ასე, დაუსრულებლად...

- საუკეთესო ბრძოლა, რომლის ხილვასაც სუპერმძიმე წონაში ისურვებდით?

- არ არსებობს ასეთი ბრძოლა. ხომ გითხარით, დივიზიონი დაცარიელებულია.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა


ჯორჯ ფორმენი

● ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

ორი ელენადან ერთმა მოიგო

სანამ მამაკაცები დევისის თასზე არკვევდნენ ურთიერთობას, ქალებმა წინა კვირას ორ ტურნირში ითამაშეს - მალაიზიის კუალა ლუმპურში და მექსიკის მონტერეიში. ორივეგან თითქმის თანაბარი შემადგენლობა შეიკრიბა, თუმცა ოდნავ უფრო წარმომადგენლობითი მალაიზიური ტურნირი იყო.

კუალა ლუმპურში გაიმარჯვა ჩოგბურთელმა, ვისგანაც ამ წარმატებას ყველაზე ნაკლებად ელოდნენ. **ელენა დოკიჩი** ხან ავსტრალიის სახელით გამოდიოდა, ხან სერბეთისა და ჩერნოგორიის, შემდეგ ისევ ავსტრალიის, იყო მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი, რომელმაც რამდენიმე წლის წინ კინაღამ დაასრულა აქტიური კარიერა... ამ კვირამდე თავისი მეხუთე და ბოლო ტიტული დოკიჩს 2002 წელს ჰქონდა მოპოვებული.

მალაიზიაში 27 წლის ჩოგბურთელს სამი ურთულესი მატჩის მოგებამ მოუწია, მათ შორის - ფინალში. დოკიჩმა სამჯერ წააგო პირველი სეტი, მეორეს პარტიას ტაი-ბრეიკზე იღებდა და მესამეში ბოლოს უღებდა მოწინააღმდეგეს. ასე მოხდა პირველ ნომრად განთესილ **ფრანჩესკა სკიავონესთან**, იაპონელ **კურუმი ნარასთან** და ჩეხ **ლუსი საფაროვასთან**. ამასთან ფინალურ მატჩში საფაროვას წინააღმდეგ ავსტრალიელს მატჩბოლების მოგერიებამ მოუწია. ამ ჩოგბურთელების გარდა მან ტურნირს გამოთიშა პერსპექტიული სერბი **ბოიანა იოვანოვსკი** და სახელგანთქმული ჰოლანდიელის **რიხარდ კრაიჩეკის** და - **მიხაელა კრაიჩეკი**, რომელიც ერთ დროს ასევე პერსპექტიულად მიიჩნეოდა, მაგრამ იმედები ვერ გაამართლა.

■ ■ ■

მონტერეიში გადამწყვეტ მატჩამდე პირველ ორ ნომრად განთესილმა ჩოგბურთელებმა მიაღწიეს. მოქმედი ჩემპიონის **ანასტასია პავლიუჩენკოვასა** და **ელენა იანკოვიჩის** გავლილი გზაზე მთელი კვირა გიამბობდით. სერბი უფრო დამაჯერებლად გამოდიოდა და არც ერთ მატჩში არ დაუხარჯავს საათ-ნახევარზე მეტი, თუმცა ასეთი კარგი ფორმა საკმარისი არ აღმოჩნდა გადამწყვეტ მატჩში რუსის დასამარცხებლად.

იანკოვიჩსა და პავლიუჩენკოვას აქამდე ერთხელ ჰქონდათ ნათამაშები ერთმანეთში და რუსმა 6:4, 6:4 მოიგო. ეს 2009 წელს ინდიან უელსში მოხდა, სადაც ანასტასიამ ნახევარფინალში გასვლით პირველ სერიოზულ წარმატებას მიაღწია. იანკოვიჩი მაშინ მსოფლიოს მესამე ჩოგანი იყო.

პირველ სეტში აშკარა უპირატესობა სერბს ჰქონდა. ელენამ შესანიშნავი შეტევითი ჩოგბურთი აჩვენა და როცა 3:2-ზე მეტოქის გეიმი აიღო, პარტიის ბედი პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო.

როგორც ჩანს, იანკოვიჩმა ნაადრევად ჩათვალა საქმე მოთავებულად და მოდუნდა. მან დაივიწყა, რომ პირველ სეტში წარმატება აქტიურმა ჩოგბურთმა მოუტანა და მთლიანად თავდაცვაზე გადავიდა. რუსმაც ინიციატივა მოიპოვა და ერთიმეორის მიყოლებით იღებდა გეიმებს. თუმცა იანკოვიჩსაც ჰქონდა რამდენიმე ბრეიკ-პოინტი, მაგრამ მათი გამოყენების პროცენტი არ უვარგოდა.

ყველაზე დაძაბული მესამე სეტი გამოვიდა. თავიდან პავლიუჩენკოვას გაუჭირდა - მის გეიმებზე მუდმივად ბრძოლა იყო, იანკოვიჩი კი იოლად იღებდა საკუთარ მოწოდებებს. მაგრამ პარტიის შუაში ყველაფერი შეიცვალა. სერბს ერთბაშად გამოეცალა ძალები და საბოლოოდ, პავლიუჩენკოვამ 2:3-დან ერთბაშად ოთხი გეიმი აიღო და მონტერეიში ტიტული დაიცვა. ეს იყო რუსის მესამე გამარჯვება WTA-ის ტურში.

WTA

Malaysian Open

კუალა ლუმპური (მალაიზია). ჰარდი
საპრიზო ფონდი: 220 000 დოლარი

ფინალი

ელენა დოკიჩი (ავსტრა)-ლუსი საფაროვა (ჩეხ, 5) 2:6, 7:6 (11:9), 6:4.

Monterrey Open

მონტერეი (მექსიკა). ბრუნტი
საპრიზო ფონდი: 220 000 დოლარი

ფინალი

ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 2)-ელენა იანკოვიჩი (სერ, 1) 2:6, 6:2, 6:3.

● დევისის თასი. 1/8 ფინალი

ყაზახეთმა ისტორია შექმნა

ყაზახეთის ისტორიული ტრიუმფი

კვირას დევისის თასის მსოფლიოს ჯგუფში პირველი რაუნდი დასრულდა, რის შემდეგაც ჩამოყალიბდა მეოთხედფინალური წყვილები. ამ ეტაპზე გუნდები უიმბლდონის შემდეგ გაარკვევენ ერთმანეთში ურთიერთობას.

მერვედფინალში ორი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. უდიდესი სენსაციის ავტორი გახდა ყაზახეთის ნაკრები, რომელმაც ოსტრავაში დაამარცხა ჩეხეთი. არადა, მსოფლიოს ჯგუფის დებიუტანტი პირველი ორი დღის შემდეგ 1:2-ს აგებდა, თანაც წყვილთა თანრიგის მატჩის შემდეგ სასტუმროში მძიმე საათების გადატანა მოუხდა - ყაზახებს ნომრები გაქურდული დახვდათ და კარგა ხანს მოუწიათ პოლიციასთან ურთიერთობამ.

მიუხედავად ამისა, სტუმრების ლიდერმა **ანდრეი გოლუბევმა** სამსაათნახევარიან ბრძოლაში დაამარცხა ჩეხების პირველი ნომერი **ტომაშ ბერდიხი**, რომელმაც ვერ შეძლო თავისი გუნდისთვის ზედიზედ მესამე ქულის მოპოვება. ყველაფერი მეხუთე შეხვედრაში გადაწყდა, სადაც ჩეხებს თავიანთი მეორე ნომერი **რადეკ შტეპანეკი** დააკლდათ. მისმა შემცვლელმა **იან ჰაიეკმა** როგორც შეეძლო იბრძოლა, მაგრამ მანაც 3.5 საათის შემდეგ დამარცხებულმა დატოვა კორტი.

■ ■ ■

ყაზახეთის ნაკრები რუსეთში დაწუნებული ჩოგბურთელებით არის დაკომპლექტებული. თავად რუსეთმა კი **ნიკოლაი დავიდენკოსა** და **მიხაილ იუჟნის** გარეშე ვერაფერი მოუხერხა შვედეთის ნაკრებს და პირველად ბოლო შვიდი წლის განმავლობაში ვერ მოხვდა რვა საუკეთესოს შორის.

სკანდინავიელებმა პირველი ორი დღის შემდეგ გაინაღდეს მეოთხედფინალში თამაში. არადა, მასპინძლებს რეალურად მხოლოდ **რობინ სიოდერლინგის** იმედი უნდა ჰქონოდათ. შვედების მეორე ნომერი **იოახიმ იოჰანსონი** უკვე დიდი ხანია მაღალ დონეზე აღარ თამაშობს და სათამაშო პრაქტიკაც აკლია, მაგრამ ამის მიუხედავად, მან მაინც შეძლო ერთეულებში მნიშვნელოვანი ქულის აღება, თანაც სამ სეტში გაუსწორდა **თეიმურაზ გაბაშვილს**.

ასევე ვადაზე ადრე გაინაღდეს შემდეგ ეტაპზე თამაში ესპანეთმა და არგენტინამ. ესპანელებს იოლი გასეირნება ჰქონდათ ბელგიაში. იქაურმა გულშემატკივრებმა ორჯერ იხილეს საქმეში მსოფლიოს პირველი ჩოგანი **რაფაელ ნადალი**. არადა, კვირას რაფას თამაში აუცილებლობას არ წარმოადგენდა, მაგრამ ის კორტზე მაინც გავიდა და საათსა და 16 წუთში გაუსწორდა **ოლივიე როხუსს**.

გაუმართლა არგენტინას, რომელმაც პირველ ორ დღეს სამი მატჩი მოიგო და კვირის თამაშები ფორმალობად აქცია. გაუმართლა იმიტომ, რომ ამ გუნდის ლიდერმა **დავიდ ნალბანდიანმა** ტრავმა მიიღო და ბოლო დღეს კორტზე გასვლას ვეღარ შეძლებდა. დავიდის დაზიანება იმდენად სერიოზულია, რომ მან განაცხადი გამოიტანა ინდიან უელსისა და მაიამის მასტერსებიდან.

■ ■ ■

დანარჩენ შეხვედრებში ყველაფერი კვირის მატჩებში გაირკვა. ავსტრია ვენის აეროპორტის ნომერ მესამე ანგარში საფრანგეთთან 1:2-ს აგებდა, მაგრამ მასპინძლების ლიდერმა **იურგენ მელცერმა** შეძლო პირველ დღეს ნაგებისთვის რეაბილიტაცია და სტუმრების პირველი ნომერი **ჟილ სიმონი** დაამარცხა. მაგრამ ბოლო მატჩზე ავსტრიელებს მსოფლიოს 138-ე ნომრის **მარტინ ფიშერის** გამოყვანამ მოუწიათ. მას **ჟერემი შარდი** ოთხ სეტში გაუსწორდა და საფრანგეთს მეოთხედფინალის საგზური მოუტანა.

გერმანელებმა სტუმრად აჯობეს გუნდს, რომელსაც ერთი აშკარად გამოკვეთილი ლიდერი ჰყავდა **მარინ ჩილიჩის** სახით. ხორვატმა სამ სეტში დაამარცხა **ფილიპ კოლშრაიბერი** და ანგარიში 2:2 გახადა. გადამწყვეტ მატჩში ხორვატთა მწვრთნელმა **ივან დოდიგს ივო კარლოვიჩი** ამჯობინა, რომელმაც წინადღეს წყვილთა მატჩში მოწოდების სიჩქარის ახალი რეკორდი დაამყარა (251 კმ/სთ). 208 სანტიმეტრი სიმაღლის ხორვატის წინააღმდეგ სათამაშოდ 23 სანტიმეტრით დაბალი **ფილიპ პეტცშნერი** გავიდა. ასეთი სხვაობის მიუხედავად, გერმანელმა ეისების რაოდენობითაც კი აჯობა ივოს - 21:16. თამაში ორსაათ-ნახევარი გაგრძელდა და ის გერმანელმა მოიგო.

დანარჩენ ორი შეხვედრაში მოულოდნელობა არ მომხდარა. ამერიკელებმა **ენდი როდიკმა** და **ჯონ ისნერმა** ერთეულთა მატჩები მოიგეს და თავიანთ გუნდს ჩილესთან 4:1 გამარჯვება გაუნაღდეს. მოქმედმა ჩემპიონმა სერბეთმა კი ასევე ბოლო დღეს გატეხა ინდოელების მოულოდნელად მედგარი წინააღმდეგობა.

1/4 ფინალი

შვედეთი-სერბეთი
არგენტინა-ყაზახეთი
აშშ-ესპანეთი
გერმანია-საფრანგეთი

მატჩები 8-10 ივლისს გაიმართება

3D უიმბლდონი

წლევანდელ უიმბლდონზე ერთი სიახლე იქნება - ერთეულთა თანრიგში მამაკაცების ნახევარფინალები, აგრეთვე კაცებისა და ქალების ფინალი მთელ მსოფლიოს კინოთეატრებში 3D ფორმატში გადაიცემა - იტყობინებიან „დიდი სლემის“ ყველაზე პრესტიჟული ჩემპიონატის ორგანიზატორები. წელს უიმბლდონის ტურნირი 20 ივნისიდან და 3 ივლისამდე გაიმართება.

ორშაბათს უიმბლდონის ორგანიზატორებმა და კომპანია „სონიმ“ მრავალწლიანი პარტნიორული ურთიერთობა გააფორმეს. კინოთეატრების გარდა, უიმბლდონის მთავარი მატჩების ტრანსლირების უფლება ექნებათ იმ ტელეკომპანიებსაც, რომლებსაც შეუძლიათ 3D ფორმატში ტრანსლაციების ორგანიზება.

„უიმბლდონი განთქმულია ტრადიციების შენარჩუნებით, თავისი მემკვიდრეობით, - ამბობს ინგლისის საჩოგბურთო კლუბის აღმასრულებელი დირექტორი იენ რიჩი. - ამავდროულად, ჩვენ ვეძებთ ტურნირის უკეთ გაშუქების გზებს, ერთმანეთს ვუხამებთ ტრადიციებსა და ინოვაციებს“.

რიჩიმ იმედი გამოთქვა, რომ საჩოგბურთო მატჩების ახალი ფორმატით ჩვენება ბავშვებს უფრო მეტად დაიინტერესებს სპორტის ამ სახეობით.



გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა